პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 5 მარტი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 51 (1806)

დ ღ ი უ რ ი

— იტალიელი მფრინავი პინედაო გადაფრინდა ატლანტის ოკეანეზე.
— ავსტრიის მთავრობამ გადასწყვიტა კრედიტები მისცეს საბჭოთა კავშირის მთავრობას.
— მახაჩ-კალაში დახვრეტა მიუსაჯეს 2 ყოფ. ოფიცერს, რომლებმაც მოჰკლეს დაღესტანის ცნობილი რევოლიუციონერი ბუინანსკი.
— ვარშავაში გარდაიცვალა მწერალი არციბაშევი.

რას გვეუბნება მიმდინარე არჩევნები

საბჭოთა არჩევნები ჯერ კიდევ არ დასრულებულა, მაგრამ ჩვენ უკვე მოგვეპოვება ცნობები იმისათვის, რომ აქედანვე გამოვარკვიოთ მიმდინარე საარჩევნო კამპანიის საერთო სახე და შედეგები.

პირველ ყოვლისა არჩევნებში მონაწილეთა რიცხვის შესახებ. როგორც ვიცით, ყოველ საარჩევნო კამპანიაში ამ მომენტს ძირითადი მნიშვნელობა აქვს. რა სურათი გვაქვს ჩვენ ამ მხრივ დღეს? ჩვენში ადმინისტრატიულ ერთეულთა საერთო რიცხვი, სადაც ჩატარდა ან უნდა ჩატარდეს არჩევნები, უდრის 489. აქედან უკანასკნელ ცნობების მიხედვით 348 ერთეულში არჩევნები უკვე დასრულებულია. შარშანდელ ციფრებთან შედარებით ამომრჩეველთა რაოდენობამ ამ რაიონებში მოიმატა მხოლოდ 0,7 პროცენტით.

აქედან ვხედავთ, რომ მომატება არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც ამას შეიძლება მოველოდით პირველ ხანებში. ამის იმედს იძლეოდა ის წინასწარი საარჩევნო სამზადისი, რომელიც მეტი წინდახედულობით და სიცხოველით იყო წელს ჩატარებული. მიუხედავად ამისა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ზრდას ჯერჯერობით მხოლოდ 0,7 პროცენტით აქვს ადგილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შეფარდება დიდათ არ შეიცვლება საარჩევნო კამპანიის დასრულების შემდეგაც. მაგრამ ეს კიდევ არაფერი.

მთელ რიგ რაიონებში ამომრჩეველთა რიცხვი შარშანდელთან შედარებით კიდევაც დაეცა. ასე მაგალითად, დუშეთის მაზრაში 13 ადმინისტრატიულ ერთეულიდან არჩევნები ჩატარდა 9 ასეთ ერთეულში. არჩევნებში მონაწილეთა რიცხვმა შარშანდელთან შედარებით თითქმის 11 პროცენტით დაიკლო. ლეჩხუმის მაზრაში ასეთივე დაკლება თითქმის 8 პროცენტს უდრის. ამავე მოვლენასთან გვაქვს საქმე ოზურგეთის და ზუგდიდის მაზრებში. პირველ მათგანში არჩევნებში მონაწილეთა საერთო რიცხვი შარშანდელთან შედარებით დაეცა 7 პროცენტამდე, მეორეში კი 3 პროცენტზე ცოტა მეტათ.

ამრიგათ, საერთო ჯამით ჩვენ არა თუ შევინარჩუნეთ შარშანდელ არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი, არამედ, თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც წავაცილეთ მას. ხოლო რაც შეეხება ცალკეულ ზოგიერთ რაიონებს, აქ ჩვენ არჩევნებში მონაწილეთა საგრძნობი რიცხვი დავკარგეთ.

თავისთავად ისმება კითხვა, რატომ მოხდა ეს? ერთი შეხედვით თითქოს საბუთი გვეძლევა უკმაყოფილო ვიყოთ მიმდინარე არჩევნების წინასწარი შედეგებით, არსებითად კი, თუ ჩვენ გავარკვევთ ამ შედეგების გამომწვევ მიზეზებს, წინააღმდეგ დასკვნებამდე მივალთ.

ჯერ ერთი მთავარი გარემოება, რომელიც აქედანვე უნდა აღინიშნოს. ეს თვით საარჩევნო სტატისტიკურ ცნობებს შეეხება. როგორც ვიცით, წელს არჩევნების აღრიცხვა გაცილებით უკეთაა დაყენებული, ვიდრე წინად. აქედან ცხადია, რომ წლევანდელი ცნობები მეტი სისწორით ასახავენ არჩევნების სურათს. ამიტომ შესაძლებელია სულ სხვა ციფრობრივი შეფარდება გვქონოდა ჩვენ, რომ წარსული წლის საარჩევნო სტატისტიკა იმავე დონეზე ყოფილიყო დაყენებული, როგორც ეს გვაქვს მიმდინარე არჩევნების დროს.

მიუხედავად ამისა ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ზრდა არც იმდენად დიდია, როგორც ამას თავიდანვე მოველოდით. ამ მდგომარეობას თავისი გასამართლებელი საბუთიც აქვს. პირველ ყოვლისა აშკარაა ერთი რამ, წელს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის შემცირება საყოველთაო მოვლენას წარმოადგენდა. ეს გამოწვეული იყო იმ მტკიცე კურსით, რომელიც აიღო ხელისუფლებამ საბჭოთა მიმდინარე არჩევნებში და რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა აპარატის სოციალურად და პოლიტიკურად მავნე ელემენტებისაგან გაწმენდას.

მაშასადამე, რაკი იკლო ამომრჩეველთა საერთო რიცხვმა, მას თავისი გავლენა უნდა მოეხდინა არჩევნებში მონაწილეთა საერთო რიცხვზე. მით უფრო, რომ ხმის უფლების ჩამორთმევის დროს ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ერთგვარ გადამლაშებას, „დათვურ" ერთგულებას. შავ სიებში შეჰქონდათ ისეთები, რომელთაც ჩვენი კონსტიტუციის ძალით ხმა არ უნდა წართმეოდათ.

ამასთან ერთად ჩვენ ისეთი მაგალითებიც ვიცით, როცა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ღარიბ გლეხთა შორის ჩატარებულ მუშაობაში მთელი რიგი მიუტევებელი შეცდომები იყო დაშვებული. ეს უმთავრესად გამოიხატება ღარიბთა ჯგუფების იმ კარჩაკეტილობაში, რომლის შესახებაც არაერთხელ აფრთხილებდა პარტია ჩვენს ადგილობრივ ორგანიზაციებს. სუსტი იყო კავშირი ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას შორის. წინასწარი საარჩევნო მუშაობაში სათანადო აქტივობით არ იყო ჩაბმული საშუალო გლეხობა, რამაც თავისი უარყოფითი ნაყოფი გამოიღო თვით არჩევნების დროს.

ასეთია ის მიზეზები, რომელთა მეოხებითაც მიმდინარე კამპანიაში ჩვენ ვერ ჩავიყოლიეთ ამომრჩეველთა იმდენი რიცხვი, რამდენიც სასურველი და შესაძლებელიც იყო.

გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ახალ საბჭოების პარტიულ შემადგენლობის მხრივ. პარტიის წევრების და კანდიდატების პროცენტი საბჭოებში შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 2.937 კაციდან 3.660 კაცამდე, კომკავშირელების კი 924 კ. 1.488 კაცამდე. განსაკუთრებით საგულისხმოა ეს უკანასკნელი ციფრები. როგორც ვიცით, კომკავშირი წარსულ არჩევნების დროს ანტისაბჭოთა ელემენტების და მათი გავლენის ქვეშ მყოფ ჩამორჩენილ მასის იერიშის მთავარ საგანს წარმოადგენდა. ზოგჯერ ამაში დამნაშავე იყვენ თვით კომუნისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაციები, რომლებიც ბევრ უხეშ შეცდომებს უშვებდენ თავის მუშაობაში.

წელს, როგორც ამას ზემომოყვანილი ციფრები მეტყველებენ, მდგომარეობა საგრძნობლად გამოიცვალა. გაუგებრობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა კომკავშირის ირგვლივ, იფანტება და კომუნისტური ახალგაზრდობის გავლენა მშრომელი მოსახლეობის თვალში თანდათან იზრდება.

საერთოდ კი, ახალი საბჭოების კომუნისტური შემადგენლობა შარშანდელთან შედარებით გაიზარდა. ამ მხრივ პარტია მეტი გამარჯვებით გამოვა მიმდინარე არჩევნებიდან, ვიდრე შარშან. ეს მით უფრო უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა დემოკრატიზმი განსაკუთრებულ სიმტკიცით ტარდება დღევანდელ არჩევნებში. მშრომელმა მასებმა მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს, ერთხელ კიდევ განაცხადეს საქვეყნოდ, რომ ისინი კომუნისტურ პარტიასთან იყვენ და არიან და მხოლოდ ამ პარტიას ანდობენ თავიანთ სვე-ბედს.

საბჭოთა არჩევნები უდიდესი პოლიტიკური გამოცდაა პარტიისა და ხელისუფლებისათვის. უკვე მიღებული შედეგები იმას მოწმობენ, რომ ეს გამოცდა კომუნისტურმა პარტიამ და ჩვენმა ხელისუფლებამ ღირსეულათ ჩააბარეს. ჯერი ახლად არჩეულ საბჭოებზეა, რომლებმაც უნდა გაამართლონ ამომრჩეველთა მიერ მათზე დამყარებული იმედები. ახალი საბჭოების სოციალურ და პარტიულ შემადგენლობის გაუმჯობესება სრულ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისინი ღირსეულად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მუშაობას.

სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის შესახებ

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ჩვენი პარტიის გეზი სასოფლო-სამეურნეო მუშების საკითხში ცნობილია. ჩვენი ხაზი მკაფიოდ და გარკვევით ჩამოყალიბებულია პარტიის მრავალრიცხოვან დოკუმენტებში. მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის სხვადასხვა საფეხურზე სასოფლო-სამეურნეო მუშების როლსა და ამოცანებს ჩვენ ყოველთვის სავსებით მკაფიოდ ვსახავდით აზრი, რომელიც წითელ ზოლივით გადის პარტიის ყველა განცხადებებში ამ საკითხის გარშემო, მდგომარეობს იმაში, რომ თავის ბრძოლაში ქალაქის პროლეტარიატს შეუძლია და უნდა დაეყრდნოს პირველყოვლისა სოფლის პროლეტარებს და ნახევრად პროლეტარებს, ე. ი. პირველყოვლისა სასოფლო-სამეურნეო მუშებს. ამ აზრმა ბრძოლის სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა გვარი კონკრეტიული განსახიერება ჰპოვა. პარტიის თავისებური ამოცანები სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის მიმართ და თვით სასოფლო-სამეურნეო მუშების ამოცანები ჩვენი განვითარების ეხლანდელ ხანაში ჩამოყალიბებულია ჩვენი პარტიის ცეკას დადგენილებაში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა „პრავდა"-ში. ეს დადგენილება ჯამს უკეთებს ადგილების კონკრეტიულ პრაქტიკულ გამოცდილებას სასოფლო-სამეურნეო მუშებს შორის მუშაობის დარგში. ამ წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი დაგროვდა ასეთი ცოცხალი გამოცდილება. ჯამის გაკეთება გამოცდილებათათვის საშუალებას, გვაძლევს ავირჩიოთ მათ შორის უფრო ძვირფასი და წამოვაყენოთ ის ურყევ პარტიულ დირექტივად. ლაპარაკია სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის შეკავშირების წესებზე, მისი კულტურული დონის ამაღლებაზე და ქვეყნის, კერძოდ, სოფლის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ პროლეტარიატის უფრო ფართოდ ჩაბმაზე. სოფლად მუშაობის ამოცანები სავსებით გარკვეულია. საჭიროა მხოლოდ უფრო მკაფიო პრაქტიკულ-კონკრეტიული მითითება და სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის ადგილის განსაზღვრა მუშაობის ამ საერთო სისტემაში, რომლის შინაარსი ჩამოყალიბებულია პარტიულ გადაწყვეტილებებში სასოფლო-სამეურნეო მუშების ხვედრი წონა აქ ამჟამად იზრდება და უნდა იზრდებოდეს; ეს კი პირველყოვლისა დაკავშირებულია თვით სოფლის პროლეტარიატის ზრდასთან.

სასოფლო-სამეურნეო მუშების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. სტატისტიკა აქ ძლიერ მოიკოჭლებს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იმ პირთა რაოდენობა, რომელნიც მხოლოდ და უმეტესად დაქირავებით შრომას ეწევიან სოფლად, უდრის ორნახევრიდან სამ მილიონს კაცს. დამახასიათებელია, რომ პროფკავშირის წევრს სასოფლო-სამეურნეო მუშების რიცხვი 1926 წლის 1-ლ ოქტომბრს დაახლოვებით უდრიდა 1.106.000 კაცს, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი, ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ნახევარზე მეტი შეუკავშირებელი რჩება.

განსხვავება სამრეწველო პროლეტარიატის შეკავშირებასთან შედარებით მეტად საგრძნობია.

ეჭვს გარეშეა, რომ სასოფლო სამეურნეო მუშების რიცხვი შემდეგშიაც კიდევ უფრო გაიზრდება. ამას ხელს უწყობს გლეხობის ფენებად დაყოფა.

ამასთან ერთად ჩვენ სოფლად ვამჩნევთ, რომ იზრდება საზოგადოებრივი პოლიტიკური აქტივობა მოსახლეობის ყველა ფენების, მათ შორის პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილ კლასების და გლეხობის ექსპლოატატორულ ზედა ფენებისაც.

ამიტომ სასოფლო-სამეურნეო მუშებს შორის მუშაობის მეთოდების უფრო სწორად, უფრო კონკრეტიულად, ადგილების მდიდარ გამოცდილებაზე დამყარებით განსაზღვრამ უეჭველად სარგებლობა უნდა მოიტანოს.

რა ზომებზე, რა გზებზე და რა საშუალებებზე მიგვითითებს პარტია—ეს მკითხველმა იცის საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილებიდან.

საჭიროა, რომ სოფლის ყველა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, პროფესიონალურმა და საბჭოთა ორგანოებმა აუცილებელ სახელმძღვანელოდ მიიღონ პარტიის დირექტივები, რომელთაც მივყევართ სოფლად პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უმთავრეს კლასიურ ბაზის, სოფლის პროლეტარული ნაწილის, შემდგომი განმტკიცებისაკენ.

სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატი უნდა დაიწიოს თავისი შეკავშირებით და შეგნებით თავის სამრეწველო ძმებს. სოფლის მოსახლეობის პროლეტარულ ნაწილს არ შეუძლია და ის არც უნდა შეურიგდეს სხვა ფენების კუდში ჩანჩალს. პირიქით, სოფლის მუშა ისევე, როგორც ქალაქის მუშა, უნდა იდგეს საბჭოთა საზოგადოებრიობის სათავეში და ხელმძღვანელობდეს მას. სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის წარმომადგენლებმა უნდა დაიპყრონ ღირსეული ავტორიტეტი ყველა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

უამისოდ შეუძლებელია არა თუ სასოფლო-სამეურნეო მუშების ეკონომიურ და კულტურული ინტერესების წარმატებით დაცვა, არამედ აგრეთვე მუშების და გლეხების კავშირის შემდგომი განმტკიცება.

მოსკოვი, 4 მარტი.

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის საკითხი თემთა პალატაში

რუსი თეთრგვარდიელების თარეში ჩინეთში

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

იაპონია ჯარებს გზავნის შანხაიში

ურთიერთობა ინგლისთან

კამათი თემთა პალატაში

ლონდონი, 3 მარტი. რეიტერის სააგენტო იტყობინება:

იმ მიზნით, რომ ფორმალური საბაბი მიეცა ინგლის-საბჭ. კავშირის ურთიერთობის შესახებ კამათის დაწყებისათვის, ლიბერალმა დეპუტატმა **სინკლერმა** თემთა პალატაში შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა გარეშე საქმეთა მინისტრის ჩემბერლენის ჯამაგირის შემცირებას 100 გირ. სტერლინგით. თავის სიტყვაში სინკლერმა აღნიშნა, რომ ინგლისის ინტერესებს რუსეთში და ჩინეთში შეადგენს მშვიდობიანობის დაცვა და ვაჭრობის წარმოება.

სინკლერის აზრით, საბჭოთა მთავრობის ნოტის საბოლოო სიტყვებში, უკეთესი ურთიერთობის დამყარების სურვილის შესახებ ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის შეიძლება ამ ურთიერთობის ნამდვილად გაუმჯობესება, საყოველთაო მშვიდობიანობისათვის საძირკველის ჩაყრა და რუსეთის განთავისუფლების დაჩქარება ბოლშევიკური ბატონობისაგან".

რობერტ ხორნის სიტყვა

კონსერვატორი **რობერტ ხორნი** ეხება 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულებას და ამბობს:

„მე ვფიქრობ, რომ აივსო ჩვენი მოთმინების ფიალა. ჩვენ ვერ დავიხევთ ჩვენი ნოტისაგან ისე, თუ არ დავკარგავთ პრესტიჟს მსოფლიოს თვალში".

მაკდონალდის სიტყვა

შემდეგ გამოსულმა **მაკდონალდმა** განაცხადა, რომ ის ემხრობა სავაჭრო შეთანხმების შენარჩუნებას და აღნიშნა, რომ დიპლომატიური ურთიერთობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის მუდამ ხელს უშლიდა ამ შეთანხმების განვითარების შესაძლებლობას.

შემდეგ, გაუკეთა რა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები ჩემბერლენის ნოტის ცალკე მუხლებს. მაკდონალდმა განაგრძო:

„ჩვენ ვაჭარბებთ საბჭოთა მთავრობის ჩვენდამი მტრობის შეფასებაში. მე დაბეჯითებით მოვითხოვ, რომ ინგლისის და რუსეთის წარმომადგენლებმა უფრო მჭიდროთ მოიყარონ თავი მაგიდის გარშემო, და რომ განსვენებულ კრასინის მაგიერ დანიშნულ იქნას ოფიციალური წარმომადგენელი. შემდეგ, როდესაც ჩაქრება ციმბირიდან მომავალი რეაქცია და რუსეთში ამ რეაქციას შესცვლის პოლიტიკური და საერთაშორისო პასუხისმგებლობის ევროპიული კონცეპცია, მაშინ გამოიღებს თავის ნაყოფს სავაჭრო შეთანხმება და დიპლომატიური ურთიერთობა".

ჩემბერლენის განმარტება

შემდეგ გამოსულმა **ჩემბერლენმა** სთქვა:

„მე არა ერთხელ ვაცხადებდი პროტესტს საბჭოთა მთავრობის კონკრეტიული მოქმედების წინააღმდეგ, მაგრამ არას დროს არ მიმიღია დამაკმაყოფილებელი პასუხი. თვითეულ ჩემ მიერ მოყვანილ შემთხვევის დროს, ინგლისში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების ყურადღებას მე მივაქცევდი იმას, რომ ინგლისის მთავრობა ჩივის არა ცალკე მოქმედებაზე, არამედ შეთანხმების ძირითად მიზნისადმი დაუდევარ მოპყრობაზე საბჭოთა მთავრობის მხრივ. ჩვენ ვჩიოდით არა ამა თუ იმ ადგილას წარმოთქმულ სიტყვაზე, არამედ მსოფლიო რევოლიუციის შეგნებულ გაღვივებაზე და შეგნებულ ჩარევაზე სხვა ერთა შინაურ საქმეებში. ამ საქმეებში მონაწილენი არა თუ სცნობდინ მას, არამედ კვეხულობდიენ კიდეც მით".

შემდეგ მიუთითებს რა სავაჭრო შეთანხმებაში არსებულ მუხლზე, რომლის თანახმადაც საბჭოთა მთავრობა ვალდებულია შეიკავოს თავი რაიმე მტრული მოქმედების წაქეზებისაგან ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ აზიის რომელიმე ერის მხრივ, ჩემბერლენი იძლევა კითხვას:

„არის თუ არა ისეთი ადამიანი რომელიც დღევანდელ მომენტში თანახმა იყოს, რომ ის, რაც ჩაიდინეს და რასაც ჩადიან საბჭოები, პირდაპირ არ ეწინააღმდეგებოდეს საბჭოების მიერ მიღებულ ვალდებულებას?"

შეეხო რა სინკლერისა და მაკდონალდის განცხადებებს, რომლებშიც ისინი ემხრობიან ახალი მოლაპარაკების დაწყებას სხვა შეთანხმების დასადებად, ჩემბერლენი ამბობს:

„რა აზრი აქვს მოლაპარაკების წარმოებას ახალი შეთანხმების დასადებად, როდესაც საბჭოებმა ვერ შესძლეს მათ მიერ წინად ნაკისრ ვალდებულებების შესრულება? თუ მოგვიხდებოდა მხედველობაში მიგვეღო მხოლოდ ჩვენი შინაური მდგომარეობის ან და საბჭოთა მთავრობასთან სავაჭრო შეთანხმების და დიპლომატიური ურთიერთობის ღირებულება, მაშინ მე ვფიქრობ, რომ დიდხანს არ დავაყოვნებდი, ვიდრე ურჩევდი მთავრობას მიღებულ ზომას. მაგრამ რანაირი პროვოკაციაც არ უნდა მოგვიწყონ ჩვენ, როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი საკუთარი ინტერესები, მაინც საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ის, რომ უეცარი კავშირის გაწყვეტა ინგლისსა და რუსეთს შორის იმოქმედებდა მთელი ევროპის მდგომარეობაზე. ამიტომ მე ვურჩევდი ინგლისის მთავრობას, რომ ის პროვოკაციის პირობებში, რომელიც გრძელდება, როგორიც არ მოუწყვია ჩვენთვის არც ერთ ერს და რომელსაც არა აქვს პრეცედენტი საერთაშორისო დამოკიდებულებაში, ურჩევდი მოთმინების და თავდაჭერის გამოჩენას".

შემდეგ ჩემბერლენი გედაჭრით უარყოფდა საბჭოთა მითითებებს იმაზე, რომ ინგლისის პოლიტიკა ხელს უწყობს მღელვარებას აღმოსავლეთ-ევროპაში, იყენებს აღმოსავლეთ-ევროპის სახელმწიფოებს ანტისაბჭოთა პოლიტიკის იარაღად და ამ სახელმწიფოებს და ევროპის უდიდეს ერებს აერთიანებს დიდ ანტისაბჭოთა შეთქმულებაში.

„არაფერი არ არის სიმართლეს ისე მოკლებული, როგორც ეს მტკიცება,—ამბობს ჩემბერლენი. ყოველ უცხოელ დიპლომატიურ წარმომადგენელს, მათთან საუბრის დროს, მე ყოველთვის ურჩევდი მშვიდობიანობის პოლიტიკას. მე კატეგორიულად უარვყოფ გერმანულ ცნობებს ვარშავსა და ლონდონს შორის წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ, რომ თითქოს პოლონეთის მთავრობამ იკისრა პოლიტიკური და სამხედრო ვალდებულებები ინგლისის მიმართ. თუ ინგლისის მთავრობას მე ყოველთვის ურჩევდი მოთმინებას და თავშეკავებას, ამასთან ერთად მე ყოველთვის ვგრძნობდი და შეგნებული მქონდა, რომ ყოველგვარ მოთმინებას აქვს თავისი საზღვარი. საბჭოთა პასუხი ინგლისის ნოტაზე ვერ ურტყამს მიზანში. ჩვენ არ გვქონდა სურვილი და არც ვცდილვართ ჩავრეულიყავით საბჭოთა მთავრობის მოქმედებაში მის საკუთარ ფარგლებში. მის წინააღმდეგ დედამიწის არც ერთ კუთხეში ჩვენ არავითარ დიპლომატიურ კამპანიას არ ვაწარმოებდით, და ჩვენი მოქმედება ეთანხმებოდა არა მარტო სიტყვას, არამედ ურთიერთ ნაკისრ ვალდებულებებსაც. ჩვენ საბჭოთა მთავრობისაგან იმასკი არ მოვითხოვდით, რომ მას შეეცვალა თავისი შინაგანი რწმენა და შეეწყვიტა თავის ხალხისთვის საბჭოთა წყობილების უპირატესობის მტკიცება, არამედ იმას, რომ შემდეგში მას თავისი პოლიტიკა შეეთანხმებია საერთაშორისო ურთიერთობაში მიღებულ ჩვეულებრივ წესებისთვის, თავი შეეკავებია მსოფლიო რევოლიუციის გამოწვევის ცდისაგან და შეეწყვიტა ყოველგვარი ჩარევა ჩვენს შინაურ საქმეებში. ჩვენ არ გვინდა, რომ საბჭოთა მთავრობამ მხოლოდ სიტყვით იკისროს ეს ვალდებულებები, რადგან სიტყვიერ აღიარებას ჩვენ ვერ მივიღებთ. ჩვენ ვჩიოდით მოქმედებაზე და შემდეგშიც მოქმედებაზე მივაქცევთ, ყურადღებას, რათა გამოვარკვიოთ—შეიძლება თუ არა ჩვენ წინააღმდეგ მიმართულ ამ მთელ რიგ შეურაცხმყოფელ მოქმედებით გამოწვეულ შედეგების გამოსწორება; ან და ფუჭი იყო ინგლისის და მთელი ბრიტანეთის იმპერიის მიერ გამოჩენილი მოთმინება და თავშეკავება, რაც უკვე შეუძლებელი ხდება".

„მთავრობა იტოვებს უფლებას—ათავებს სიტყვას ჩემბერლენი,—იმსჯელოს ყოველ იმ ნაბიჯის მიზანშეწონილობაზე, რომელიც გახდება მისი განხილვის საგნად, აგრეთვე იმ მომენტზე, თუ როდის უნდა გადაიდგას ეს ნაბიჯი. მაგრამ მე სწორად ჩავთვლიდი, ვიდრე მივმართავდეთ უკიდურეს ზომებს, მთელი მსოფლიოს ყურადღება მივაქცია ჩვენი ბრალდებების სერიოზულ ხასიათზე და საბჭოთა მთავრობისათვის მიგვეცა კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომ თავისი მოქმედება შეუთანხმოს იმ საერთო წესებს, რომლებიც აწესრიგებენ საერთაშორისო ცხოვრებას და ერთა შორის ურთიერთობას".

ლოიდ-ჯორჯის სიტყვა

ჩემბერლენის შემდეგ გამოსულმა **ლოიდ-ჯორჯმა** სავსებით მოიწონა ჩემბერლენის სიტყვის ძირითადი დებულებები და გაკიცხა ინგლისის მინისტრების მიერ წარმოთქმული საჯარო სიტყვები, სადაც ისინი ილაშქრებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ.

„ეს სიტყვები,—სთქვა ლოიდ-ჯორჯმა,—დამამცირებელია, უღირსი, მავნე და დიდი ქვეყნისთვის შეუფერებელი".

ლოკერ-ლემპსონის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა კონსერვატორი **ლოკერ ლემპსონი**, შუბლმაგართა ანტისაბჭოთა კამპანიის ხელმძღვანელი, რომელმაც გაკვირვება გამოსთქვა იმის გამო. რომ ნოტამ „ვერ გამოიწვია კავშირის გაწყვეტა მათთან, ვინც უკვე გაწყვიტა კავშირი ინგლისთან".

„განა თქვენ გსურთ ისეთი მშვიდობიანობა,—სთქვა ლოკერ ლემპსონმა,—რომელიც შესაძლებლობას მისცემს ბოლშევიკებს ბრიტანეთის იმპერია გადააქციონ ფეხის ბურთად?"

სნოუდენის სიტყვა

შემდეგ გამოსულმა **სნოუდენმა**, მუშათა პარტიის დეპუტატმა, მოუწოდა ჩემბერლენს კიდევ ერთხელ ეცადნა საკითხის მოწესრიგება მეგობრული გზით რისთვისაც უნდა მოიწვიოს რუსები და ხელახლა განიხილოს საკითხი".

„რუსული ნოტის დასკვნითი ნაწილი,—სთქვა სნოუდენმა,—მოწმობს საბჭოთა მთავრობის გულწრფელ სურვილს მოაწესრიგოს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის მთავრობა გონივრულად და მეგობრულად შეხვდება ამ ნაწილს".

კენჭის ყრა

კამათის შემდეგ, ლიბერალების მიერ შეტანილი წინადადება ჩემბერლენისათვის ჯამაგირის შემცირების შესახებ, უარყოფილ იქნა 271 ხმის უმრავლესობით 146-ის წინააღმდეგ. (ადს).

მარქსი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ბერლინი, 3 მარტი. ბერლინში პრესის წარმომადგენელთა კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში რეიხსკანცლერმა მარქსმა განაცხადა, რომ გერმანიის პრესამ სავსებით სწორათ გამოსთქვა იმედი, რომ შესაძლო გახდება იმ დაბრკოლებათა მოსპობა, რომლებმაც თავი იჩინა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ჩვენი პოზიცია სავსებით გარკვეულია. გერმანიის პოლიტიკის ხაზი განისაზღვრება ლოკარნოს ხელშეკრულებით და საბჭოთა კავშირთან ბერლინში დადებულ ხელშეკრულებით. ჩვენ მტკიცედ დავიცავთ ამ პოლიტიკურ ხაზს.

უცხოეთის პრესა საბჭოთა პასუხის შესახებ

დანიის პრესა

ჩემბერლენი ორ სკამზე ზის

სტოკჰოლმი, 4 მარტი. დანიის ლიბერალების ორგანო **„პოლიტიკენ"** ინგლისის ნოტას ეხება ირონიით.

„ნოტა—სწერს გაზეთი—წარმოადგენს ჩემბერლენის ცდას მიაღწიოს კომპრომისს შუბლმაგართა და საკითხის მშვიდობიანად გადაჭრის მომხრეთა შორის. ჩემბერლენმა ამ ნოტით ვერავისი გული ვერ მოიგო, ხოლო საბჭოებს შესაძლებლობა მისცა გამოეგზავნათ მკაცრი პასუხი, რომელიც ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაუარესების შედეგებისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს ინგლისს".

ლიბერალური **„დაგენს ნიუხეტერ"**. კომენტრიებს უკეთებს რა ნოტების გაცვლა-გამოცვლას, აღნიშნავს, რომ სავსებით შესაძლოა „ზინოვიევის წერილი" ყალბი იყო.

გაზეთის აზრით, არ უნდა მოველოდეთ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის ჩაშლას.

„რუსეთს და ინგლისს—სწერს გაზეთი—ურთიერთობა აქვთ საერთაშორისო პოლიტიკის მრავალ საკითხებში და ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ შეეძლოთ ერთი მეორისათვის გვერდის ახვევა".

საფრანგეთის პრესა

პარიზი, 3 მარტი. ეხება რა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობას, ნაციონალურ ბლოკთან დაახლოებული **„ფიგარო"** სწერს:

გერმანია შეეცდება პატიოსანი შუამავლის როლი ითამაშოს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. რაც შეეხება საფრანგეთს, რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს საბჭოთა კავშირმა იმაზე. რომ მას სურს შეთანხმების მიღწევა ჩვენთან, მისი პოზიცია საფინანსო მოლაპარაკების წინ ნათელია.

როცა შეცდომაში შეყვანილი ინგლისი გონს მოდის, ჩვენ არ გამოვთქვამთ სიმპატიებს ჩვენი ცივილიზაციის შეურიგებელ მტრებისადმი.

„ვოლონტე" აღნიშნავს, იმ მუშაობას, რომელსაც ინგლისი აწარმოებდა საბჭოთა კავშირის იზოლიაციის მიზნით".

„მოხდენილია ყველა ძალების მობილიზაცია—სწერს გაზეთი. საკვირველია, როცა ამ ძალების შორის ვხედავთ გერმანიის და საფრანგეთის სოციალისტებს. რომლებიც გააფრთებულ კამპანიას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. **ყოველი რევოლიუციონერი უნდა მიესალმოს საბჭოთა კავშირს, რომელმაც გერმანია გამოიყვანა რევოლიუციის დამცველ ძალების სასარგებლოდ. სოციალისტების კამპანია დახმარებას უწევს ინგლისელ რეაქციონერებს, რომელთაც უნდათ ომი და ომს ისინი დაიწყებენ, ვინაიდან მათ მოსვენებას არ აძლევს მუშათა მოძრაობის ზრდა.** (ადს).

ტრედ-იუნიონისტური მოძრაობა საფრთხის წინაშე

(წერილი ინგლისიდან)

ამ ორი კვირის წინედ ვინმე ფორსტერმა, სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირის წევრმა, აღძრა პროცესი თავის კავშირის წინააღმდეგ, პროცესის მიზანი იყო იურიდიულად აეკრძალა კავშირისათვის საწევრო ანარიცხების ერთი ნაწილის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენება, როგორც მაგალითად, თანხების გაღება ტრედ-იუნიონების კონგრესის ფონდის გასაძლიერებლად, ტრედ-იუნიონების კონგრესის და მუშათა პარტიის ყოველდღიურ გაზეთისათვის მხარის დაჭერა.

ფორსტერის მიერ წამოწყებულ პროცესს უშუალოდ ხელმძღვანელობდა „მორნინგ-პოსტი", რომელმაც გახსნა ამ მიზნისათვის ხელის მოწერა თავის ფურცლებზე.

სასამართლომ უარი უთხრა ფორსტერს სარჩელში და ტრედ-იუნიონისტურმა პრესამ ეს ჩასთვალა „უდიდეს გამარჯვებად".

ეს ნაადრევი და მოუფიქრებელი ზეიმია. სასამართლოს თითქოს მოულოდნელი განაჩენი ამ შემთხვევაში სხვა არა არის რა, თუ არა მთავრობის მოხერხებული მანევრი. საქმის ფორსტერის სასარგებლოდ გადაჭრა გამოიწვევდა ტრედ-იუნიონისტურ მასსების უშუალო მღელვარებას. ეს კი ძალიან შეაფერხებდა მთავრობის შეტევის გეგმას, მომართულს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. მთავრობის გამოლაშქრებას, რომელიც დიდი ხანია მზადდება და რომელიც მზადების უკანასკნელ სტადიაში იმყოფება, წინააღუდგებოდა მუშათა კლასის აღშფოთება. პირიქით, ფორსტერის განზრახვების უარყოფით ლამობენ დააძინონ მუშათა მოძრაობა.

პარლამენტის მუშაობის განახლების შემდეგ, შემოტევა მუშათა ორგანიზაციებზე შეუწყვეტლივ ვითარდება, მაგრამ ტრედ-იუნიონისტურ მოძრაობის და მუშათა პარტიის მემარჯვენე ბელადები სცდილობენ თვალი დახუჭონ ამ უდავო ფაქტის წინაშე. სახელმწიფოს პროგრამა, პარლამენტის მომავალ სესიისათვის განისაზღვრება ტრედ-იუნიონების უფლებათა რეფორმის საკითხით.

ქვანახშირის წარმოებაში შექმნილ კონფლიქტის და საერთო გაფიცვის შემდეგ, სთქვა მეფემ თავის სიტყვაში, აუცილებელია ტრედ-იუნიონის შესახებ კანონმდებლობის შეცვლა.

სახელმწიფოს ზრახვები ამ შემთხვევაში დღესავით ნათელია. უნდათ რაც შეიძლება მეტად გამოიყენონ მემაღაროეთა დამარცხება. უნდათ **მხოლოდ და მხოლოდ** მუშათა კლასის ხარჯზე აანაზღაურონ ის ზარალი, რომელიც მოჰყვა საერთო გაფიცვას და ის აუარებელი ხარჯები, რომელიც გაიღო სახელმწიფომ მემაღაროეთა დამარცხების მიზნით. უნდათ რომ ერთხელ კიდევ სცადონ მრეწველობის სტაბილიზაცია მუშათა კლასის ხარჯზე.

ამისათვის კი საჭიროა პირველ ყოვლისა გაფიცვის გამოცხადების შესაძლებლობის შესუსტება.

მთავრობის ბილი ჯერ არ არის წარდგენილი პარლამენტში. მაგრამ ის მზად არის და საკითხის განხილვა დაიწყება უახლოეს კვირაში.

თემთა პალატის მუშაობის განახლების წინ სამანქანო ინდუსტრიის მეპატრონეთა ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა წაუყენა მთავრობას შემდეგი ულტიმატუმი, რომელსაც სახელმწიფო, ყოველ ეჭვს გარეშეა, **დაამტკიცებს**.

ამ მოთხოვნილების მიხედვით **ტრედ-იუნიონები იქნებიან პასუხისმგებელნი იმ ზარალში**, რომელიც გამოწვეული იქნება მათი ნაბიჯებით ანდა მათი თანამშრომლების მიერ ცალკე კავშირებისთვის ხელმძღვანელობის გაწევის გზით და იმ მოქმედებისთვისაც, რომელიც თუმცა სპეციალურად მათ მიერ არ არის ნაკარნახევი, მაგრამ რომლებიც შედიან მათი ბელადების უფლებამოსილობის ფარგლებში.

ტრედ-იუნიონების ფონდი უნდა დანაწილდეს სამ ნაწილად: დაზღვევის ფონდი, პოლიტიკური ფონდი და სხვა ფონდები.

სპეციალურ პოლიტიკურ მიზნებისთვის დანიშნულ ანარიცხების აკრეფა თუ სავსებით აკრძალული არ იქნება, ყოველ შემთხვევაში უნდა შეიცვალოს. არსებულ პრაქტიკის მიხედვით ტრედ-იუნიონის წევრებმა უნდა შეადგინონ ფორმალური დეკლარაცია, რომ მათ არ სურთ პოლიტიკურ ფონდისათვის ანარიცხების გაღება.

გაფიცვა საზოგადო საჭიროებისათვის მიუცილებელ დაწესებულებებში კანონით აკრძალული იქნება.

ეს შეეხება არა მარტო სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეებს არამედ კერძო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებსაც, რომლებიც იქნებიან ცნობილი მიუცილებლად „საერთო" კეთილდღეობისათვის.

ამნაირად ჩვენ საქმე გვაქვს ტრედ-იუნიონების წინააღმდეგ დიდი მასშტაბით წარმოებულ შეტევასთან. ინგლისის ბურჟუაზიისათვის საჭიროა მემაღაროეთა დამარცხების მაქსიმალური გამოყენება და მთელი მისი ცდაც აქეთკენაა მიმართული.

დავიდ.

საბჭოთა კავშირის გენერალური კონსულის ნოტა

პეკინის მთავრობას

პეკინი, 4 მარტი. საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა შანხაიში **ლინდემ** პეკინის მთავრობის დიპლომატიურ კომისარს ნანკინში ტელეგრაფით შემდეგი ნოტა გადაუგზავნა:

„ჩემს მიერ მიღებულ ცნობებით, ჩჟან-ცზუნ-ჩანის რეგულიარულ არმიაში მყოფმა რუსმა თეთრგვარდიელებმა დააკავეს საბჭოთა სავაჭრო გემი „პამიატ ლენინა", რომელიც ხანკოუში მიდიოდა. მიღებული ცნობების თანახმად, ადგილობრივი სამხედრო ხელისუფლებათა წარმომადგენლები იყენებენ ეხლა ამ გემს ჯარების და სამხედრო იარაღების გადასაზიდათ. გემის მგზავრები, მათ შორის დიპლომატიური შიკრიკები დაჭერილი არიან. ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანოებმა ამის შესახებ არაფერი არ აცნობეს საბჭოთა დიპლომატიურ წარმომადგენლებს და გემის კაპიტანს საშუალება არ მისცეს კავშირი დაეჭირა ნაპირთან. გაკისრებთ რა მომხდარი ამბის შედეგებისათვის მთელს პასუხისმგებლობას და აგრეთვე, პასუხისმგებლობას პირადი და ქონებრივი ზარალისათვის, მოვითხოვ დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნეს გემი და მისი მგზავრები და საშუალება მიეცეთ გზის განგრძობისა დანიშნულებისამებრ. (ადს).

ჩინეთის იმპერიალისტები

ჩინეთი ემზადება ინგლისისათვის ბოიკოტის გამოსაცხადებლად

ნიუ-იორკი, 3 მარტი. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნ"-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება:

„ინგლისელების მიერ თავდაცვითი ხაზის გაყვანამ შანხაის საერთაშორისო უბნის ფარგლებს გარეთ, გამოიწვია ძლიერი ანტი-ინგლისური განწყობილება მდინარე იან-ცზის ზემო ღელეში. კვლავ აყენებენ მოთხოვნილებას ინგლისელებისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ. შეწყვეტილია სანაოსნო კავშირი მდინარე იან-ცზის სათავესთან. ევგენი ჩენმა და ველინგტონ კუმ (პეკინელი პრემიერი) აცნობეს „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის" თანამშრომელს, რომ ამჟამად შეუძლებელია ყოველგვარი ლაპარაკი ახალი ხელშეკრულებების შესახებ, რადგან შანხაიში ინგლისელები თავს უყრიან თავის ძალებს.

„ასოშიეიტედ პრესის" შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 5 მარტს შანხაიში გადმოსხეს ამერიკის ჯარისკაცები. საერთაშორისო უბნის, ქუჩებში ალლუმის შემდეგ, ჯარისკაცები გემებზე იქნებიან დაბრუნებულნი (ადს).

ინგლისის ჯარების გადმოსხმა შანხაიში
რეიდზე სდგას ინგლისის დრედნოუტი.

ამერიკული ნეიტრალიტეტი

ნიუ-იორკი, 4 მარტი. კონგრესის შეკითხვის საპასუხოთ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა თავის წინანდელი განცხადება, რომ ამერიკის სამხედრო ძალებს შანხაიში დანიშნულებად აქვთ მხოლოდ და მხოლოდ თავის მოქალაქეთა სიცოცხლის და ქონების დაცვა. ჩრ.-ამერ. შეერთებული შტატების მთავრობას არც ერთ სახელმწიფოსთან არავითარი მოლაპარაკება არ გაუმართავს საერთო სამხედრო მოქმედების შესახებ.

შანხაიდან მოსულ ცნობის შესახებ, თითქოს ამერიკის ჯარების დანიშნულება შანხაიში საერთაშორისო კვარტალში დაწყებულ გაფიცვის წინააღმდეგ მოქმედება იყოს, საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ამერიკის ადმირალს მიცემული აქვს რწმუნება გამოიყენოს ჯარები თავისი შეხედულებისამებრ. (ადს).

პეკინის მთავრობის მკაცრი პროტესტი

შანხაი, 4 მარტი. დღეს პეკინის მთავრობის საგარეო რწმუნებულმა შანხაიში საკონსულო კორპუსის უხუცესს შანხაიში გადასცა მკაცრი პროტესტი მოთხოვნილებით, დაუყონებლივ გაყვანილ იქნეს ინგლისის ჯარები, რომელნიც საერთაშორისო უბნის ფარგლებს იქით არიან დაბანაკებულნი (ადს).

იაპონიის საზღვაო ქვეითა ჯარი შანხაიში

ნიუ-იორკი, 3 მარტი. პრესის ცნობ. ს., შანხაიში გადმოსხეს იაპონიის საზღვაო ქვეითა რაზმი 900 ჯარისკაცის შემადგენლობით. რაზმა ალლუმით გაიარა საერთაშორისო უბნის ქუჩები და შემდეგ დაბრუნდა გემებზე.

5 მარტს შესდგება ამერიკის საზღვაო ქვეითა ჯარის ალლუმი.

2 მარტს გაიმართა ინგლისის საზღვაო ქვეითა რაზმის ალლუმი. ალლუმში მონაწილეობდა 1.000 ჯარისკაცი (ადს).

ინგლისელები საომარ მასალას ყიდულობენ

სტამბოლი, 3 მარტი. ოსმალურ გაზეთების ცნობით, ინგლისის საელჩოს თანამშრომელი სტამბოლში, კაპიტანი ხოინი რუს თეთრგვარდიელებს შორის აგროვებს მოხალისეებს ჩინეთში გასაგზავნად. მოხალისეები ხელს აწერენ ვალდებულებას 7 თვის ვადით. მოხალისეები ჯერ გაიგზავნებიან სერბიაში, შემდეგ სალონიკში, სადაც თავს უყრიან სხვა ქვეყნებში შეგროვებულ რუს მოხალისე თეთრგვარდიელებს. სალონიკიდან ყველა მოხალისეები გაიგზავნებიან ჩინეთში. (ადს).

იაპონიის კრეისერები შანხაიში

ტოკიო, 3 მარტი. შანხაისაკენ დაიძრა იაპონიის 2 კრეისერი საზღვაო ქვეითა რაზმით, რომელიც 500 კაცისაგან შესდგება (ადს).

ინგლისის ჯარები შანხაიში
ინდოელ ჯარისკაცთა რაზმი შანხაის ქუჩებზე

შანხაის პროფორგანიზაციების პროვოკაცია

შანხაი, 3 მარტი. საღამოს გაზეთების ცნობით, საერთაშორისო უბნის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს არალეგალური მუშათა ორგანიზაცია სახელწოდებით: „შრომის დაცვის ლიგა", რომელიც თითქოს ემორჩილებოდა შანხაის პროფკავშირთა საბჭოს. (ადს).

ჩჟან-ძუნ-ჩანი ძალებს იკრებს

ლონდონი, 3 მარტი. რეიტერის სააგენტო შანხაიდან იტყობინება:

„ჩჟან-ძუნ-ჩანი აძლიერებს გარნიზონს ჩჟუ-ჩჟოუში (შანხაიდან 80 კილომეტრის მანძილზე), რადგან ეშინია, რომ სამხრეთელებმა არ გადაუჭრან მთავარი კომუნიკაციური ხაზი—ნანკინის რკინის გზის გასწვრივ. (ადს).

ევგენი ჩენის განცხადება

ნიუ-იორკი, 4 მარტი. შანხაიდან მიღებული ცნობებით, ევგენი ჩენმა გაზ. „ნიუ-იორკ ჰერალდი"-ს კორესპონდენტს განუცხადა შემდეგი:

„უცხოეთის მისიებიდან სასწრაფოთ გამოწვეული სამხედრო აგენტები ფიქრობენ, თითქოს ინგლისელები ემზადებიან ისეთი ამბებისათვის, რომელნიც გამოიწვევენ აუცილებელ ინტერვენციას. ჩემდათავად კი ვფიქრობ, რომ ასეთი პესიმიზმი უსაფუძვლოა. ნაციონალისტები არ გაამწვავებენ კონფლიქტს, ვინაიდან მათ შეუძლიათ ჩაიბარონ შანხაი მოლაპარაკების საშუალებით (ადს).

გერმანიის კომპარტიის მე-11 ყრილობა

გ. კ. პ. ც. კ. მუშაობა

ესენი, 3 მარტი. 2 მარტს გერმანიის კომპარტიის ყრილობაზე მოსმენილ იქნა საანგარიშო მოხსენება ცეკას მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან ჩანს, რომ კომინტერნის აღმასკომის ღია წერილის გამოქვეყნების მომენტიდან, პარტიამ გააძლიერა მუშაობა მუშათა ფართე მასებთან დასაახლოვებლად და თავისი ავტორიტეტის განსამტკიცებლად ამ მასებს შორის. მეფის გვარეულობათა ქონების კონფისკაციის სასარგებლოდ დაწყებულმა კამპანიამ და შემდეგ მშრომელთა კონგრესმა გააერთიანა მუშათა მასები და წვრილ ბურჟუაზიის და გლეხობის ნაწილი კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ. საანგარიშო მოხსენება აღნიშნავს საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ მუშათა დელეგაციების მიერ ჩატარებულ კამპანიას, მემარცხენე ოპოზიციის ზრდას სოც.-დემოკრატიულ პარტიაში, კომპარტიის თანამგრძნობ ორგანიზაციების განსაკუთრებით, ქალთა წითელი კავშირის ზრდას.

შინაპარტიულ მდგომარეობის სფეროში მოხსენება აღნიშნავს კომუნისტური ფრაქციების მუშაობის გაძლიერებას პროფკავშირებში, პარტიულ დისკუსიის დამთავრებას და მემარჯვენე და უკიდურეს მემარცხენე წვრილბურჟუაზიული ელემენტების გამორიცხვას პარტიიდან.

საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია მუშაობის მთავარი ნაკლულოვანებანი: პოლიტიკურ გამარჯვებათა არასაკმაო ორგანიზაციული გამოყენება, შეცდომები მთლიანი ფრონტის ტაქტიკის გატარების დროს და არადამაკმაყოფილებელი მუშაობა პროფკავშირებში.

ამხ. ტელმანის მოხსენება

ესენი, 3 მარტი. ცეკას საანგარიშო მოხსენების შემდეგ გერმანიის კომპარტიის ყრილობამ მოისმინა ტელმანის მოხსენება გერმანიის კომპარტიის პოლიტიკურ მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ, საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად პრობლემებთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს იმპერიალისტური ომების საფრთხე ძლიერ გაიზარდა. ცალკე იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ინტერესთა წინააღმდეგობების გაღრმავება, ომები მთელ რიგ დაჩაგრულ ერების წინააღმდეგ და ძალების მობილიზაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ—ასეთია ამჟამად იმპერიალისტების პოლიტიკა. სხვებთან ერთად გერმანიის ბურჟუაზიაც გერმანიის ტეხნიკურად მომზადებასთან ერთად ომისათვის, აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრების იდეოლოგიურ მომზადებას. იქმნება მთლიანი ფრონტი კომპარტიიდან გამორიცხულ მასლოვიდან ვილჰელმის გენერალ გოფმანამდე.

გერმანიის შინაურ ცხოვრებაში ბურჟუაზია ყოველგვარ ზომებს ღებულობს ფაშისტური შინაარსი მისცეს მუშათა მოძრაობას ეძებს რა დასაყრდენს თვით ქარხანა-ფაბრიკებშიაც.

თავის შეტევით პოლიტიკაში რეაქცია ცდილობს მიაღწიოს კომპარტიის აკრძალვას. **სოციალ-დემოკრატია ფაქტიურად მხარს უჭერს ბურჟუაზიულ ბლოკს.** ის ბურჟუაზიის მთავარი ორგანოა საზოგადოებრივი ნიადაგის შემზადებაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

ამასთან დაკავშირებით მომხსენებელი აღნიშნავს მიმდინარე მომენტის ძირითად ამოცანებს: **ბრძოლა ომის საფრთხის წინააღმდეგ, მხარის დაჭერა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის რევოლიუციისათვის, ბრძოლა კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, მემარცხენე მოძრაობის განმტკიცება გერმანიის მუშათა მასებში და ლენინიზმის იდეოლოგიურ პოზიციის გაძლიერება პარტიაში.**

ტელმანის მოხსენებამ ყრილობის ხანგრძლივი ოვაცია გამოიწვია.

კამათი მოხსენებათა გარშემო

ესენი, 3 მარტი. 3 მარტს გერმანიის კომპარტიის ყრილობაზე დაიწყო კამათი მოხსენებათა გარშემო.

მარტელსმა გამოაქვეყნა ურბანსის ჯგუფის დეკლარაცია, რომელიც აცხადებს, რომ კომინტერნის აღმასკომის ღია წერილის შემდეგ, რომელიც მიმართული იყო რუტ ფიშერის და მასლოვის წინააღმდეგ, გერმანიის კომპარტიის ხაზი სრულებით შემცდარად უნდა ჩაითვალოს.

ტელმანი, რომელსაც ყრილობა მხურვალე ოვაციებით ხვდება, აშკარავებს დეკლარაციის პროვოკაციულ და ფარისევლურ ხასიათს და შემოაქვს წინადადება არ იქნეს განხილული ურბანსის ჯგუფის პროვოკაციული რეზოლიუცია. ტელმანი აცხადებს, რომ პარტიის არც ერთ წევრს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს კომპარტიიდან გამორიცხულთა ფრაქციულ მუშაობასთან, ვინაიდან ასეთი კავშირი დაუშვებელია და შეუთავსებელია კომპარტიის წევრობასთან. **წინადადება მიღებულ იქნა ყრილობის ხმების დიდი უმრავლესობით.**

პოლონეთის კ. პ. წარმომადგენლის მისალმება

შემდეგ გამოვიდა პოლონეთის კომპარტიის წარმომადგენელი, რომელიც ყრილობას მიესალმა პოლონეთის კომპარტიის დელეგაციის სახელით. მან დაწვრილებით დაახასიათა ის ბრძოლა, რომელსაც პილსუდსკის ფაშისტური ხელისუფლება აწარმოებს მშრომელთა და ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ კამპანიის მიზანია აგრეთვე ნიადაგის მომზადება ანტისაბჭოთა ომისათვის. (ადს).

ბორა კულიჯის წინააღმდეგ

ვაშინგტონი, 3 მარტი. სენატორ ბორამ სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში შეიტანა წინადადება, რათა ნიკარაგუაში და მექსიკაში გაგზავნილ იქნეს კომისია შექმნილი მდგომარეობის ადგილობრივ გამოსარკვევად. წინადადება უარყოფილ იქნა კულიჯის მომხრეების ხმებით.

ბორამ მაინც მიაღწია კომპრომისს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ **სენატისა და საგარეო საქმეთა კომისია მუშაობას განაგრძობს კონგრესის არდადეგების დროს, რაც ბორას შესაძლებლობას მისცემს აწარმოოს აგიტაცია კულიჯის და კელოგის პოლიტიკის წინააღმდეგ ლათინურ ამერიკაში.** (ადს).

სავაჭრო ურთიერთობა ავსტრიასთან

მოსკოვი, 4 მარტი. ამ დღეებში დეპეშებმა მოიტანეს ცნობა, რომ ავსტრიის მთავრობას შეაქვს კანონ-პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს ავსტრიის ექსპორტს საბჭოთა კავშირში.

ამას წინეთ საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებულმა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ, რომელიც ვენაში იყო, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

„ჯერ კიდევ იანვარში ავსტრიის მთავრობამ მიაქცია ავსტრიის საკრედიტო დაწესებულებათ ყურადღება იმაზე, რომ აუცილებელია ნორმალური საკრედიტო ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირთან.

კანონპროექტის აზრი არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ **მთავრობა კრედიტებს მიაწოდებს ავსტრიის მრეწველებს საბჭოთა კავშირში საქონლის ექსპორტისათვის.** მაგრამ კრედიტების რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ შემოსატან საქონელზე დადებული ფასები მისაღები იქნება საბჭოთა კავშირისათვის". (ადს).

კრედიტი საბჭოთა კავშირს

ვენა, 3 მარტი. ავსტრიის მთავრობამ გადაწყვიტა მისცეს საბჭოთა კავშირს დიდი კრედიტი იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მთავრობა ავსტრიას გადასცემს მსხვილ დაკვეთებს მანქანებზე და სხვა ნაწარმოებებზე. (ადს).

ჩემბერლენი ემზადება შტრეზემანის მოსასყიდად

ბერლინი, 4 მარტი. სააგენტო „ტელეგრაფენ უნიონ"-ის (რომელსაც კავშირი აქვს ინგლისის კაპიტალთან) ცნობით, ჩემბერლენი ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე შტრეზემანთან უშუალოდ შეხვედრის დროს მზად იქნება მხარი დაუჭიროს გერმანიის მოთხოვნილებას რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ, თუ კი გერმანია დათანხმდება შესწყვიტოს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

ეს განზრახვა, როგორც სააგენტო იტყობინება, იწვევს შიშს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. გერმანული წრეები კი ირწმუნებიან, რომ **ყოველგვარი ცდა შეასრულონ გერმანიის მოთხოვნილება დასავლეთ საზღვრების შესახებ—გერმანიის პოლიტიკის შეცვლით აღმოსავლეთ ნაწილში, შეხვდება ერთსულოვან წინააღმდეგობას.** (ადს).

გადაფრენა

ატლანტიის ოკეანეზე

ავიატორ პინედოს სარეკორდო გაფრენა

რომი, 3 მარტი. იტალიელი მფრინავი პინედო გადაფრინდა ატლანტის ოკეანეზე.

პინედო გაფრინდა აფრიკის დასავლეთ ნაპირიდან და დაეშვა არგენტინის დედა ქალაქში ბუენოს-აირესში, სადაც მას მოსახლეობა აღფრთოვანების შეხვდა. (ადს).

რუტენბერგის

გარდაცვალების გარშემო

ნიუ-იორკი, 3 მარტი. უორკერს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა კომისიამ, რუტენბერგის გარდაცვალების გამო, გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის დახასიათება:

„რუტენბერგი იყო ბოლშევიკი. მთელი თავისი სიცოცხლე მან მოანდომა რევოლიუციონური სულის შთაბერვას ამერიკელ მუშებში. ცენტრალური კომიტეტი სდებს სიტყვას, რომ პარტიის ყველა წევრები განაგრძობენ ბრძოლას იმ ხაზით, რომელიც დაუსახა მათ რუტენბერგმა.

რუტენბერგის დაკრძალვა მოხდება 5 მარტს, ქალაქ ჩიკაგოში. (ადს).

ფაშისტური ორგანიზაციები

ვარშავა, 4 მარტი. პოლონეთის პოლიციამ აღმოაჩინა მემარჯვენე ფაშისტების ორგანიზაცია, რომელშიაც უმთავრესად მონაწილეობდენ მემამულეები. ორგანიზაციის მთავარი ცენტრები მოთავსებული იყო პოზნანსა და პომერანიაში, ხოლო განყოფილებები სხვადასხვა ქალაქებში.

პოლიციამ ვარშავის რკინისგზის სადგურზე დაიჭირა რევოლვერების ტრანსპორტი, ამუნიცია და რამოდენიმე პირი, რომელნიც ფაშისტურ ორგანიზაციის ეკუთვნიან (ადს).

ტერორი გრძელდება

პატიმართა ცემა-ტყეპა

ვენა, 3 მარტი. ბუდაპეშტში და აგრეთვე პროვინციებში გრძელდება მუშათა სოციალისტურ პარტიის წევრების დაპატიმრება.

დაკითხვის დროს პოლიციის ტაქტიკა გამოიხატება იმაში, რომ ცემის და წამების საშუალებით დაპატიმრებულთ გამოსტყუონ ფანტასტიური ჩვენებები, ხოლო შემდეგ ეს ჩვენებები მიაწერონ სანტოს ან ვაგოს. (ადს).

საფრანგეთ-გერმანიის

ურთიერთობა

არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება

პარიზი, 3 მარტი. „ტან"-ი ეხება საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობას და გამოსთქვამს აზრს, რომ გერმანიას სურს რურის ოლქის ევაკუაციის საკითხი დასვას ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე. „ამ თემაზე—სწერს „ტან"-ი—არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება, ხანამ გერმანია თვითონვე არ დააწესებს გარანტიას და არ დაასახელებს ფასს, რომელსაც ის გადაიხდის რეინის ოლქის ვადამდე დაცლისათვის" (ადს).

სეიმის თვითლიკვიდაცია

ვარშავა, 3 მარტი. სეიმის საკონსტიტუციო კომისიის გუშინდელ სხდომაზე მიღებულია კანონპროექტი, რომელშიაც გათვალისწინებულია, რომ ეხლანდელი სეიმი თვითონვე გამოიტანს დადგენილებას თვითდათხოვნის შესახებ. ეს კანონპროექტი წარადგინა პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ, რადგან მთავრობას განზრახული ჰქონდა სეიმის ეხლანდელ შემადგენლობის უფლებების გაგრძელება იმ ვადის ზევით, რაც კონსტიტუციაში გათვალისწინებული (ადს).

28 მარტს, გაიხსნება

სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა
დეპუტატების
საბჭოთა მეოთხე ყრილობა

ყრილობის დღის წესრიგი:

1) ს.ს.ს.რ. მთავრობის მოხსენება.
2) სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება
3) სასოფლო მეურნეობის ამოცანების შესახებ „
4) განათლების სახალხო კომისარიატის „
5) საქართველოს წითელი ჯარის შესახებ „
6) საქართველოს კონსტიტუციის დამტკიცება.
7. არჩევნები.
8. მიმდინარე საკითხები.

ს.ს. ცაკის მდივანი—ს. თოდრია.

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა

ამხ. კალინინი

სახელმწიფო ნიშნების დამამზადებელ ფაბრიკაში

მოსკოვი, 4 მარტი. 4 მარტს სახელმწიფო ნიშნების დამამზადებელ ფაბრიკაში გამართულ საარჩევნო კრებაზე გამოვიდა ამხ. **კალინინი**. კალინინი შეეხო ომის საფრთხეს და აღნიშნა, **რომ ამჟამად, მისი აზრით, არ არის ინგლისთან ომის უშუალო საფრთხე**. ინგლისის ნოტის მიზანია კი საზოგადოებრივი აზრის მომზადება.

„როგორ უნდა უპასუხოთ ნოტას,—კითხულობს ამხ. კალინინი. ჩვენი საპასუხო ნოტა — არის პოლიტიკური მუშაობა ქვეყნის შიგნით, რომელმაც მთელი მსოფლიოს წინაშე უნდა გადაშალოს იმპერიალისტების ზრახვები. მე მგონია, რომ ნოტის გამოგზავნით ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ კი არ განამტკიცა, არამედ შეასუსტა თავისი მდგომარეობა. ქვეყნის შიგნითაც საჭიროა სათანადო პასუხის გაცემა ინგლისის თავდასხმისათვის. მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა მიმდინარე არჩევნებში მოწმობს საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეს. ეს სიმტკიცე ამაგრებს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას და წარმოადგენს საუკეთესო პასუხს ინგლისის ნოტაზე. მეორე ჩვენი პასუხი — **ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვიმყოფებით ალყაშემორტყმულ ციხეში, ყოველთვის მოველით მტრის თავდასხმას და ამიტომ ჩვენი არმია უნდა იდგეს თავისი დანიშნულების სიმაღლეზე**".

ამხ. ვოროშილოვის მოხსენება

მოსკოვი, 4 მარტი. 2 მარტს მოსკოვის საბჭოს საარჩევნო კრებაზე ქარხანა № 21-ში მოხსენება გააკეთა ამხ. ვოროშილოვმა. ამხ. ვოროშილოვი მოკლედ ახასიათებს საერთაშორისო მდგომარეობას და კერძოდ ჩვენს ურთიერთობას ინგლისთან.

„უკანასკნელ ხანებში,—ამბობს იგი,—ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა თითქოს გაუარესდა. ჩვენი მდგომარეობა ბურჟუაზიულ ქვეყნების წრეში ყოველთვის იყო რთული და ეს გასაგებიცაა, მხოლოდ მარტო ის გარემოება, რომ ჩვენ წარმოვადგენთ მშრომელთა ერთადერთ სახელმწიფოს მსოფლიოში და ვაშენებთ ახალ ცხოვრებას, სოციალისტურ მეურნეობას. ბუნებრივ მძულვარებას იწვევს კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ.

კაპიტალისტური ქვეყნების წინაშე იდგა არჩევანი: ან ჩვენი ცნობა, ან მოსპობა. დიდი ხანი ეცადენ ჩვენ მოსპობას, მაგრამ ეს ვერ შეძლეს და იძულებული გახდენ ვეცნეთ ჩვენ. ჩვენს ზრდაში, ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობაში კაპიტალისტები ხედავენ თავიანთ საფრთხეს. აქედან—მათი ბრალდებები ჩვენს წინააღმდეგ ყოველგვარ მომაკვდინებელ ცოდვებში. ჩვენ მათ ვძულვართ და ხურთ მოგვსპონ, მაგრამ ჩვენი არსებობა მათთვის არაა სიზმარი, არამედ სინამდვილეა და ამიტომ იძულებული არიან გაგვიწიონ ანგარიში.

ინგლისი უკანასკნელ ხანამდე ერთი ძლიერი კაპიტალისტური ქვეყანათაგანი იყო. ეხლა იგი დაცემას განიცდის. ჩინეთში ინგლისელები უდიდეს მოგებას იღებდენ, ეხლა კი უდიდეს მარცხს განიცდიან. ბურჟუაზია ეძებს დამნაშავეებს. ინგლისელი ლორდები მარქსისტები არ არიან. მათ არ შეუძლიათ მარქსისტულად გამონახონ მოვლენათა მიზეზი. ისინი სცდილობენ, რომ ისტორიის მიერ წინასწარ განსაზღვრული ყოველი თავიანთი მარცხი ჩვენ გადაგვაბრალონ. აქედან მათი სურვილი—დაგვემუქრონ ჩვენ ნოტაში, და თუ შესძლეს, საქმითაც.

ჩვენ ბრალს გვდებენ იმაში, რომ ჩვენი საბჭოთა მოღვაწენი კაპიტალისტური ქვეყნის წინააღმდეგ გამოდიან. ბურჟუაზიამ მოჭამა თავისი დრო, და ძალა-უფლების სათავეში ჩამდგარმა პროლეტარიატმა კი, რომელიც ბატონობს მართალია ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთ ქვეყანაში, მაგრამ ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორიცაა საბჭოთა კავშირი, ძველი დახავსებული ქვეყანა უნდა გარდაქმნას ახალ საფუძვლებზე. ჩვენ ხელს არ ვიღებთ რევოლიუციონურ მუშაობაზე ჩვენს ქვეყანაში და არ შეგვიძლია ჩვენს ცალკე მოქალაქეებს აუკრძალოთ რევოლიუციონური მუშაობის წარმოება ჩვენი ქვეყნის გარედ,—ეს მათი პირადი საქმეა. ჩვენ არავითარ პრეტენზიებს არ უყენებთ ინგლისის მთავრობას იმის შესახებ, რომ ინგლისის მოქალაქენი ესმარებიან კონტრ-რევოლიუციას ჩინეთში და სხვა ქვეყნებში.

შეიძლება თუ არა ურთიერთობის შეწყვეტა ჩვენსა და ინგლისს შორის? შეიძლება, თუ კი ამას მოისურვებს ინგლისის მთავრობა. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ინგლისის კაპიტალისტების მნიშვნელოვანი ჯგუფი დაინტერესებულია ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობაში. ისინი, უეჭველია, სათანადო ზეგავლენას მოახდენენ მთავრობაზე. მაგრამ უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ ძლიერ გავლენას მთავრობაზე ახდენენ შუბლმაგრები, რომელთაც შეუძლიათ აიძულონ მთავრობა, რომ შესწყვიტოს ურთიერთობა.

ინგლისი ამჟამად განაგრძობს ანტი-საბჭოთა მუშაობას ჩვენს განაპირა ადგილებში—პოლონეთში, ლიტვაში და სხვა სახელმწიფოებში ჩვენ არ გვსურს ურთიერთობის შეწყვეტა. და თუ ურთიერთობა შესწყდება, ჩვენ პანიკას არ მივეცემით და განვაგრძობთ ჩვენს პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიურ მუშაობას. მუშაობას სოციალისტური მეურნეობის აღმშენებლობის განსამტკიცებლად ჩვენს ქვეყანაში.

რაც შეეხება ეხლა კაპიტალისტურ ქვეყნებს, უნდა ითქვას, რომ ინგლისის ნოტას იქ თანაგრძნობა არ გამოუწვევია. დიდი როლი ითამაშა ჩვენმა ღირსების შეგნებითა და სიმტკიცით აღსავსე პასუხმა, რომელიც ამ მხრივ დიდად განსხვავდება ინგლისის ნოტისაგან. ჩვენ ვისწრაფვით მშვიდობიანად ვიცხოვროთ ყველასთან. მაგრამ არავის არ მივსცემთ უფლებას, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ჩაერიოს. ჩვენ გავიზარდეთ იმ პირობებში, როცა იარაღით ხელში სცდილობდენ ესწავლებიათ ჩვენთვის „ზრდილობიანი ყოფა-ქცევა". ეს მათ ვერ მოახერხეს. იმის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო გავიზარდეთ და განვმტკიცდით".

თავისი მოხსენების მეორე ნაწილში ამხ. ვოროშილოვი შეეხო ჩვენი ქვეყნის შინაურ მდგომარეობას და შეჩერდა ფასების შემცირების საკითხზე.

„ეს საკითხი, ამბობს იგი, არის მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შენარჩუნების საკითხი. ჩვენ გლეხობა ცხოვრების უკეთეს პირობებში უნდა ჩავაყენოთ, ვიდრე ეხლა აქვთ. ზოგი რამ ამ მხრივ ჩვენ უკვე გავაკეთეთ. მაგრამ ეს არაა საკმაო. ქალაქის საქონლის გაიაფება—ეს არის ძირითადი ამოცანა, რომელიც დაყენებულია ჩვენს წინაშე პარტიისა და მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის მიერ. ჩვენ 1 ივლისისათვის უნდა მივაღწიოთ ფასების შემცირებას 10 პროცენტით.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შემდგომი მუშაობა ისეთივე ნაყოფიერი იქნება, როგორც დღემდე"."

ამხ. ვოროშილოვის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში მკაცრი პროტესტია გამოთქმული ინგლისის ნოტის წინააღმდეგ. (ადს).

გარდაიცვალა მ. პ. არციბაშევი

ვარშავა, 3 მარტი. დღეს ვარშავაში გარდაიცვალა მწერალი არციბაშევი. (ადს).

მ. პ. არციბაშევი დაიბადა 1878 წელს, სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა 1901 წელს. მის ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია „სანინი", „ამბოხება", „ცოლი", „ლანდეს სიკვდილი", „მუშა შევილიოვი", „შიში" და სხ. არციბაშევი განსაკუთრებული სიმპატიით ხატავს ბურჟუაზიული საზოგადოების იმ წრის წარმომადგენლებს, რომელთაც დაუკარგავთ ყოველგვარი კავშირი თავის კლასთან და შეუქმნიათ თავისი „განსაკუთრებული მორალი". თუმცა ეს ტიპები საზოგადოების პარაზიტებს წარმოადგენენ, მაგრამ არციბაშევი მათ, როგორც იდეალურ ტიპებს, უპირდაპირებს ე. წ. მეშჩანურ საზოგადოებას. თავის ნაწერებში არციბაშევი დიდი სიმპატიით ეპყრობა ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც თავისი ეგოისტური მიდრეკილებათა გამო გაურბის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ბრძოლას და ცდილობს თავი დააღწიოს რევოლიუციონური იდეოლოგიის გავლენას. არციბაშევმა სახელი გაითქვა იმ ნაწერებით, რომლებშიც სჭარბობს ეროტიული ნოტა. იგი ამ ნაწერებში ქადაგებს სქესობრივ ღვირახსნილობას. საერთოდ ადამიანის ფსიხიკა არციბაშევს დაჰყავს ცხოველური ინსტინქტებამდე.

არციბაშევი განსაკუთრებით პოპულარული შეიქნა 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ დამდგარ რეაქციის პერიოდში, როცა საზოგადოების განსაზღვრულ წრეებში ფეხი მოიკიდა უიმედობამ, პესიმიზმმა და საერთოდ რეაქციონურმა განწყობილებამ. სულიერად დაცემული და რეაქციისაგან დაშინებული ინტელიგენციის ერთი ნაწილი საზრდოს პოულობდა არციბაშევის ნაწერებში.

რევოლიუცია და მისი მიღწევები ყოველთვის მიუღებელი და შეუთავსებელი იყო არციბაშევის იდეოლოგიისათვის და ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო მისი გაქცევა რუსეთიდან ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. მან მიატოვა რევოლიუციონური რუსეთი, მაგრამ უფრო ადრე დაივიწყა და უკუაგდო იგი საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა განახლებულმა საზოგადოებამ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მბეჭდავთა კავშირში გადარიცხვა.

მოსკოვი, 4 მარტი. სრ. საკავშირო ცენტრ. პროფსაბჭომ გამოიტანა დადგენილება ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა განათლების კავშირიდან პოლიგრაფიულ წარმოების მუშაკთა კავშირში გადარიცხვის შესახებ. გადასვლა უნდა დამთავრდეს პირველი აპრილისათვის (ადს).

გოგოლის მუზეუმის შევსება.

პოლტავა, 4 მარტი. გოგოლის ნათესავმა ქალმა, რომელიც ამჟამად პოლტავაში ცხოვრობს, პოლტავის სახელმწიფო მუზეუმს გადასცა რამოდენიმე ნივთი, რომელიც გოგოლს ეკუთვნოდა: ჟუკოვსკის მიერ გოგოლისათვის ნაჩუქარი პუშკინის საათი, მხატვარ მიულლერისაგან შესრულებული გოგოლის სურათი, ცილინდრი, ალბომი გოგოლის ნახატი სურათებით და მისი წერილები (ადს).

რადიოგადაცემის ახალი საშუალება.

ლენინგრადი, 4 მარტი. ლენინგრადის ფართომაუწყებელი სადგური იწყებს გადაცემას ლექცია - კონცერტებისა, რომელიც მიღებული იქნება კავშირის მეტად დაშორებულ პუნქტებში უბრალო დეფექტორული აპარატის საშუალებით. ამ მიზნით ლენინგრადიდან გაგზავნილი რადიოგადაცემა მიღებული იქნება მოსკოვის, ხარკოვის, სევასტოპოლის, დონის-როსტოვის, ვოლოგდის, დნეპროპეტროვსკის, მინსკის და კრასნოდარის სადგურებზე რომელნიც თავის მხრივ, ლენინგრადიდან მიღებულ რადიოებს გადასცემენ მათი მოქმედების რაიონებში. პირველი გადაცემა ლენინგრადიდან მოხდება 6 მარტს (ადს).

ფასების შემცირება

მოსკოვი, 4 მარტი. 1 მარტს მოსკოვის კოოპერატივებში ფასები სამრეწველო საქონელზე შემცირებულ იქნა 8 პროც. (ადს).

ფასების დაკლება სატრანსპორტო კოოპერაციაში.

მოსკოვი, 4 მარტი. „ცენტროსოიუზში" შესდგა ცენტრალური კომისიის თათბირი ფასების დაკლების საკითხის გარშემო. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 1-ლ მაისიდან 1-ლ იანვრამდე სატრანსპორტო კოოპერაციამ 17,5 პროცენტით დაუკლო ფასებს. ეს დაკლება შეეხო, უმთავრესად, სასოფლო-სამეურნეო საქონელს და მხოლოდ უმნიშვნელოდ სამრეწველო ჯგუფის საქონელს. ფასების დაკლების შესახებ ახალ დირექტივებთან დაკავშირებით, განზრახულია შტატების დამატებითი შემცირება, ბუხჰალტერიის გამარტივება, სასაწყობო მეურნეობის გაუმჯობესება, ხარჯების, ზედნადები ფასების და მოგების ახალი დანორმვა.

1-ლ მარტამდე სატრანსპორტო კოოპერაციამ, მიღებულ ცნობების მიხედვით, დააკლო ფასები კიდევ 3 პროცენტით. მოხსენების განხილვის შემდეგ, კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ 1-ლ ივნისისათვის ფასები დაკლებულ იქნას არა ნაკლებ 10 პროცენტით. ფასების დაკლების საქმეში მოზიდულ უნდა იქნან რკინისგზელ მომხმარებელთა ფართე მასები (ადს).

ღირსეული სასჯელი

მოსკოვი, 4 მარტი. მახაჩ-კალაში დახვრეტა მიუსაჯეს 2 ყოფილ ოფიცერს, რომლებმაც მოჰკლეს ცნობილი დაღესტანელი რევოლიუციონერი ბუინოსკი. (ადს).

ბამბის შესყიდვა.

მოსკოვი, 4 მარტი. კამპანიის დაწყებიდან 21 თებერვლიდან, კავშირის ყველა მებამბეობის რაიონებში შესყიდულია 509.791 ტონა ამერიკული ჯიშის და 10.220 ტონა ადგილობრივი ჯიშის ბამბა. შესყიდვის მთელი გეგმა შესრულებულია 99,87 პროცენტით (ადს).

ლითონის მრეწველობის საწარმოო პროგრამა

მოსკოვი, 4 მარტი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ, განიხილა რა საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს მოხსენება ლითონის მრეწველობის 1926—27 წლის საწარმოო-ფინანსიურ პროგრამის შესახებ და სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნა, აღნიშნა, რომ წინასწარი ცნობების მიხედვით საწარმოო პროგრამა 1925—26 წელში საშუალოდ შესრულებულია 90 პროცენტით. შრომისა და თავდაცვის საბჭომ აღნიშნა აგრეთვე სახიფათო სიმპტომების გამოჩენა წარსულ წელში, რომელიც გამოიხატა პროდუქციის თვითღირებულების გადიდებაში საშუალოდ 5,7 პროც.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ წარმოდგენილი ლითონის მრეწველობის საწარმოო პროგრამა 1926—27 წლისათვის.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ სცნო, რომ კაპიტალური აღმშენებლობა ლითონის მრეწველობაში 1926—27 წ. უნდა შესრულდეს 227.928.000 მან. რაოდენობით, ამაში შედის 16,5 მილ. ახალი ქარხნებისათვის და— 32.634.000 მან. საბინაო აღმშენებლობისათვის.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომ სასწრაფო და გადამჭრელი ზომები მიიღოს თვითღირებულების შემცირებისათვის მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში: ლითონის მრეწველობა—5 პროცენტი, მანქანების აღმშენებლობა—6 პროცენტით, გემთა შენება და ლითონის ნაწარმოები—10 პროცენტით.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიაქცია სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ტრანსპორტი საკმაო რაოდენობით ვერ იღებს ლითონს და ლითონის ნაწარმოებს და აუცილებლად უნდა გაძლიერდეს ტრამვაის რონოდებისა და გემთა შენება.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომ 1927 წ. 1 მაისიდან შეიმუშაოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს წარუდგინოს განსახილველად ლითონის მრეწველობის კაპიტალური აღმშენებლობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა და ლითონის მრეწველობის ცალკე დარგების განვითარების ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმები.. (ადს).

ამიერ-კავკასიის სატარიფო თათბირი

ამიერ-კავკასიის სატარიფო თათბირის 4 მარტის სალამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ამიერ-კავკასიის ადგილობრივ ბიუჯეტისა და ხელფასის ახალი სისტემის გატარების პირველი შედეგების შესახებ.

ამჟამად პირველად ტარდება ხელფასის ახალი სისტემა ბაქოს 38 კოოპერატიულ და სახელმწიფო-სავაჭრო წარმოებებში. ხელფასის ახალი სისტემის შემოღების შედეგად მოჰყვა ერთი და იგივე თანამდებობის ხელფასის სხვადასხვაობის მოსპობა და მათი ნომენკლატურის შემცირება. გარდა ამისა, შესამჩნევად შემცირებულია იმ თანამდებობათა რიცხვი, რომელთა სამუშაო დროც განსაზღვრული არ არის და ყოველგვარი დამატებითი ჯილდოება შეცვლილია მტკიცე განსაზღვრული ჯამაგირით. ხელფასის რეფორმას არ გამოუწვევია ხელფასის ფონდის ცვლილება. შესამჩნევად გადიდდა ჩამოქვეითებული კატეგორიების ჯამაგირი უფრო მაღალი კატეგორიების ხარჯზე.

ღამის ცნობები

საბჭოთა დელეგაციის გამგზავრება

მოსკოვი, 4 მარტი. საფრანგეთთან მოლაპარაკების საწარმოებლად 6 მარტს პარიზში მიემგზავრება დელეგაცია ამხ. რაკოვსკის მეთაურობით (ადს).

მოტყუილების და ქრთამის საშუალებით.

ვაშინგტონი, 3 მარტი. შეერთებულ შტატების უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ გააუქმა ნავთის მრეწველ დოჰენის მიერ კალიფორნიის ნავთიანი ადგილების იჯარაზე მიღებული უფლება.

სასამართლოს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დოჰენიმ მოტყუილებისა და ქრთამის საშუალებით უოფ. გარეშე საქმეთა მინისტრის ფოლისაგან იჯარით მიიღო ნავთიანი ადგილები, რომლებიც შეერთებულ შტატის ფლოტის მარაგს წარმოადგენს (ადს).

მექსიკაში გაფიცვა იზრდება.

ნიუ-იორკი, 3 მარტი. მექსიკაში თანდათან ფართოვდება რკინისგზელთა გაფიცვა. რკინისგზელთათვის მხარის დასაჭერად გაიფიცნენ აგრეთვე ტელეფონის მუშაკნი და ფეიქრები. საფეიქროში წარმოებებს იცავენ ჯარები. რკინისგზელთა მემარცხენე ლიდერი ლაბორდა, გაფიცულებთან შესაერთებლად, გაემგზავრა ტამპიკოში, სადაც იგი დააპატიმრეს (ადს).

მარქსი საფრანგეთთან შეთანხმების შესახებ.

ბერლინი, 4 მარტი. შეეხო რა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობას, რეიხსკანცლერმა კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ ბრიანი მხარს უჭერს შეთანხმებას გერმანიასა და საფრანგეთს შორის, და აღნიშნა, რომ გერმანიის მთავრობა ერთსულოვნათ დაიცავს ამ პოლიტიკას. მარქსმა იმედი გამოსთქვა, რომ დაძლეულ იქნება ყოველგვარი დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიან შეთანხმებას ამ ორ ერს შორის (ადს).

გერმანიის კომპარტიის ყრილობა.

ესსენი, 4 მარტი. გერმანიის კომპარტიის ყრილობამ ულტრა-მემარცხენეთა 10 ხმის წინააღმდეგ ნდობა და მადლობა გამოუცხადა პარტიის ცენტრ. კომიტეტს შესრულებული მუშაობისათვის (ადს).

ეროვნულ საბჭოს დათხოვა.

ვენა, 3 მარტი. ეროვნულ საბჭოში (ავსტრიის პარლამენტის ქვედა პალატა) მთავრობამ შეიტანა კანონპროექტი ეროვნული საბჭოს დღევანდელი შემადგენლობის დათხოვის შესახებ (ადს).

ცაკის დადგენილება უმუშევართა შესახებ.

მოსკოვი, 4 მარტი. საკავშირო ცაკმა ნება დართო იმ უმუშევართა მოხსნას შრომის ბირჟის აღრიცხვიდან და დახმარების გაცემის შეწყვეტა, რომლებიც არასაპატიო მიზეზით უარს განაცხადებენ შეძლეულ სამუშაოზე (ადს).

შპიკის მკვლელობა.

ვარშავა, 4 მარტი. 2 მარტს სოსნოვიცაში მოჰკლეს საიდუმლო პოლიციის აგენტი პიშჩიკი (ადს).

ავსტრია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა.

ვენა, 3 მარტი. ავსტრიის მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონ-პროექტი ავსტრია საბჭოთა კავშირის ვაჭრობისათვის ხელის შეწყობის შესახებ (ადს).

შჩეგოლიუტინის პროცესი

სალამოს სხდომა

ბაქო, 3 მარტი. აზერბეიჯანის უზენაეს სასამართლოს სალამოს სხდომაზე გრძელდება მო[illegible]ის დაკითხვა, რომელიც აცხადებს, რომ შჩეგოლიუტინს არალეგალურ კომუნისტურ წრეებში იცნობდენ, როგორც თეთრ გვარდიელს. მას კავშირი ჰქონდა ფუნტიკოვთან, ანისიმოვთან, ხუდოლკინთან და სხ.

უკანასკნელი მოწმე გორბაჩოვი აღნიშნავს, რომ იგი როგორც კონდუქტორი გააყოლეს სასწრაფო მატარებელს, რომელიც მიემართებოდა სადგ. კიზილ-არვატიდან კრასნოვოდსკამდე. მატარებელში შემოვიდენ ესერების ასხაბადის ორგანიზაციის ხელმძღვანელები—ეგოროვი, კურილევი და სედიხი. მოწმე გაფრთხილებული იყო, რომ მატარებელი კრასნოვოდსკამდე 1 შეჩერების მაგიერ მხოლოდ 4 ჯერ უნდა შეჩერებულიყო.

დილას, კრასნოვოდსკში ჩასვლისას გორბაჩოვმა გაიგო, რომ ამ სასწრაფო მატარებლით ჩამოიყვანეს კომუნარები, რომლებიც შემდეგ დახვრიტეს.

სალამოს სხდომაზე წაკითხულ იქნა აგრეთვე მოწმე ხრაბროვის წერილობითი ჩვენება და სხ. ამით დამთავრდა ძიების პროცესი. 4 მარტს დაიწყება მხარეთა კამათი. (ადს).

მხარეთა კამათი.

ბაქო, 4 მარტი. სასამართლოს 4 მარტის სალამოს სხდომაზე დაიწყო მხარეთა კამათი.

პროკურორ ამხ. ბაზიმოვის სიტყვა.

სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. ბაზიმოვი, რომელმაც დაახასიათა 1918 წლის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და მკვლელობის პირობები, შეჩერდა შჩეგოლიუტინის როლზე ამ საქმეში. მოწმეების ჩვენების თანახმად, ბრალმდებელი ასაბუთებს შჩეგოლიუტინის დანაშაულს 64 მუხლით.

შჩეგოლიუტინი იყო ესერების პარტიის თანამგრძნობი და აქტიური ხელისშემწყობი. იგი მეგობრულ განწყობილებაში იყო ფუნტიკოვთან, მიასიშჩევთან და გერმაშთან და სარგებლობდა სრული მათი ნდობით. უეჭველია, რომ იგი გაცნობილი იყო მოსალოდნელ ბოროტმოქმედებას და მისი მონაწილეობაც ამ ბოროტმოქმედებაში იყო არა შემთხვევით, არამედ წინასწარ მოფიქრებული.

ისტორიულ ორთქლმავალზე, № 0—49-ზე, შჩეგოლიუტინი შემთხვევით კი არ მოხვდა, არამედ სპეციალურად იქნა მოწვეული ფუნტიკოვის მიერ, რაც აშკარავდება მისი ცოლის, კადიგროვის და სხვების ჩვენებიდან. შჩეგოლიუტინის განცხადება, თითქოს ამ მატარებელზე იგი დანიშნა პერვიშევმა, კატეგორიულად უარყოფილია თვით პერვიშევისაგან. კადიგროვი თავისი ჩვენებით ამტკიცებდა, რომ ამ მატარებლის ორთქლმავლისათვის სპეციალურად გამოძახებული იყო ფრონტიდან შჩეგოლიუტინი. მატარებელი მიჰქროდა დაწესებულ სისწრაფეზე უფრო აჩქარებით, უზრიგადოთ და მთელ რიგ სარკინიგზო წესების დაუცველად. შჩეგოლიუტინს არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ამ საგანგებო გამგზავრებას საგანგებო ამბები უნდა მოჰყოლოდა. შჩეგოლიუტინს არა თუ არ ესმოდა სროლის ხმა, არამედ ხედავდა კიდეც, რა ხდებოდა მე-207 ვერსზე.

მან არ მოინანია ეს საზიზღარი დანაშაული. იგი არ მისულა მუშებთან, არ უთქვამს მათთვის: „მე ჩავვარდი, მე მომატყუეს!" იგი გუშინდლამდე მალავდა როგორც დანაშაულის კვალს, ისე თვით დამნაშავეებს. იგი ქეიფობდა და ლოთობდა მუშათა კლასის ჯალათებთან ერთად.

ბრალმდებელი სთვლის შჩეგოლიუტინისადმი წაყენებულ ბრალდებას დამტკიცებულად. მისი და მის მზგავსთა მოქმედების გამო პროლეტარიატმა დაჰკარგა მწვავე ბრძოლის დროს თავისი საუკეთესო შვილები. შჩეგოლიუტინის მუშური ჩამომავლობა კიდევ უფრო ამძიმებს მის დანაშაულს.

ბრალმდებელი მოითხოვს შჩეგოლიუტინისათვის სოციალური დაცვის უმაღლეს ზომას—დახვრეტას (ადს).

დამცველი კლანკის სიტყვა.

ბაქო, 4 მარტი. თავის სიტყვაში, დამცველი კლანკი ემყარებოდა მოწმე აკიმოვის და კოვალევის ჩვენებას, რომლებიც შჩეგოლიუტინს ახასიათებდენ, როგორც წყნარ, მხდალ, პოლიტიკის გარეშე მდგომს და ობივატელურად განწყობილ ადამიანს.

„რომ შჩეგოლიუტინი არ ეწინააღმდეგებოდა რკინისგზის წესების დარღვევას,—ამბობს დამცველი, — სრულიად ბუნებრივია, თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინ კასპიის იქითა მხარეში გამეფებულ ტერორს. თუმცა შჩეგოლიუტინი, დამცველის აზრით, სპეციალურად გამოძახებულ იქნა ასხაბადში ფრონტიდან, მაგრამ მან გამოძახების შესახებ არაფერი იცოდა მე-207 ვერსზე გაჩერების მომენტამდე. მომხდარი დახვრეტის შესახებ შჩეგოლიუტინი არავის უამბობდა „საკუთარი ტყავის შიშით". ზედმეტია ლაპარაკი ბოროტმოქმედების დაფარვასა და დამალვაზე. შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ „ამბის მიუტანლობაზე". საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე შჩეგოლიუტინი დახვრეტის ამბავზე ელაპარაკებოდა აკიმოვს და კოვალევს. დახვრეტის დღიდან განვლო 8 წელმა. თავის დაპატიმრების მომენტამდე შჩეგოლიუტინი პატიოსნად და კეთილსინდისიერად მუშაობდა მემანქანის თანამდებობაზე. შჩეგოლიუტინი იმდენად საშიში არ არის, რომ საჭირო იყოს მისი მოსპობა.

სხვათა შორის, დამცველი აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანის სისხლის სამართლის კოდექსის მე-33 მუხლის თანახმად, იმ ბოროტმოქმედების მიმართ, რომლის ჩადენის დღიდანაც განვლო 5 წელზე მეტმა, სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელი უნდა შეიცვალოს სხვა სასჯელით.

დამცველის სიტყვის შემდეგ სხდომა მეორე დღისათვის გადაიდო (ადს).

პარტიული ცხოვრება

გლეხურ უჯრედების გადასინჯვა

თანახმად მე-14 პარტ-კონფერენციის დადგენილებისა საქ. კომპარტიის ცენტრ. საკ. კომისიამ მოახდინა გლეხური უჯრედების გადასინჯვა (სიღნაღის და სენაკის მაზრების და ჩრდილო-ოსეთის ავტონომ. რესპ.) აღნიშნულმა გადასინჯვამ პარტიას მისცა საშუალება ნათელი წარმოდგენა ქონებოდა გლეხურ უჯრედების მდგომარეობაზე ამ მაზრებში. 1925 წ. გადასინჯვა ეხებოდა მაზრის ყველა პარტ-უჯრედებს. გადამსინჯავი კომისია არკვევდა უჯრედის საქმიანობას, როგორც პოლიტიკურ დარგში აგრეთვე მის მონაწილეობას თავის აღმშენებლობითი მუშაობაში სოფლად. სასოფლო უჯრედების შემოწმება ამჟამადაც უნდა მოხდეს, თანახმად ხელმძღვანელ პარტორგანოების დადგენილებისა, მაგრამ ეს გადასინჯვა განსხვავდება 1925 წელში გატარებულ გადასინჯვიდან. ამჟამად საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილების მიხედვით მოხდება მხოლოდ ზოგიერთ უჯრედების გადასინჯვა. მაზრაში არჩეული იქნება ყველაზე სუსტი უჯრედი, რომელშიც იჩინა თავი ამა თუ იმ ავადმყოფურმა მოვლენამ გადასინჯვა მხოლოდ მას შეეხება. გადასინჯვის ასეთი წესი ერთობ მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, რადგან დაავადებულ უჯრედების გამორკვევა საშუალებას მისცემს მაზრის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს მიიღონ ზომები მის გასაჯანსაღებლად და ამ რიგად ეს მუშაობა ხელს შეუწყობს მთელი მაზრის ორგანიზაციის მდგომარეობის ამაღლებას.

რასაკვირველია, საერთო გამოკვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პარტიას არა აქვს საშუალება და დრო ხშირად ჩაატაროს ასეთი დიდი მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის ც. საკონტროლო კომისიამ უკვე გამოჰყო კომისია და აირჩია ის მაზრები, სადაც უნდა ჩატარდეს ზოგიერთ უჯრედების გადასინჯვა. კომისია ამ დღეებში შეუდგება მუშაობას. გადასინჯულ იქნება ქუთაისის მაზრაში ცხრა, შორაპნის მაზრაში ათი, და თბილისის მაზრაში რვა უჯრედი. საკონტროლო კომისიამ ამ მაზრებში აირჩია ყველაზე სუსტი და დაავადებული უჯრედები. კომისია გაეცნობა ამ უჯრედების მუშაობას ადგილობრივ, საფუძვლიანად გამოიკვლევს მათ და სათანადო დარიგებასაც მისცემს შემჩნეულ ნაკლის გამოსასწორებლად. კომისიას დაკისრებული აქვს ფრიად საპასუხისმგებლო საქმე. საჭიროა პარტიის ყოველი წევრი, კომკავშირელი და ყველა პატიოსანი მოქალაქე დაეხმაროს მას დაკისრებულ საქმის პირნათლად შესრულებაში.

ხ. ლომიძე.

ქალთა შორის მუშაობა ლენრაიონში

ლენრაიონში ქალთა შორისმუშაობა სწარმოებს 18 დაწესებულებასა და წარმოებაში.

სულ პროფკავშირის წევრ-ქალთა რიცხვი შეადგენს 1292-ს. რაიონში მუშაობს 18 ქალორგანიზატორი; მათგან 6 მუშა-ქალი, 10 მოსამსახურე ქალი და 2 დიასახლისი. კომპარტიის წევრია და კანდიდატი 134 ქალი (პარტიულთა საერთო რიცხვის 5 პროც.), ახ. ლენ. კომკავშირის წევრ ახალგაზრდა ქალთა რიცხვი უდრის 148 (ახ. ლენ. კომკავშირის წევრთა საერთო რიცხვის 9 პროც.)

ამჟამად უკვე თითქმის ყველა მუშა-ქალებს გავლილი აქვთ სადელეგატო კრებების სკოლა. 1926—27 წლის გაწვევის დელეგატ-ქალთა ინსტიტუტი ითვლის 182 დელეგატ-ქალს, რომელთა შემადგენლობაც ასეთია: მუშა-ქალი—77, მოსამსახურე ქალი—81 და დიასახლისი—28

მოწყობილია ორი ჯგუფი: ქართული და რუსული. დელეგატ-ქალები დიდი ინტერესით ეკიდებიან მეცადინეობას და აქტიურ მონაწილეობას იღებენ მასში. წინა გამოშვების დელეგატ-ქალები ჩაბმული არიან მუშაობაში, კრებებზე მოხსენებებს აკეთებენ. მიმდინარე წელს დელეგატ-ქალებმა გაიარეს 6 საუბარი. დელეგატ-ქალთა კრებებთან მოწყობილია ორი სექცია: კოოპერატიული და იურიდიული. განსაკუთრებით აინტერესებს დელეგატ-ქალებს კოოპერატიული სექციის მუშაობა, რომელიც გამოიხატება პრაქტიკულ მომზადებაში ა.-კ. სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოების სადუქნო კომისიებში სამუშაოდ.

შარშან რაიონში გამოშვებულია 162 დელეგატი-ქალი. გამოშვებულთა რიცხვიდან ერთი ნაწილი აქტიურად მუშაობს პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ ქალთა კუთხეში, დანარჩენები კი მდივნებისა და ორგანიზატორების სახით ქალთა სადელეგატო კრებებთან ა.-კ. სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოების რწმუნებულებად სადუქნო კომისიაში, ადგილკომებში და ნებაყოფლობითი საზოგადოებებში. საკლუბო წრეებში მონაწილეობას ღებულობს 75 ქალი, კლუბის გამგეობის წევრად არჩეულია 4 ქალი.

განსაკუთრებით გაცხოველებულად მუშაობს პლეხანოვის სახელობის კლუბთან მოწყობილი ქალთა კუთხე. აქ, აგიტპროპმუშაკის კაბინეტის გამგის ხელმძღვანელობით მუშაობს პოლიტწრე, რომელსაც ხალისით ესწრებიან მუშა-ქალები. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრეში ჩაბმულია 11 დიასახლისი ქალი. ყოველკვირეულად ხუთშაბათობით, კუთხესთან მუშაობს იურიდიული კონსულტაცია, რომელიც რჩევა-დარიგებას აძლევს სასამართლო საქმეებზე და აწყობს საუბრებს საბჭოთა კანონმდებლობის შესახებ.

კუთხესთან თვეში ოთხჯერ იმართება თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის კითხვა, რომელიც, უმთავრესად, ახალგაზრდა ქალებს იზიდავს. რაიონში გახსნილია ჭრა-კერვის ოთხი სკოლა, რომელიც 116 ქალს აერთიანებს. მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებამ ჩაატარა დელეგატ-ქალთა არჩევნები ქალთა კონფერენციაზე. რომელიც გაიხსნება დღეს. ქალაქის საბჭოს არჩევნები რაიონში უფრო გაცხოველებით ჩატარდა, ვიდრე შარშან. ქალთა საშუალო დასწრება გაიზარდა 50,6 პროცენტამდე. ქალაქის საბჭოს წევრად არჩეულია 20 ქალი, ხოლო კანდიდატად 5 ქალი. არჩეულ ქალთა საერთო რიცხვიდან უპარტიოა 16 ქალი.

ქ. ბოგდანოვსკი.

როგორ მუშაობენ საბჭოთა უჯრედები

გამომკვლევი კომისიის მასალებიდან

„ზაკგოსტორგის" უჯრედი

უჯრედის ბიუროს მუშაობა ატარებდა გეგმიან ხასიათს. ბიუროს სხდომებზე დასმული საკითხების უმეტესი ნაწილი სათანადოთ მუშავდებოდა. ერთ-ერთ ნაკლულოვანებათ უჯრედის ბიუროს მუშაობაში უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ბიურო არ მართავდა ადგილკომის ფრაქციასთან და ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროსთან გაერთიანებულ სხდომებს, მიუხედავათ იმისა, რომ მას ხშირად უხდებოდა აღნიშნულ ორგანიზაციებისათვის საინტერესო საკითხების გარჩევა. ნაკლულოვანებაა აგრეთვე ის, რომ ბიუროს სამუშაო გეგმაში დასმული საკითხები საკმარისად არ არიან დაკავშირებული რაიკომის მუშაობის გეგმასთან.

გასული წლის იანვრიდან დეკემბრამდე, უჯრედის სხდომა შემდგარა სულ 28-ჯერ. მათგან დახურული სხდომა ყოფილა 19. დახურული სხდომების ასეთი დიდი რაოდენობა არ შეიძლება არ განვიხილოთ როგორც უარყოფითი მოვლენა, რადგანაც ამდენი დახურული სხდომების მოწვევა არ იყო გამოწვეული საჭიროებით. ხშირად დახურულ სხდომებზე გარჩეულა ისეთი საკითხები, რომლების დასმა სასურველი იქნებოდა ღია კრებაზე (მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, ადგილკომის ანგარიში და სხვა).

უპარტიოების დასწრება ღია კრებებზე არ არის დამაკმაყოფილებელი.

უჯრედი საკმარისი ყურადღებით არ ეპყრობოდა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და საერთოდ დაწესებულების ცხოვრების საკითხებს. სხდომებზე იშვიათად ისმებოდა ასეთი საკითხები და ამხანაგებიც ვერ იჩენდენ საჭირო აქტივობას მათ გარჩევაში.

დაწინაურების საკითხისათვის ბიუროსთან გამოყოფილია სპეციალური კომისია, მაგრამ მიუხედავათ ამისა ეს მუშაობა მაინც მოიკოჭლებს და დაწინაურება არ სწარმოებს წინასწარ დასახულ სისტემის მიხედვით. დაწინაურებულთა თათბირებს უჯრედის ბიურო არ იწვევდა, მისი მუშაობა ამ მხრივ განისაზღვრებოდა დაწინაურებულთა ცალკე მოხსენებების მოსმენით.

რაც შეეხება უჯრედის ბიუროს ხელმძღვანელობას ადგილკომის მუშაობაზე, უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ ძლიერია. ბიურო ხშირად ისმენს ადგილკომის ანგარიშებს და პროფმუშაობის ყველა ძირითად საკითხებს ამუშავებს ფრაქციასთან ერთად, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადგილკომთან არსებულ კომისიების მუშაობა და მათზე ხელმძღვანელობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ეკონომკომისია ისმენდა დაწესებულების განყოფილებების და კანტორების საინფორმაციო მოხსენებებს, მაგრამ მათ გარშემო გამოჰქონდა ზერელე გადაწყვეტილებები. უპარტიო მასა (კომისიის წევრებს გარდა) არ მონაწილეობდა ეკონომკომისიის მუშაობაში.

სუსტია კომუჯრედის ხელმძღვანელობა კომკავშირის უჯრედის მიმართ. რაც შეეხება ნებაყოფლობით საზოგადოებებს, ისინი კარგად მუშაობენ და კომუჯრედიც დამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევს მათ საქმიანობას.

ქ. სურმუშელი.

განათლების კომისარიატის უჯრედი

თბილისის კომიტეტს წარსულ საზამთრო პერიოდის სამუშაო გეგმაში შეტანილი ჰქონდა მთელი რიგი საბჭოთა უჯრედების გამოკვლევა. ამ გამოკვლევამ მოგვცა მდიდარი მასალა საბჭოთა უჯრედებში პარტიული მუშაობის წარმოების შესახებ.

სხვა უჯრედებთან ერთად გამოკვლეულ იქმნა განათლების კომისარიატის უჯრედი. ხსენებულ უჯრედშიც, როგორც სხვა გამოკვლეულ უჯრედებში (აღმასკომის, ა.-კ. რკინის გზის სამმართველოს, ა.-კ. ფინსახკომის, ზაკგოსტორგის და სხვა) ადგილი აქვს მთელი რიგი დეფექტებს, როგორც, მაგ.: ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ სუსტი ბრძოლა, ნაკლები ყურადღება მომჭირნეობის რეჟიმის მიმართ, სუსტი ხელმძღვანელობა ადგილკომების მუშაობაზე, არა საკმაო ზრდა უჯრედის და სხვ.

განათლების კომისარიატის უჯრედის გამომკვლევ კომისიამ დაადასტურა, რომ უჯრედი არ აქცევდა ყურადღებას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და აპარატის გაუმჯობესების და გაიაფების საკითხებს, მიუხედავათ იმისა, რომ განათლების კომისარიატის აპარატში ადგილი ჰქონდა ბიუროკრატიზმს, (მოქალაქეთა რიგი კაბინეტებთან, პროტექციონიზმი, უხეში მოპყრობა და სხვ.) არც უჯრედის და არც ადმინისტრაციის მიერ არ ყოფილა მიღებული ზომები, რათა გაეტარებიათ ცხოვრებაში მომჭირნეობის რეჟიმი. პირიქით გაწეულა ისეთი ხარჯები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან პარტიის დირექტივებს მომჭირნეობის რეჟიმის დაცვის საკითხებში.

განათლებს კომისარიატის აპარატში არის მუშების ფრიად მცირე რიცხვი (4 კაცი), რაც კომისიამ არანორმალურათ სცნო. მუშების წამოყენების და წინ წაწევის საკითხი მოიკოჭლებს. უჯრედის საშინაო მუშაობა მოისუსტებს. მუშაობაში არ არიან ჩაბმული უჯრედის წევრები, საუჯრედო კომისიები არ მუშაობენ პარტიის დირექტივები და მნიშვნელოვანი საკითხები ზერელეთ მუშავდებიან, სამეურნეო საკითხებს უჯრედი აქცევს არა საკმაო ყურადღებას და სხვა.

მიიღო რა მხედველობაში უჯრედის წევრთა მცირერიცხოვანობა კომისიამ მიზანშეწონილად დაინახა ორგკომისიის გაუქმება.

ამასთან ერთად საჭიროთ იქნა ცნობილი, რომ უჯრედმა დიდი ყურადღება მიაქციოს განათლების კომისარიატის სხვადასხვა განყოფილებების მუშაობას და მოისმინოს ამ განყოფილებების ხელმძღვანელთა მოხსენებები.

მოიკოჭლებს აგრეთვე უჯრედის მასიური მუშაობა, უჯრედი არ აწარმოებს უპარტიო აქტივის აღრიცხვას, უპარტიო მასა ნაკლებათ ესწრება უჯრედის ღია კრებებს და ხშირათ მასიურ მუშაობის დარგში მახინჯდება პარტიის ხაზი.

საჭიროთ იქნა ცნობილი სახ. გან. კომისარიატის განყოფილებებში პარტორგანიზატორების გამოყოფა.

უჯრედი აწარმოებს არა საკმაო და არა სწორ ხელმძღვანელობას ადგილკომის მუშაობაზე. ფრაქცია ჩამოყალიბებული არ იყო. ადგილკომის შემადგენლობა სუსტია, რაც მოითხოვს მის გადარჩევას.

კომუჯრედი აწარმოებდა არა საკმაო ხელმძღვანელობას კომკავშირის უჯრედზე. მიმაგრებული ამხანაგი სუსტია. კომისიამ საჭიროთ სცნო მისი გამოცვლა უფრო ძლიერი და მომზადებული ამხანაგით. კომკავშირის უჯრედში არიან ბევრი მიმაგრებული კომკავშირელები, კომისიამ საჭიროთ დაინახა მათი შემცირება.

ყველა ზემოაღნიშნულ ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად თბილისის კომიტეტმა გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებათა, რომლებიც მისცა დირექტივის სახით უჯრედს მისი მომავალი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ა. რუხაძე.

საბჭოთა არჩევნები

გეგმიანი მუშაობის გზით

გეგმიანი მუშაობა ერთი მთავარი პირობაა საქმის ნორმალურად წაყვანისათვის. ახლად არჩეულმა თემსაბჭოებმა, რომლებიც ეხლა იწყებენ მათზე დაკისრებულ მუშაობას, მთელი თავისი საქმიანობა უნდა წარმართონ გარკვეული გეგმით და მიმართულებით.

მართალია, თითქმის ყველგან, საბჭოებს მიღებული აქვთ ამომრჩევლებისაგან განაწესი (ნაკაზი), მაგრამ ეს კიდევ გეგმა არაა. განაწესი მხოლოდ მასალაა სამუშაო გეგმის შესადგენათ.

საჭიროა განაწესიდან ამოიკრიბოს მთავარი და გადაუდებელი საქმეები. ამასთანავე საბჭო რაც შეიძლება რეალურ სამუშაო გეგმას უნდა ადგენდეს. სჯობს გეგმაში შეტანილ იქნას ნაკლები, მაგრამ ისეთი საკითხები, რომელთა მოგვარებასაც საბჭო უთუოდ შესძლებს.

დიდი და განუხორციელებელი გეგმების დასახვას არავითარი პრაქტიკული ნაყოფი არ მოაქვს. პირიქით, ის საბოლოოთ ერთგვარ სასოწარკვეთილებას იწვევს და ამრიგათ ადუნებს შემდგომი მუშაობის ხალისს.

ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ უთაო და წაკვრა - წამოკვრითი ხასიათის მუშაობას. უკვე საკმაო დრომ განვლო იმისათვის, რომ შეგვესწავლა მიზანშეწონილი და დაწყობილი მუშაობა. ამიტომ გეგმიანობა ჩვენი ყოველდღიურ საქმიანობის დამახასიათებელ თვისებათ უნდა გადაიქცეს. მან უნდა მოიპოვოს სათანადო ადგილი ჩვენი საბჭოების მუშაობაშიაც.

მაგრამ ვიმეორებთ,—გეგმა რეალური, გეგმა, რომელსაც სინამდვილესთან ექნება კავშირი და რომელიც მართლაც ჰპოებს განხორციელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სარგებლობის ნაცვლად, როგორც ეს საზოგადოთ ხდება ყოველი სწორი აზრის ბრუნდეთ გაგების დროს, ჩვენ მივიღებთ ბიუროკრატიზმის გაძლიერებას.

ა. მ—ლი.

საბჭოს არჩევნები კარგათ ჩაატარეთ

(აცანის თემი, გურია)

არჩევნების დღეს დილიდან დაიჭირა ცუდი ამინდი. განუწყვეტლივ თოვდა. მიუხედავათ ასეთი ცუდი ამინდისა, საარჩევნო კრებაზე მაინც გამოცხადდა ამომრჩეველთა 54 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ ღრმა მოხუცებულებიც ხალისით მოდიოდენ კრებაზე დასასწრებლად.

კრებას დაესწრო სამაზრო საარჩევნო კომისიის რწმუნებული ამხ. ს. ჯიბუტი და ლანჩხუთის თემკომის მდივანი გ. ფირცხალაიშვილი.

არჩევნები ჩატარდა მშვიდობრად და არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია.

საბოლოოდ არჩეული იქნენ 18 საბჭოს წევრები. ამათში 7 კომუნისტი, 1 კომკავშირელი, დანარჩენი უპარტიო. ამათში ორი ქალია.

იმავე დღესვე მოხდა აღმასკომის არჩევა.

ლ. ქ—ძე.

არ გვინდა საეკლესიო სახელი

(სამლვთო, გურია)

საარჩევნო კრებამ ერთხმად დაადგინა: სამლვთოს თემს ძველი საეკლესიო სახელი „სამლვთო" შეეცვალოს და დაერქვას "ნატანები". ეთხოვოს ხელისუფლებას დაამტკიცოს კრების ეს დადგენილება.

საარჩევნო კრებაზე განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა გლეხების ღარიბესი ნაწილი.

არჩევნების შემდეგ გაიმართა ახალი თემსაბჭოს სხდომა, სადაც არჩეულ იქმნა აღმასკომი და სამაზრო ყრილობის დელეგატები. აღმასკომის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულია ამხ არსენ მიმინოშვილი, პრეზიდიუმის წევრებად ამხანაგები: ი. ღლონტი და გოგიტიშვილი.

გლეხობა ძლიერ კმაყოფილი დარჩა ჩატარებულ არჩევნებით.

ლ. მ—ძე.

უპატრონო სახლი

(სურამის თ. გორის მ.)

სურამის თემის სოფელ ყიფიანთუბანში არის მიტოვებული ვლახო ყიფიანის სახლი და ერთი ბეღელი. ეს შენობები ფუჭდებიან უპატრონობით და მოუვლელობით. მეორე მხრივ ახლო მდგომი მეზობლები ხელს უწყობენ მის დამგრევს. საძრცვავენ შენობას, მიაქვთ ყველაფერი, რაც ხელში მოჰყვებათ. შენობას ეხლა არც ფანჯრები აქვს და არც კარები. საბჭოს წევრებისათვის ბევრჯერ მითქვამს, რომ ამ შენობას ყურადღება უნდა მიაქციოთ მეთქი, მაგრამ მათ ყურიც არ გაუბარტყუნებიათ.

თითქმის ერთი წელიწადია, რაც მოიყვანეს ერთი მღვდელი თავის დამქალით (დიაკვანი) და ორივე ამ უპატრონო სახლში დააბინავეს. ამათ უფრო მეტი ზარალი მიაყენეს ამ სახლს.

არ ჰქონდათ მოწყობილი ფეჩის მილის გასაყოფი, ამიტომ სულიერი მამები ასე მოქცეულან, გამოუჭრიათ კარები და მეორე ოთახში გამოუყვიათ მილი, რის გამო. ერთი ოთახი სულ გაშავებული და გატრუსულია. მიაქციეთ ყურადღება ამ უპატრონო სახლს. ნუ თუ ასე გულცივად უნდა უყუროს ხალხის სიმდიდრეს საბჭომ?

ლ. ხ—ძე.

მისალმებები

ამიერ-კავკასიის ცაკს

ა.-კავკასიის ცაკის თავმჯდომარის ამხ. მ. ცხაკაიას სახელზე მიღებულია შემდეგი მისალმების დეპეშა: „ნახიჩევანის მხარის საბჭოების მეექვსე ყრილობა თქვენის სახით სალამს უძღვნის ამიერ - კავკასიის მშრომელთ. მხარის ეკონომიურ - კულტურული აღორძინება ამიერ - კავკასიის მშრომელთა სრული ნაციონალური სოლიდარობის პირობებში სოციალისტური აღმშენებლობის გამარჯვების საუკეთესო თავდებია. ჩვენ ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს ინგლისის ბურჟუაზიის ზრახვებს და მტკიცეთ დავიცავთ ოქტომბრის მონაპოვართ.

ყრილობის პრეზიდიუმი".

საქართველოს ცაკს

საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის სახელზე ნახიჩევანიდან მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

— ნახიჩევანის მხარის მე-6-ე საბჭოთა ყრილობა თქვენი სახით მხურვალედ ესალმება ძმობ საქართველოს მშრომელებს. მშრომელთა სრული ნაციონალური სოლიდარობით ჩვენ გაერთიანებულ წინააღმდეგობით შევხვდებით ინგლისის ბურჟუაზიის ყოველგვარ ზრახვებს და წავიყვანთ ქვეყანას სოციალიზმისაკენ.

ყრილობის პრეზიდიუმი

საპატიო თავმჯდომარეები

— საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე არჩეულია გამოჩინებულის თემის საბჭოს და ნაგომარის საბჭოს საპატიო თავმჯდომარეთ.

— კირცხის საბჭომ და ზანძის სათემო აღმასკომმა საპატიო თავმჯდომარეთ აირჩია საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ალ. გეგეჭკორი.

— ამხ. შამშე ლეჟავა არჩეულია წითელ ქალაქის სათემო საბჭოთა ყრილობის საპატიო წევრად.

კულაკებს ნახტომი არ გაუმართლდათ

(ნიგოითის თემი, გურია)

ნიგოითის თემში არჩევნების დღე ღრუბლიანი იყო. ცოტას წვიმდა. გზები თოვლის ახლად დადნობის გამო ცუდი იყო, თემი გაყოფილი იყო ორ საარჩევნო უბნად. ორთავე უბანში საარჩევნო სიაში შეტანილი იყო 1884 ამომრჩეველი, კრებაზე გამოცხადდა 752. კრებას დაესწრნენ ს. თოდრია და პ. ქლენტი. ნიგოითის თემში არჩეულ იქნა სულ 35 საბჭოს წევრი, მათ შორის 17 უპარტიო, 12 პარტიული, 2 კომკავშირელი და 4 ქალი. კრებამ თემის საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ აირჩია ს. თოდრია და მარიამ ორახელაშვილი. ჩარჩ-მევახშეების მიერ დასახელებულ კანდიდატებს ხალხი დაცინვით შეხვდა.

აღსანიშნავია კერძოთ მეორე უბანში, სოფ. ქვიანში, მომხდარი არჩევნები, იქ ორი-სამი ჩარჩ-მევახშე პირები შეეცადა თავისი მიმართულება მიეცათ კრებისათვის, მაგრამ გლეხებმა მათ საკადრისი პასუხი გასცა. ერთ ასეთ პიროვნებას კრებიდან გაძევებითაც კი დაემუქრენ, რომ მაშინვე ენა არ ჩაეკმინდა.

პირველ უბნელი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

ქურდ-ბაცაცობის წინააღმდეგ

ქურდ-ბაცაცობა გლეხის მეურნეობის მავნე მტერია. არის სოფლები, სადაც ეს სენი იმდენად გავრცელებულია, რომ გლეხი მოკლებულია საშუალებას გულდამშვიდებით იმუშაოს. ქურდებს თავს გაუდით, რადგან ბოროტმოქმედება ზოგჯერ დაუსჯელი რჩება.

განსაკუთრებით მძიმეა გლეხისათვის შინაური ოთხფეხი ცხოველის დაკარგვა. ასეთი მაგალითები კი არც ისე იშვიათია. სოფლის მეურნეს ხელიდან ეცლება ოჯახის მარჩენალი მუშა ან მეწველი საქონელი.

რა უწყობს ხელს ქურდ-ბაცაცობას? თქმა იმისა, რომ ჩვენი ადმინისტრაცია რაიმე ანგარების მიზნით ხელს აფარებს ბოროტმოქმედს, არ შეიძლება. საბჭოთა ადმინისტრაცია ამ მხრივ იმდენად მაღლა დგას, რომ აქა-იქ თუ გამოჩნდება თითო-ოროლა მახინჯი, თორემ მთლიანად ჩვენს ადმინისტრაციაზე ვერავინ იტყვის, რომ ის სასტიკად არ სდევნის ყოველი სახის ბოროტმოქმედებას. ასეთივე მდგომარეობაა ქურდ-ბაცაცობის მხრივაც. ადმინისტრაცია აქ ფხიზლად არის, ხოლო საქმეს ხელს უშლის სხვა გარემოება.

საქმე იმაშია, რომ თუ ბოროტმოქმედება ზოგჯერ გამოუმჟღავნებელი რჩება და დამნაშავე დაუსჯელი დაიარება, ამაში ბრალი მიუძღვის თვით მოსახლეობას. არის მაგალითები, როცა ბევრმა კარგად იცის, ვინც არის ქურდობის ჩამდენი, მაგრამ თავს იკავებს დამნაშავის გამომჟღავნებისაგან. „სხვისი ჭირი ღობის ჩხირი", ასე მსჯელობენ ისინი. მათ. ეშინიათ დამნაშავის გამხელა, რადგან, თუ დამნაშავე დაუსჯელად დარჩა ან მცირე სასჯელი მიიღო, განთავისუფლებისას „მის „დამბეზღებელს" ერთი ათად უმაგივრებს. ამ შიშით, ზოგჯერ ბოროტმოქმედს ხელს ვერ ადებს თვით დაზარალებულიც, თუ ზარალი მაინცა და მაინც დიდი არაა. მცირეს რომ გამოვედევნოთ დიდს დავკარგავთ, მეზობელს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადავეკიდებით—ასე ფიქრობს ზოგჯერ დაზარალებულიც კი.

ცხადია, ასეთ პირობებში ძნელია ქურდ-ბაცაცების აღმოჩენა. ადმინისტრაცია უძლური იქნება ებრძოლოს გლეხის მეურნეობის ამ მავნე სენს, თუ ამ ბრძოლაში მას აქტიური დახმარება არ გაუწია თვით მოსახლეობამ. ამისათვის საჭიროა, რომ დამნაშავეები არ რჩებოდეს დაუსჯელნი. ჩვენი სასამართლოები ქურდ-ბაცაცებს მეტი სისასტიკით უნდა მოეპყრან. გლეხმა, როდესაც ის ამხელს ბოროტმოქმედებას, უნდა იცოდეს, რომ დამნაშავეს შესაფერ სასჯელს მიუზღავენ.

გარდა ამისა, საჭიროა სოფლად გაცხოველებული იქნას პროპაგანდა უსაქმურობისა და უზნეობის წინააღმდეგ. ასეთია მაგალითად ლოთობა, ბანქოს და ნარდის თამაშობა, ყოველი სახის კომარბაზობა, რაც „დედაა" ქურდ-ბაცაცობის და ძარცვა-გლეჯის.

ამ საშუალებით შეგვეძლება ჩვენ ბოროტმოქმედების იმდენად შესუსტება, რომ სოფელმა შესძლოს გულდამშვიდებით განაგრძოს თავის ყოველდღიური საქმიანობა. ამ სიმშვიდეს ზოგიერთი ჩვენი სოფლები კი დიდათ საჭიროებენ.

მებუკი.

ჩვენი სკოლა

(დანირ-ჭაგანი, ქუთ. მაზ.)

პირველი იანვრიდან ჩვენს თემში სამაზრო პოლიტ-განყოფილების მიერ დაარსებული იქნა თვე-ნახევრიანი მოძრავი პოლიტ-სამეცადინო სკოლა. სკოლაში მსმენელებათ არიან 30 კაცი და ქალი. ხელმძღვანელ-მასწავლებლად არის ამხ. დ. აბაშიძე, გამოგზავნილი სამაზრო პოლიტ-განყოფილებიდან. უნდა აღინიშნოს ხელმძღვანელის აქტიური მუშაობა თემის სხვა კულტურულ საქმეებშია/ც. მსმენელებს მიეცათ აგრეთვე უფასოდ სამეცადინო რვეულები და ფანქრები. ერთი სიტყვით დაუფასებელია მსმენელთათვის ეს სკოლა.

ვლასი გალდავა.

ფულით ვაჭრობას ბოლო არ ელევა

(ნოქალაქევის თ., სენაკის მაზრა)

ჩვენს თემში თანდათან იკიდებს ფეხს მევახშეობა. არ არის ისეთი კუთხე, რომ იქ არ იყოს 3—5 მევახშე. ბოლო ხანებში ისინი სოკოსავით გამრავლდენ. ამ „ხელობას" მისდევენ ნიკოლოზის დროის მევახშეები, მაგრამ ამას არ ჩამოუვარდება ზოგიერთი მოსამსახურეებიც. ეს ხალხი ამ ხელობას ისე გაუტაცნია, რომ ცოლშვილს მოსწყვეტავს ამის გულისთვის. აქ არსებობს „საკრედიტო ამხანაგობა", მაგრამ ის არაფერს აკეთებს. ღარიბი გლეხობა ისევ კულაკებს უვარდება ხელში. საჭიროა ამის საწინააღმდეგოთ აგიტაციის გაწევა. მევახშეები 10 მანეთზე თვეში 2 მანეთს ახდევინებენ და „საკრედიტო ამხანაგობა" კი 10 კაპეიკს.

ა. ბ—ლი.

ქალის ხათრით

(ხორშის თ., სენაკის მაზრა)

როგორ ესმის აღმასკომის თავმჯდომარეს სახალხო საქმეზე ზრუნვა.

ხორშის თემის 7 წლედის მოწაფეები მთელი ზამთარი უცეცხლოდ არიან, რადგან სკოლას ბუხარი არ ქონდა და არც არავინ ზრუნავდა ასეთის გაკეთებაზე. მაგრამ ამავე დროს აღმასკომის თავმჯდომარემ პროვიზორის ცოლის ხათრით გაუკეთა ბუხარი იქ, სადაც საჭირო არ იყო. ვეკითხებით აღმასკომის თავმჯდომარე ტყებუჩავას, ვინ უფრო საჭიროებს ბუხარს, ბავშვები, რომელნიც სწავლობენ, თუ პროვიზორის ცოლი? რომელსაც ორი ოთახი და ბუხარიც აქვს აფთიაქის შენობაში? კარგია ქალების ხათრი, მაგრამ უმჯობესია სახალხო საქმის გაკეთება, რომელიც თქვენ ხშირად გავიწყდებათ ხოლმე.

ხიმართლის მთქმელი.

წერილებიდან

ჭყვიშის თემი

— ერთსულოვანი დადგენილება. ადგილობრივმა თემაღმასკომმა იქონია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რომელ მაზრას უნდა მიეწეროს ჩვენი თემი; ლეჩხუმისას თუ რაჭისას. ეს საკითხი ერთხელ უკვე გადაწყდა ლეჩხუმის მაზრის სასარგებლოდ. რატომღაც ხელმეორედ დაისვა ცენტრალურ დაწესებულებებში და პრესაში. ამიტომ ადგილობრივ საბჭომ საჭიროდ სცნო თავისი აზრი გამოეთქვა ამ სადაოდ გახდილ უდავო საკითხზე. ჭყვიშის საბჭომ დაადგინა, რომ ჩვენი თემი ეკონომიურათ, გეოგრაფიულად და კულტურულად ლეჩხუმთან არის დაკავშირებული და ლეჩხუმის მაზრასთანავე უნდა დარჩეს. ამასთანავე საბჭო მოითხოვს, რათა ერთხელ და საბოლოოდ მოიხსნას ეს საკითხი ჭყვიშის შესახებ, რაიც ხელს უშლის ადგილობრივ აღმშენებლობითი მუშაობას.

ბ—ლი.

წ. ეწერი, (სვ. მ.)

— ცომაიას სკოლა. აქ გაიღო დუქანი ვინმე ცომაიამ, რომელიც უფრო ბანქოს ათამაშებს ხალხს, ვიდრე ვაჭრობს. იმდენად ჩათრია ამ გარყვნილების ბუდემ აქაური გლეხები, რომ ხარებს ჰყიდიან და ბანქოს თამაშობენ. ივანე კუპრაშვილმა, მაგალითად, ექვს თუმნიანი ხარი 30 მანეთად გაყიდა, რომ ბანქო ეთამაშნა. როდის მოეღება ბოლო ცომაიას გამრყვნელ სკოლას?

მნახველი.

ფასების დაკლების კამპანია

ვაჭრობის აკრძალვა არა-სავაჭრო ორგანიზაციებისათვის

ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე მრავალია ისეთი ორგანიზაცია, რომლის ძირითად საქმიანობას ვაჭრობა არ წარმოადგენს, მაგრამ ვაჭრობას კი ეწევიან, რაც იწვევს ზედნადებ ხარჯების გადიდებას და აბრკოლებს ფასების დაკლების კამპანიის ნაყოფიერად ჩატარებას, ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამართველომ წინადადება მისცა ასეთ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ შესწყვიტონ დეფიციტური საქონლით (ფართლეულობა, ლითონის, ნაკეთობა, ტყავის საქონელი, სილიკატები, ჩაი) ვაჭრობა. ასეთი განკარგულება მიეცა: 1) აღმასკომების სავაჭრო ორგანოებს („ქუთაისის ვაჭრობა", „ფოთის ვაჭრობა" და სხვა), 2) საქართველოს წითელ-ჯვარს და მის ადგილობრივ ორგანოებს, 3) „დინამოს", 4) ინვალიდთა დამხმარე საზოგადოებას, 5) და ყველა გლეხკომებს.

წინადადება მიეცა აგრეთვე აღნიშნული საქონლის ჩვენში შემომზიდავ ორგანოებს ამიერიდან შესწყვიტონ საქონლის მიწოდება ზემოხსენებულ ორგანიზაციებისათვის.

მომხმარებლის ინტერესის დასაცავად

მეტრიული სისტემის გატარების დროს ზოგ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში და განსაკუთრებით კი კერძო ბაზარზე დაკანონდა ისეთი წესი, რომ 1 გირვანქის მაგივრად მოვაჭრენი საქონლის შეფასებას 400 გრამით ახდენდენ. ვინაიდან 1 გირვანქა უდრის 409,5 გრამს, ამიტომ ზემოაღნიშნული შეფასებით ფაქტიურად საქონლის გაძვირება ხდებოდა 2 პროც. ა.-კ. შინა-ვაჭრობის რწმუნებულის სამართველომ ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად წინადადება მისცა თბილისისა და ბათომის ქალაქის აღმასკომს გამოსცეს სპეციალური სავალდებულო დადგენილება, რომლითაც ყველას (კერძო ვაჭრებსაც) ეკრძალება 400 გრამში მოახდინონ საქონლის შეფასება. შეფასება უნდა სწარმოებდეს 100,500 და 1000 გრამში. აღმასკომების ადმინისტრატიულ ორგანოებს ევალებათ თვალყურის დევნება ამა დადგენილების გატარებისათვის.

ფასების დამკლები კომისია აჭარისტანში

აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოსთან მოეწყო საცალო ფასების დამკლები საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც იმუშავებს საქართველოს რესპუბლიკანური საუწყებათაშორისო კომისიის ხელმძღვანელობით.

ასეთივე კომისია მოეწყობა აფხაზეთის რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთანაც.

ფასების დაკლება „ტეჟეს" მაღაზიებში

„ტეჟეს" მაღაზიებში პირის-საბან საპონზე ფასები საშუალოდ დაკლებულია 21 პროც., კოსმეტიკაზე—17,6 პროც.

ვაჭრობის გამოკვლევა სოფლად

საკავშირო შინა-ვაჭრობის კომისარიატის დავალებით ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომი ამ ახლო მომავალში შეუდგება სოფლის ვაჭრობის ზასიათის გამოკვლევას. ამ მიზნით მოსკოვიდან ჩამოვიდა სპეციალური ინსტრუქტორი, რომელიც უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს ამ გამოკვლევას. შემუშავებულია სპეციალური ინსტრუქცია და ბლანკები გამოკვლევისათვის.

ასეთივე გამოკვლევას საკავშირო შინა-ვაჭრობის კომისარიატი აწარმოებს მთელი კავშირის მასშტაბით.

მუშათა ცხოვრება

კლუბების მუშაობის ირგვლივ

კულტურულ მუშაობის დარგში კლუბს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ კლუბი ისე უნდა მოეწყოთ, მისი მუშაობა ისე უნდა დაყენოთ, რომ იგი თავის გარშემო იკრეფდეს მუშათა ფართო ფენებს, და ხელს უწყობდეს მათ გათვითცნობიერებას. კლუბი მუშებისათვის კულტურისა და განათლების კერად უნდა გადაიქცეს; კლუბმა უნდა გაუღვიძოს მუშას საზოგადო მუშაობისადმი ინტერესი.

ჩვენი მუშების ერთი ნაწილი, უმთავრესად ის მუშები, რომლებიც ახალი ჩამოსული არიან სოფლებიდან, ჯერ კიდევ ჩამორჩენილია; ძველი ზნე-ჩვეულებებიდან და სიბნელიდან ვერ დაუხწევიათ თავი. მათ დიდად არ აინტერესებთ საზოგადო საქმე. ხშირია ამ ფენებში ლოთობა. ჩამორჩენილობის და სიბნელის შედეგია ხულიგნობა, რომელსაც ამ ბოლო დროს აქა-იქ ადგილი აქვს. სწორედ მუშათა ამ ფენებში უნდა გააცხოველოს მუშ. კლუბ-მა დღეს მუშათა კლუბებში უმთავრესად ძველ მუშებს ვხვდავთ, რომელთაც 20-30 წლის დაზგაზე მუშაობის სტაჟი აქვთ. ამ ძველ გამოცდილ მუშებთან ერთად წარმოებაში ახლად ჩაბმული მუშებიც უნდა ჩავითრიოთ.

მაგრამ რომ კლუბმა ეს შესძლოს, საჭიროა მისი მუშაობა თავის დონეზე იდგეს. წრეები სისტემატიურად უნდა მუშაობდენ არა მარტო ქაღალდზე ითვლებოდენ, როგორც ეს არის დღეს ზოგან; მათ გამოცდილი ხელმძღვანელები უნდა ყავდეთ, რომ შესძლონ მუშების ჩაბმა თავის მუშაობაში.

შემდეგ მოხსენებები და ლექციები სისტემატიურად უნდა ეწყობოდეს. ლექციები განყენებული ხასიათის თემებზე კი არ უნდა იკითხებოდეს, არამედ მუშებისათვის საინტერესო საკითხებზე, როგორც ყოფა-ცხოვრების, სანიტარ-ნათლების და სხვა. მუშებს აგრეთვე აინტერესებს გასართობები—როგორც ლოთის, [illegible]ნის და სხვა გასართობები, კლუბი უნდა აწყობდეს წვეულებს კულტურულ გასართობებს; როგორც კინოების, წარმოდგენების და კონცერტების დადგმა. მაგრამ ყველაფერი ეს უნდა შეეფერებოდეს თანამედროვე ცხოვრებას.

ჩვენი მუშათა კლუბები უმთავრესად პროვინციებში, მოისუსტებენ. ამის მიზეზი მრავალია—უბინაობა, უსახსრობა, გამოცდილი მუშაკების უყოლობა და სხვ. სათანადო ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ კლუბს და გამოაცოცხლონ მათი მუშაობა. კლუბებს გამოცდილი და მუშებთან დაახლოვებული, ავტორიტეტიანი მომუშავენი უნდა მიეცეთ, მაშინ შესძლებს კლუბი თავის მოვალეობის ასრულებას, თავის გარშემო მუშების ფართო ფენების შემოკრებას.

ლ.

მუშკორთა კრება

2 მარტს შესდგა გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა მოხსენება ფასების დაკლების შესახებ. ამ საკითხის შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. ვ. კოჟაპერიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ პარტია და ხელისუფლება საცალო ფასების დაკლების შესახებ დიდ ყურადღებას აქცევს ამას, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ფასების დაკლების საკითხის მოსაგვარებლად ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო. ფასების დაკლების პოლიტიკის ცხოვრებაში ურყევად გატარება ხელს შეუწყობს მუშების გლეხებთან დაკავშირებას და სხ. შემდეგ ამხ. მომხსენებელი შეეხო, თუ რა აბრკოლებს ფასების დაკლების გატარებას.

ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენ მუშა-კორესპონდენტებმა ადევნონ თვალყური, თუ ვინ როგორ უყურებს ამ საკითხს და როგორ ატარებენ ცხოვრებაში, ვინ უშლის ხელს საცალო ფასების დაკლების გატარებას, და ყოველივე ეს სათანადო ორგანოებს უნდა აცნობოს.

მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რაზედაც მან ამომწურავი პასუხი გასცა. შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

გამოასწორეთ ეს ნაკლი

ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების წევრთა საექიმოდ ჩაწერა ამჟამად ხდება პირადობის მოწმობის წარდგენით. წინანდელთან შედარებით, როცა ბიულეტენი იწერებოდა მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა გაუარესდა იმ მხრივ, რომ პირადობის მოწმობით არ შეუძლიან ერთი ოჯახის წევრზე მეტს ერთდროულად მიიღოს საექიმო დახმარება, ვინაიდან პირადობის მოწმობა პატრონს ერთმევა ჩაწერის დროს ექიმზე გადასაცემად. ასე რომ ორ-სამ ოჯახის წევრს არ შეუძლია ერთდროულათ მიიღოს საექიმო დახმარება; ამ მხრივ უფრო საშინელ და აუტანელ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი ხაზიდან მთავარ საავადმყოფოში ჩამოსული მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრნი საექიმო დახმარების მისაღებად. ჩვენის აზრით ამ საკითხის მოგვარება კი შეიძლება ასე: თვითეულ ავადმყოფზე ერთდროულად სდგება „კარტოჩკა" და როდესაც ოჯახის რამოდენიმე წევრმა უნდა მიიღოს სხვადასხვა გვარი სახის საექიმო დახმარება, ამ შემთხვევაში მათ არ უნდა ერთმეოდეს პირადობის მოწმობა, როგორც ეს ამჟამად ხდება, არამედ მას თვით ავადმყოფი უნდა უდგენდეს ექიმს პიროვნების შესამოწმებლად და ჩამწერ ექიმს გადაუგზავნოს მხოლოდ „კარტოჩკა". ამრიგად ოჯახის წევრ ავადმყოფებს მიეცემათ საშუალება ერთდროულად ჩაეწერონ სხვადასხვა ექიმებთან, დახმარების მისაღებად.

იმედია ამ საკითხს მთავარი ექიმი მიაქცევს სათანადო ყურადღებას და მოაგვარებს მას.

მ. მედგარი.

ჯანსახკომის საყურადღებოდ

არა ერთხელ და არა ორჯელ დაწერილა იმის შესახებ, რომ რ.-გ. მთ. სახელოსნოში ყველა ცვლის მუშაობის დროს, ქსენონში უნდა იყოს მორიგე ექიმი, როგორც ამას ლაპარაკობს შრომის კანონი, რადგანაც მთავარ სახელოსნოში მუშების დასახიჩრებას ხშირად აქვს ადგილი. მთ. სახელოსნოს ქსენონში მხოლოდ პირველი და მეორე ცვლის მუშაობის დროს არის მორიგე ექიმი, ან თანაშემწე, მესამე ცვლის დროს კი არა. საჭიროა ზომების მიღება ამის შესახებ.

მ. ლ. ტ—პირელი.

მეაბრეშუმეობის კურსებზე

„საქართველოს აბრეშუმმა" თებერვლის დასაწყისში თბილისში გახსნა მეაბრეშუმეობის კურსები, სადაც უნდა აღიზარდონ ჩვენი მეაბრეშუმეობის ხელმძღვანელები. მსმენელთა რიცხვი 80-ს აღემატება. ყველა საბრეშუმო რაიონებიდან არიან წარმოგზავნილი ამხანაგები, რომელთა მოვალეობას შეადგენს, კურსის დამთავრების შემდეგ დაბრუნდენ თავის რაიონებში და აწარმოონ პროპაგანდა მაბრეშუმეობის მასიურად შემოღების შესახებ და შეასწავლონ მეაბრეშუმეებს ჭიის მოვლა.

მსმენელები ყოველმხრივ უზრუნველყოფილი არიან, მათ ეძლევათ ბინა, საჭმელ-სასმელი, აბანო და ყოველგვარი სამეცადინო ნივთები. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. ლექტორები სათანადოთ ასრულებენ თავის მოვალეობას. „საქ. აბრეშ." მმართველი ამხ. გოგოტიშვილი და აგრეთვე კურსების დირექტორი ამხ. ჩხეიძე თითქმის ყველა ლექციებს ესწრებიან. 2, თებერვალს „საქართველოს აბრეშუმის" ხელმძღვანელობით მსმენელების მიერ დათვალიერებულ იქნა ზაჰესი, რომლის შესახებ ყოველგვარ ახსნა-განმარტებას გვაძლევდა ინჟ. ჩუბინიძე. ზაჰესის დათვალიერების შემდეგ, გავემგზავრეთ მცხეთისაკენ. სადაც დათვალიერებულ იქნა მცხეთის ძველისძველი მონასტრები მრავალი ისტორიული ნაშთებით.

მსმენელი ა. წილოსანი.

მუშათა წერილებიდან

— სინათლე ქრება. პლეხანოვის სახელობის კლუბში ხშირად წარმოდგენის, კინოს და ლექციის დროს სინათლე ქრება. ამას წინად მიდიოდა პიესა „ნათელა". სინათლე ჩაქრა, რის გამოც წვალებით იქნა ჩატარებული ეს პიესა. კლუბის გამგეობამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

მუშკორი შახია.

ამხ. ნიკოლაევსკი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ამხ. ნ. ნიკოლაევსკი, რომელმაც ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

— მე თბილისში ჩამოვედი აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების და სისხლის სამართლის მილიციის მოწვევით.

ჩემი მიზანია გავეცნო, თუ როგორ არის დაყენებული სისხლის სამართლის ძიების საქმე ადგილობრივ.

მე მივლინებული ვიყავი საზღვარგარედ სისხლის სამართლის ძიების უკანასკნელი ტეხნიკის გასაცნობად და იქ მიღებული შთაბეჭდილებები უნდა გავაცნო სისხლის სამართლის დარგში მომუშავე ამხანაგებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულობათა რიცხვი საზღვარგარედ უფრო მეტია, ვინემ საბჭოთა კავშირში. კერძოდ, სისხლის სამართლის დანაშაულობანი უფრო გავრცელებულია გერმანიაში და ავსტრიაში. ეს გარემოება დამტკიცდა დასავლეთ ევროპის მილიციის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც მე ვღებულობდი უშუალო მონაწილეობას.

საზღვარგარედ უმთავრესად გავრცელებულია სექსუალური დანაშაულობანი. იყო შემთხვევა, როცა ქალაქ ჰანოვერში (გერმანია) ჩემი იქ ყოფნის დროს ჩამოახრჩვეს ერთი ბოროტმოქმედი, რომელმაც ჩაიდინა შემდეგი დანაშაული: აღნიშნულ ბოროტმოქმედს ორი თვის განმავლობაში სისტემატიურად დაჰყავდა თავის ბინაზე როსკიპი ქალები, ჰქონდა მათთან კავშირი, შემდეგ ჰკლავდა მათ დანით და მათი ხორციდან კი აკეთებდა ძეხვს და გაჰქონდა ის სარეალიზაციოდ ბაზარზე. ასეთი შემთხვევები იქ მრავალია.

ბოროტმოქმედებთან ბრძოლის მეთოდი დასავლეთ ევროპაში შედარებით გაუმჯობესებულია. დიდი ყურადღება ექცევა იქ ბოროტმოქმედთა აღმოჩენის საქმეში მაძიებელი ძაღლების მოშენებას. ამ საქმისათვის გადადებულია საკმაო თანხა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დასავლეთ ევროპაში დანაშაულობათა უმეტესი ნაწილი იხსნება მაძიებელი ძაღლების საშუალებით.

ჩვენში ამჟამად დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სისხლის სამართლის დანაშაულობათა გახსნის საქმეში მაძებარი ძაღლების გამოყენებას.

მე აქ თბილისში დავათვალიერე აღმასკომის ძაღლების მოსაშენებელი პუნქტი. მიღებული შთაბეჭდილებით პუნქტის მოწყობილობა ჩინებულია.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა ზომებია მიღებული საბჭოთა კავშირში ხულიგნობასთან საბრძოლველად, ამხ. ნიკოლაევსკიმ განაცხადა: ამ ბოლო ხანებში ჩვენში ადგილი ჰქონდა ხულიგნობის მასიურ შემთხვევებს, ამჟამად კი შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულ სათანადო ღონისძიებების წყალობით ხულიგნობასთან ბრძოლა ჩვენში წარმატებით მიმდინარეობს.

ხულიგნობასთან ბრძოლა სწარმოებს აგიტაციის და მშრომელ მოსახლეობაში კულტმუშაობის გაძლიერებით. ამჟამად ხულიგნობა ჩვენში საგრძნობლად კლებულობს.

საუბრის დასასრულს ამხ. ნიკოლაევსკიმ განაცხადა: ბოროტმოქმედების განვითარების პროცესში დიდ როლს თამაშობს ალკოჰოლიზმი. ამის გამო საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება შესაფერ ნაყოფს გამოიღებს.

შრომის პირობების შესწავლის საქმე საქართველოში

საქართველოს მრეწველობის განვითარება და მასში ჩაბმულ მუშა ხელის რიცხვის ზრდა უკანასკნელ სამ-ოთხი წლის განმავლობაში ყველასათვის ცნობილი ფაქტია. ეს ფაქტი კი და ხელისუფლების მიერ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისკენ მტკიცედ აღებული გეზი ნათლად მეტყველებენ, რომ ახლო მომავალში საქართველოს მოსახლეობის უფრო მეტი და მეტი ნაწილი ჩაებმება სამრეწველო შრომაში. უკანასკნელის გავლენას ჯანმრთელობაზე, ამ ფრიად მნიშვნელოვან სოციალურ - ჰიგიენურ მოვლენას, უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება.

როგორც ჩვენ ეკონომისტთა და მეურნეობის ხელმძღვანელთა მიერ გამოკვლეულია, საქართველოს მრეწველობის ძირითადი დარგები უნდა იქნენ სამთამადნო, სამთო-ქარხნო, ქიმიური და შეიძლება მეტალურგიული. ამ დარგებში მუშაობა კი ჰიგიენისტთა აზრით ითვლება ყველაზე უფრო მძიმეთ და მავნეთ—და მოითხოვს ჯანსაღ და ღონით სავსე მუშათა ჩაბმას მასში.

მრეწველობის ის დარგებიც, რომელთა განვითარება დაკავშირებულია ჩვენს სასოფლო მეურნეობასთან, სახელდობრ: საფეიქრო (ბამბის საწმენდ და სართავ-საქსოვ, მაუდის, აბრეშუმის), თამბაქოს, ჩაის და სხვ., ხასიათდებიან მუშაობის არანაკლებ მავნე პირობებით.

ამგვარად, საქართველოს მოსახლეობა ახლო მომავალში ფართე მასშტაბით მოელის მუშაობის მავნე პირობების მოქმედებას ჯანმრთელობაზე. მაგრამ უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ თანახმად მრავალ გამოკვლევებისა, სამრეწველო შრომის მავნე მხარეები წინასწარ და თავის დროზე მიღებულ ჰიგიენურ ზომებით შეიძლება სულ მთლად ჩამოსცილდნენ მას, ან საგრძნობლად მაინც შესუსტდნენ და ამგვარად შეიძლება თითქმის სულ მთლად გაბათილებული იქნეს მრეწველობის განვითარების ეს უარყოფითი მხარე.

თავის - თავად ცხადია, სამრეწველო შრომის მავნე მხარეთა მოსპობა საჭიროა არა მხოლოდ მუშათა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, არამედ ხასარგებლოა თვით მრეწველობისთვისაც, რადგანაც რაც უფრო კარგ პირობებშია ჩაყენებული მშრომელი მუშაობის წარმოების დროს, მით უფრო ნაყოფიერია და სასარგებლოა მისი მუშაობა.

შრომის გაჯანსაღება — აი ის მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც გვიდგას წინ. ამ ამოცანის გადაჭრას ესაჭიროება მეტად სერიოზული და მეცნიერული მიდგომა, არსებულ შრომის პირობების დეტალური შესწავლა და საჭირო დამცველ და გამაფრთხილებელ საშუალებათა გამომუშავება. ამგვარ სამეცნიერო კვლევა - ძიების წარმოება კი შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურ სამეცნიერო დაწესებულებებში, შრომის ინსტიტუტებში, შრომის ჰიგიენის ლაბორატორიებში, პროფესნეულებათა ინსტიტუტებში, პოლიკლინიკებში და სხვა ამგვარ დაწესებულებებში, რომელთა რიცხვიც ახე გამრავლდა ამ უკანასკნელ დროს დასავლეთში და საკავშირო რესპუბლიკებშიც.

ჩვენი მიზანია მკითხველს გავაცნოთ, თუ რა პრაქტიკული ნაბიჯები იყო გადადგმული და რა სახის მუშაობაა შესრულებული ჩვენში შრომის მეცნიერულ შესწავლის მხრივ.

შრომის გაჯანსაღება და მისი ყოველმხრივი დაცვა დავალებული აქვს შრომის კომისარიატის ორგანოებს, სახელდობრ შრომის ინსპექციას, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან აგრეთვე სპეციალისტებიც, სანიტარული და ტეხნიკური ინსპექტორები (ექიმები და ინჟენერები). შრომის სანიტარულ და ტეხნიკურ ინსპექციის მოვალეობას შეადგენს შრომის მავნე პირობების გამოკვლევა - შესწავლა და საჭირო გამაფრთხილებელ - დამცველ ზომების გამომუშავება. მაგრამ როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, სპეციალური მეცნიერული კვლევა - ძიება შეიძლება წარმოებული იქნეს მხოლოდ სპეციალურ, შესაფერად მოწყობილ მეცნიერულ დაწესებულებაში, ლაბორატორიაში, რადგანაც უბრალო შეხედვა - დაკვირვებით მიღებული აღწერითი მასალები თანამედროვე მეცნიერულ კვლევა-ძიების მოთხოვნილებებს აღარ აკმაყოფილებენ.

სპეციალურ ლაბორატორიის მოწყობა კი, მეტად ძნელი და ძვირი საქმეა. აზერბეიჯანის შრომსახკომატმა, მაგალითად, ამ საქმისთვის უკვე ასი ათას მანეთამდე დახარჯა, მაგრამ ჯერ მაინც ვერ დაასრულა ეს საქმე. ჩვენში კი ნივთიერი დაბრკოლებები შეხვდა ამ საქმეს. შესაფერ ბინის უქონლობამაც იქონია გავლენა.

საქართველოს შრომსახკომს ყავს შესაფერი და უკვე ამ დარგში პრაქტიკულად გამოცდილი სპეციალური მუშაკები, ადგილობრივ უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკუმის სამეცნიერო ძალებიც დიდ სურვილს იჩენენ მონაწილეობა მიიღონ შრომის პირობების შესწავლაში.

საქმის დაწყების საჭიროება იმდენად გადაუდებელი იყო, რომ, მიუხედავად მძიმე პირობებისა, შრომის პირობების გამოკვლევა მაინც დაიწყო და სწარმოებდა წარსულ წლის მარტიდან ხანგამოშვებით, ჯერ სახელმწიფო ჰიგიენურ ლაბორატორიის ბინაში, ხსენებულ ლაბორატორიის ძალების თანამშრომლობით, წელს კი საკუთარ, მართალია, მეტად ვიწრო ბინაში.

უმეტესი ყურადღება მიექცა შავიქვის მრეწველობას, როგორც ჩვენი მრეწველობის უმთავრეს დარგს. მაღაროებში შრომის პირობების გამოკვლევა, რომელიც შესრულდა შარშან სპეციალურად მივლინებულმა კომისიამ პროფ. ს. ამირაჯიბის ხელმძღვანელობით, სწარმოებდა მეტად მძიმე პირობებში. აქ გამორკვეული იყო ჰაერის შემადგენლობა და მისი თვისებები. (ნახშირ ორჟანგის რაოდენობა. მტვერიანობა, შეფარდებითი სინოტივე, ტემპერატურა). მიღებული იყო მეტად უარყოფითი ხასიათის ცნობები. ნახშირ ორჟანგის რაოდენობა რამოდენიმეჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ეს დასაშვებია ჰიგიენის თვალსაზრისით. მტვერის რაოდენობაც ჰაერში მეტად ბევრი აღმოჩნდა — 500 მილიგრამზე მეტი ერთ კუბიკურ მეტრში, ე. ი. ასჯერ მეტი იმაზე, რამდენიც დასაშვებია. სინოტივის მხრივაც პირობები მეტად არა სასურველი აღმოჩნდა. დიდი სინოტივე აღმოჩნდა აგრეთვე შავიქვის სარეცხ ქარხნებში. იქვე შრომსახკომის სანიტარულ ინსპექტორის, ექიმ ი. ანდრონიკაშვილის მიერ შედგენილი იყო მუშაობის სანიტარულ პირობების აღწერაც და შეკრეფილ-დამუშავებული იყო ცნობები მუშათა დაავადების შესახებ. ამ პირველ ნაბიჯით თუმცა არ იყო მიღებული სრულიად ამომწური შედეგები მემაღაროეთა შრომის დახასიათებლად, მაგრამ მაინც იყო მიღებული ფრიად მნიშვნელოვანი მასალები, რომელთა მსგავსიც აქამდის არ მოგვეპოვებოდა.

მეორე უმთავრესი დარგი ჩვენი მრეწველობისა, რომელშიაც იყო წარმოებული გამოკვლევები, არის თამბაქოს მრეწველობა. ლაგოდეხის რაიონში მივლინებულმა სანიტარულმა ინსპექტორმა ექ. ნ. ფხაკაძემ, რომელმაც პლანტაციებზე და თამბაქოს საწყობებში არსებულ შრომის პირობების სრული სანიტარული აღწერა შეადგინა. სამწუხაროდ, პლანტაციების სიშორის გამო თბილისიდან და უსახსრობის გამო მუშაობის პირობების ლაბორატორიული გამოკვლევა ჯერჯერობით ვერ ჩატარდა.

რაც შეეხება თამბაქოს ფაბრიკების მუშაობის პირობებს, აქ ჩვენმა ლაბორატორიამ წინანდელ საორიენტაციო მასალებს გასულ წელს დაუმატა უფრო გაღრმავებულ და გაუმჯობესებულ მეთოდიკით წარმოებულ განმეორებით გამოკვლევების შედეგები. ასე, წინად იყო შესრულებული 11 გამოკვლევა მტვერის რაოდენობისა, შარშან კი ჩვენმა ლაბორატორიამ ივლის - სექტემბრის განმავლობაში შეასრულა კიდევ 17 ამგვარივე გამოკვლევა ნიკოტინის პროცენტულ რაოდენობის განსაზღვრით.

ზოგიერთ განყოფილებაში მტვერის რაოდენობა ძალიან ბევრი აღმოჩნდა, 1 გრამზე მეტი 1 კუბიკურ მეტრში. ნიკოტინის და პირიდინის რაოდენობა კი ზოგიერთ შემთხვევაში 8 პროც.-ზე მეტი აღმოჩნდა. იქვე იყო შესრულებული 20-ჯერ ჰაერის ფიზიკურ თვისებების გამოკვლევა (ტემპერატურის, სინოტივის, ჰაერის მოძრაობის და სხვ.).

გარდა იმისა, რომ მიღებულ მასალებს აქვთ დიდი მნიშვნელობა თამბაქოს ფაბრიკების ვენტილიაციის საკითხის დასამუშავებლად, ჩატარებული გამოკვლევების შედეგების საშუალებით ეხლა ლაბორატორიაში მუშავდება თამბაქოს ფაბრიკების სატენ განყოფილებებში მტვრიანობის შესამცირებელი ახალი წესი—გერმეტიზაცია, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად გააჯანსაღოს ხსენებულ განყოფილების მუშაობის პირობები.

1926 წ. ლაბორატორია ფაქტიურად მუშაობდა მხოლოდ სამი თვის განმავლობაში, დაისიც ძალიერ ვიწრო და მოუწყობელ ბინაში.

ლაბორატორიის მუშაობა შესაფერად მოწყობილ და ცოტად თუ ბევრად ნორმალურ პირობებში მხოლოდ ეხლა იწყება. მიუხედავათ ამისა და ნივთიერ ხელმოკლეობისა, ლაბორატორიამ შესძლო წარსულ წელში უფრო დეტალური და გაღრმავებულ ზომით მოყვანილ გამოკვლევების შესრულება.

თამბაქოს ფაბრიკებში, გარდა ამისა, 1926 წ. ლაბორატორიამ გამოიკვლია და დაამუშავა საინტერესო მასალები გოგირდ წყალ ტალახის სამკურნალოში არსებულ შრომის პირობების შესახებ. მიღებული მასალა საინტერესო აღმოჩნდა მეცნიერულ თვალსაზრისით.

1926 წ. ჩვენმა ლაბორატორიამ მიაქცია ყურადღება აგრეთვე შრომის პირობების შესწავლას თონეებში. როგორც ვიცით, მეთონეობა ჩვენში მეტად გავრცელებულია და შრომის პირობები იქ მეტად მძიმეა. აქამდის კი ჯერ-ჯერობით არც მათ გამორკვევისათვის და არც მათ გაჯანსაღებისათვის თავი არავის შეუწუხებია. ჩვენი ლაბორატორიის შარშანდელ გამოკვლევების თანახმად აღმოჩნდა, რომ სიცხე თონეს იმ სიღრმეზე, სადამდისაც მეთონეს ხშირობა ჩაყირავება თავ ქვეშ პურის დასაკრავად, აღწევს 102—145° ცელსით. მუშაობის ამგვარ პირობებს დიდი ზიანი მოაქვთ მეთონეთა ჯანმრთელობისთვის. ლაბორატორიის გამოკვლევების შედეგების საფუძველზე უკვე აღძრულია საკითხი თონეებში მუშაობის არსებული წესის მოსპობის შესახებ პურის დაკვრის მექანიზაციის შემოღებით.

კიდევ ჩატარებული იყო ნაწილობრივი გამოკვლევები სტამბებში, ტყავეულობის ქარხნებში, ჩაქვის ჩაის ქარხანაში, ხპიოენძის სატკეც ქარხანაში და სხვა წარმოებებში, მხოლოდ ამ გამოკვლევებს ჯერჯერობით არ აქვთ მთლიანი, დასრულებული ხასიათი, ისინი წარმოადგენენ საორიენტაციო მასალას. გარდა ამისა, ლაბორატორიას დასახული აქვს ვატმანების და სხვ. პსიქოტეხნიკურ გამოკვლევების მოწყობა და დაღალვის და პროფესიულ ვარგისობის საკითხების შესწავლა.

ჯერჯერობით ჩვენმა საზოგადოებამ არაფერი არ იცის ამ ახალ მეცნიერულ მუშაობის დარგის შესახებ. ეს მუშაობა კი მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია თანამედროვე ეკონომიურ პირობებში. სოციალისტურ მრეწველობის მშენებლობა. განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მუშის ჯანმრთელობის მინიმალურ დაზიანების პირობებში, და ამის მიხედვით იმ მეცნიერულ კვლევა - ძიებას, რომელსაც დასახული აქვს მუშათა ჯანმრთელობის დაზიანების პირობების და მიზეზების გამოკვლევა და დაზიანების წინააღმდეგ საჭირო გამაფრთხილებელი და დამცველ ზომების დამუშავება, უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და გაეწიოს საჭირო დახმარება. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ჩვენ სამეურ. ორგანოებს, რადგანაც ამგვარი მუშაობა მოუტანს დიდ სარგებლობას თვით მეურნეობას, ვინაიდან შრომის გაჯანსაღება პირველად ყოვლისა ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას და ამცირებს ხარჯებს დასნეულებულ - დაზიანებულ მუშათა მკურნალობა - უზრუნველყოფაზე.

შრომის პირობების ყოველ მხრივ შესწავლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა დაავადების და განსაკუთრებით პროფესიულ დაავადების შესწავლას. ამ მიზნით ჯანსახკომმა (სახელდობრ მისმა დაზღვეულთათვის სამკურნალო დახმარების ქ.-განყ.) უკვე მოაწყო და, იმედია მალეც აამუშავებს პროფ. სნეულებათა პოლიკლინიკას. შრომსახკომის შრომის ჰიგიენის ლაბორატორიის და პროფსნეულებათა პოლიკლინიკის შეთანხმებული მუშაობა დიდ სარგებლობას მოუტანს საქართველოს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, შრომის ნაყოფიერების ზრდას და მრეწველობის განვითარებას.

ექ. ა. ხმალაძე.

ყრილობები და თათბირები

თბ. მაზრის თემაღმასკ. წარმომადგენელთა თათბირი

მეოთხე დღე.

თბილისის მაზრის კეთილმოწყობა. თბილისის მაზრის კეთილმოწყობის შესახებ მოხსენება წაიკითხა კეთილმოწყობის განყოფილების გამგემ ამხ. სიხარულიძემ, რომელმაც თემების წარმომადგენლებს გააცნო გასულ წელს კეთილმოწყობის დარგში ჩატარებული მუშაობა. მომხსენებლის გადმოცემით, 1925—26 საბიუჯეტო წელს განყოფილებას მარტო გზების გაყვანასა და შეკეთებაზე დაუხარჯია 35.000 მანეთი, ხოლო სასკოლო, საავადმყოფო და საბჭოთა დაწესებულების შენობათა აგებასა და შეკეთებაზე იმავე ხნის განმავლობაში —50.000 მანეთი. წყალსადენების გაყვანაზე კი დახარჯულია 89.000 მანეთი. წყალსადენები უმთავრესად გაყვანილ იქნა იმ რაიონებში, რომელიც უფრო მეტად განიცდიდენ გაჭირვებას უწყლობის გამო. მიმდინარე საბიუჯეტო წლისათვის შენობათა ასაგებად და შესაკეთებლად გადადებულია 61.000 მანეთი, ხოლო წყალსადენების გასაყვანად 100.000 მანეთი. საერთოდ წელს ხარჯები მაზრაში კეთილმოწყობის მუშაობის გასაფართოვებლად 250 პროცენტით არის გადიდებული. შემდეგ მომხსენებელი ეხება იმ როლს, რომელიც ადგილობრივმა სათემო აღმასკომებმა უნდა ითამაშონ თავისი რაიონის კეთილმოწყობის საქმეში. თემაღმასკომები ვალდებული არიან არ დაეყრდნონ თბილისის აღმასკომის მიერ გამოყოფილ თანხებს და მეტი მონაწილეობა მიაღებინონ ადგილობრივ გლეხობას თავიანთი სოფლების კეთილმოწყობად წარმოებულ მუშაობაში, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება წარმატებით ჩატარდეს ის საამშენებლო მუშაობა, რომელიც გათვალისწინებულია უახლოეს წლებში. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

თბილისის მაზრის გლეხკომები

თბილისის მაზრის გლეხკომების მუშაობას თათბირს აცნობს ამხ. ცომაია. ამჟამად მაზრაში მუშაობს სულ 70 გლეხკომი, რომელთა უმრავლესობის ნივთიერი მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ამ გლეხკომებს შორის ყველაზე მძლავრი არის მხოლოდ 10 გლეხკომი და მათ შორის დიღომის, აღბულაღის და მანგლისის გლეხკომები. გლეხკომებს ამჟამად აქვთ 5.600 მანეთი, დაახლოებით, ამაზე ორჯერ მეტი სხვადასხვა ქონება. გლეხკომები საერთო წესის თანახმად დახმარებას უწევენ ულარიბეს გლეხებს, ქვრივ-ობლებს, წითელარმიელთა ოჯახებს და სხვა გაჭირვებულთ. მიმდინარე თვის ხუთიდან მთელს მაზრაში დაიწყება კამპანია გლეხკომების მუშაობის გამოსაცოცხლებლად. კამპანიის ხელმძღვანელობას გაუწევენ სათემო აღმასკომები და პარტიული ორგანიზაციები. კამპანიის მიზანია გლეხობის ფართო მასების ჩაბმა გლეხკომებში, დამხმარე კოლექტივების მოწყობა და საერთოდ გლეხკომის იდეის პოპულიარიზაცია.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თბილისის მაზრის თემაღმასკომთა თავმჯდომარეების თათბირი დაიხურა.

სოც. უზრ. კომის. წარმომადგენელთა თათბირი

მეორე სხდომა

4 მარტს სალამოს, ვანახლდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატების და გლეხკომების წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი.

თათბირმა პირველ რიგში მოისმინა საქართველოში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკების წარმომადგენელთა მოხსენებანი, აფხაზეთის გამოკლებით.

სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენელი ამხ. ჯატიევი აღნიშნავს იმ სიძნელეებს, რომელიც წინ ეღობება სოციალური უზრუნველყოფის საქმეს ავტონომიურ ოლქში. ბიუჯეტის სიმცირე და სხვა ობიექტიური პირობები, საშუალებას არ აძლევენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს სავსებით დააკმაყოფილონ ის მოთხოვნილებანი, რომელთაც აყენებს ცხოვრება. სოციალურ უზრუნველყოფაზე გადადებული ბიუჯეტი მთელს ოლქში შეადგენს დაახლოებით 6.000 მანეთს.

აჭარისტანის წარმომადგენელი ამხ. აბულაძე განმარტავს, რომ მთელ აჭარისტანში აყვანილია აღრიცხვაზე 1.525 კაცი. აქედან მუდმივი პენსიონერების რიცხვი შეადგენს 425 კაცს. სოციალურ უზრუნველყოფაზე მიმდინარე წლისათვის გადადებული არის მხოლოდ 13.000 მანეთი, რაც უნდა ჩაითვალოს ძლიერ მცირე თანხად აჭარისტანის პირობებში.

გლეხკომების მუშაობის შესახებ მომხსენებელი აღნიშნავს მთელ რიგ მიღწევებს და ამბობს, რომ აჭარისტანის 5 მაზრაში გლეხკომები ეწევიან სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მაგიერობას. გლეხკომებს გახსნილი აქვთ თევზის ქონის გადასამუშავებელი ქარხანა, რაც პირველი არის ამიერ-კავკასიაში და ქარხნის პროდუქციასაც დიდი ბაზარი აქვს.

შემდეგი მოხსენებით ვამოდის სომხეთის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ამხ. ოსეპიანი.

ორატორი აღნიშნავს სომხეთის განსაკუთრებულ მდგომარეობას და სამოქალაქო ომებიდან და დიდი იმპერიალისტური ომიდან დარჩენილ ინვალიდების სიმრავლეს. შემდეგ მომხსენებელი ეხება თვით სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის და მისი ორგანოების სტრუქტურას და აღნიშნავს, რომ პრესაში გამოქვეყნებული წერილები, სადაც მოთხოვნილია კომისარიატების აპარატის გაუმჯობესება და გამარტივება უნდა იქნეს მიზანშეწონილად ცნობილი, ვინაიდან არსებული ორგანოები ვერ აუდიან იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რომელიც არსებობს და კომისარიატების სხვა ორგანოებთან შეერთებისას კი ამ მხრივ საქმე კიდევ უფრო გაუვარესდება.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს სომხეთში ჩატარებულ მუშაობას, საინვალიდო სახლების მდგომარეობას, ახასიათებს გლეხკომების საქმიანობას და აღნიშნავს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხების სიმცირეს.

სახალხო მამულების გამგეთა თათბირი

მეორე და მესამე სხდომა

სახალხო მამულების გამგეთა თათბირის მეორე სხდომაზე მოსმენილი იქნა სასოფლო მეურნეობის სამმართველოს უფროსის დ. გედევანიშვილის მოხსენება. მომხსენებლის აზრით საჭიროა სახალხო მამულები შეიქნენ სამაგალითო და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის ვამავრცელებელ ცენტრად გლეხთა შორის. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რის შემდეგ მოსმენილი იქნა კომისიის მოხსენება სახალხო მამულების ტრესტისა და ცალკე მამულების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. კომისიის დასკვნით, ვინაიდან თვითეულ სახალხო მამულს ეხებება იურიდიული პირის უფლება, მათ უნდა მიეცეს დამოუკიდებელი მოქმედების უფრო მეტი უფლება და ინიციატორობა, აგრეთვე ნაწარმოებები, ცენტრის თანხმობით უნდა მზადდებოდეს უმაღლეს განსაზღვრულ (სალიმიტო) ფასებში, ხოლო განსხვავება ამ განსაზღვრულ ფასებსა და ნამდვილ ღირებულების შორის უნდა ირიცხებოდეს მამულის შემოსავალში ცალკე.

მესამე სხდომაზე გამართულ კამათის დროს შეტანილი იქნა წინადადება, რომ ნაწარმოების განაღდების შემდეგ მიღებული მოგება ჩაირიცხოს მამულების საკუთარ შემოსავალში. ამავე სხდომაზე განხილული იქნა საკითხი მამულების გაფართოების შესახებაც. თათბირზე განსაკუთრებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია მამულების ნაწარმოების გასაღების საკითხმა, რომლის მიხედვით მამულების უმთავრესი ნაწარმოებების განაღდება უნდა აწარმოოს ცენტრმა, ხოლო მეორე ხარისხოვანი ნაწარმოებები კი გაასაღონ თითონ სახალხო მამულებმა.

განათლების მუშაკთა კავშირის ყრილობა

დილის სხდომა

ამხ. დავით კანდელაკის მოხსენება

მესამე დღის დილის სხდომაზე ყრილობამ დიდი ინტერესით მოისმინა განათლების სახალხო კომისრის ამხ. დავით კანდელაკის მოხსენება განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა ჩვენი დაბალი, საშუალო და უმაღლეს სკოლების დღევანდელი მდგომარეობა. შეეხო რა პირველ საფეხურის სკოლების მდგომარეობას, ამხ. კანდელაკმა აღნიშნა, რომ შედარებით გასულ წლებთან დაბალი სკოლის მდგომარეობა გაუმჯობესებულია, თუმცა იგი კვლავ განიცდის მომზადებულ კვალიფიციურ პედაგოგთა ნაკლებობას. ძველი გამოცდილი მასწავლებელთა რიცხვი [illegible] კლებულობს, მხოლოდ ჩვენი საშუალო სკოლები დღემდე ვერ იძლეოდენ სათანადო კვალიფიკაციის პედაგოგიურ მუშაკებს. ეს გარემოება უშლის ხელს საფეხურის სკოლების დაწინაურებას.

გასულ წელს მთავარი ყურადღება ექცეოდა გლეხურ ახალგაზრდობათა სკოლების ორგანიზაციას. სკოლის ეს ახალი ტიპი ყველაზე უფრო მეტად შეეფერება ჩვენი სოფლის ცხოვრების პირობებს, და განათლების კომისარიატის ცდაც იქითკენ არის მიმართული, რომ რაც შეიძლება გამრავლებული იქნეს ასეთი ტიპის სასწავლებლები. რაც შეეხება საშუალო განათლებას, კომისარიატი ცდილობდა შეემცირებინა ჰუმანიტარული და საზოგადო განათლების ტეხნიკუმები და მათ ნაცვლად მოეწყო პროფტეხნიკუმები—იმ მოთხოვნილებასთან და საჭიროებასთან შეფარდებით, რომელსაც აყენებს ჩვენი ქვეყნის სინამდვილე და მისი განვითარება ახლო მომავალში. შემდეგ მომხსენებელი ეხება ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტს, იქ ჩატარებულ რეორგანიზაციას, მის შედეგებს და აგრეთვე იმ როლს, რომელიც ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა ითამაშოს ჩვენი ქვეყნის კულტურულ და სამეურნეო განვითარებაში.

პოლიგრ. მრეწ. მუშათა ყრილობა

მეორე სხდომა

4 მარტის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. გრიგორიანის მოხსენება სარევიზიო კომისიის საქმიანობის შესახებ; მოხსენების მოსმენის შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 20 ორატორმა, მათ შორის ამხ. დ. ლოლობერიძემ, ნასყიდაშვილმა, მოშინმა და სხ.

მესამე სხდომა

სალამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი. გამოსული ორატორები აღნიშნავდენ ცენტრალური გამგეობის მთელ რიგ მიღწევებს და ჩერდებოდენ იმ დეფექტებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცენტრალური გამგეობის მუშაობაში.

კამათის დასრულების შემდეგ მოხსენებას აკეთებს პოლიგრაფ. მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცეკას წარმომადგენელი ამხ. ანშელსი.

მომხსენებელი თავის სიტყვაში ეხება, როგორც ცენტრალური კომიტეტის, ისე საბჭოთა კავშირის პოლიგრაფიული მრეწველობის მდგომარეობას და აღნიშნავს ცენტრ. კომიტეტის მიერ მიღებულ მთელ რიგ ღონისძიებებს მრეწველობაში ჩაბმულ მუშების პირობების გასაუმჯობესებლათ. კავშირის რიცხობრივი მდგომარეობის შესახებ მომხსენებელს მოყავს ცნობები, რომ პოლიგრაფიული მრეწველობის პროფკავშირში ამჟამად ირიცხება 110.000 მუშაზე მეტი, აქედან 20.500 კაცი უმუშევარია. ცენტრალური კომიტეტის უახლოეს ამოცანას შეადგენს უმუშევრებისათვის სამუშაოების გამოძებნა და მათი მატერიალური უზრუნველყოფა.

მოხსენების შემდეგ ამხ. ანშელს მისცეს მრავალი შეკითხვები.

მედსანშრომის მუშაკთა ყრილობა

მეექვსე სხდომა

4 მარტის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. კუსკოვის მოხსენება მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ. მომხსენებელი შეჩერდა უმთავრესად ცეკას მიერ ჩატარებულ საორგანიზაციო ხასიათის მუშაობაზე და აღნიშნა, რომ ამ მხრივ ცენტრალურ კომიტეტს აქვს ფრიად მნიშვნელოვანი მიღწევები.

გარდა ამისა, მიღებული იქნა ზომები კავშირის წევრთა შორის უმუშევრობის მოსასპობლად და ამჟამად უმუშევრობა შემცირდა 12,9 პროცენტით. სულ კავშირში შემავალ წევრთა რიცხვი უდრის 470.743 კაცს. აქედან მაშასადამე უმუშევართა რიცხვი შეადგენს მხოლოდ 12.9 პროც. მიღებული იყო ზომები აგრეთვე კავშირის წევრთათვის მტკიცე ხელფასის გამოსამუშავებლად და მისი რაოდენობის მოსამატებლად.

მოხსენებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია და დამსწრეებმა მომხსენებელს მისცეს დიდძალი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა გასცა ამომწურავი ხ.პაიუსგბმგე. ბჭუაი ქე1ღ სუვოზ მწურავი პასუხი.

მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა

მეოთხე სხდომა.

მეოთხე სხდომაზე მისალმებით გამოვიდა სომხეთის მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წარმომადგენელი ამხ. ბალდასარიანი, რომელმაც უსურვა საქართველოს მიწა-ტყის მუშაკებს ყველა არსებულ დაბრკოლებათა გადალახვა. ამხ. ბალდასარიანის სიტყვას ყრილობა მქუხარე ტაშით შეხვდა.

შემდეგ ყრილობაზე გაგრძელდა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 54 კაცმა. გამოსული ორატორები აღნიშნავდენ სასოფლო-სამეურნეო ინსპექციის სუსტ მუშაობას, მოჯამაგირეებში წარმოებულ კულტმუშაობის სისუსტეს და ხაზს უსვამდენ, რომ საჭიროა მომავალმა ცენტრალურმა გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კავშირის რიცხობრივი ზრდის მოწესრიგების საქმეს და მიიღოს ზომები, რომ კავშირში არ გაძვრენ კულაკური ელემენტები.

მეხუთე სხდომა..

კამათის დასრულების შემდეგ ვრცელი საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. ა. ფირალოვი. საპასუხო სიტყვის მოსმენის შემდეგ ყრილობამ დამაკმაყოფილებლად სცნო ცენტრალური გამგეობის მუშაობა და მომავალი გამგეობისთვის წინადადებების გამოსამუშავებლად აირჩია ცალკე კომისია 9 კაცის შემადგენლობით.

ქიმიკოსთა ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

4 მარტს, დილით ყრილობის სხდომა არ შედგარა, სწარმოებდა კომისიების მუშაობა, მოსმენილ მოხსენებებზე რეზოლიუციების შესამუშავებლად.

დღის 2 საათზე გაიხსნა ყრილობის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც მოხდა რეზოლიუციების მიღება ქიმიკოსთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა საქმიანობის შესახებ. კავშირის ცენტრალური გამგეობის მოხსენების გამო და ს. მ. უ. ს. ქიმიური მრეწველობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ გაკეთებულ მოხსენების შესახებ.

რეზოლიუციებში მოწონებულია ჩატარებული საქმიანობა და დასახულია მომავალი მუშაობის პერსპექტივები.

არჩევნები

დასასრულ ყრილობაზე მოხდა არჩევნები ცენტრალური გამგეობის და სარევიზიო კომისიის. ცენტრალურ გამგეობაში გავიდნენ: ამხ. გოგიჩაშვილი, გონგაძე, იუპატოვა, აკოპოვი, მაისურაძე, ფილატოვი, ბეგიაშვილი, სტეპანოვი, მატვეევი, სკანდაროვი; დევდარიანი; ნონიანი, ტაბაღუა, ზაზაჯანოვი და არაქელოვი. კანდიდატებად არჩეულ იქნენ ამხ. ჩასიაკინა, რევაზიშვილი, მაცუკატოვი და ფეოდოროვი.

სარევიზიო კომისიაში გავიდნენ: გლუხოვსკი, სამადაშვილი და მარუთიანი; კანდიდატად—ქობულაშვილი.

არჩევნების დასრულების შემდეგ ყრილობა დაიხურა.

ახალი სახელმწიფო სესხი

1926 წ. სესხის მოგებათა მე-2 ტირაჟი და 1927 წლის სესხი

1 მარტს ხარკოვში დაიწყო 1926 წ. სახელმწიფო სესხის მოგებათა მეორე ტირაჟი.

ეს სესხი გამოშვებულია 30 მილიონ მანეთის რაოდენობით, მას მთელ საბჭოთა კავშირში დიდი წარმატება ჰქონდა და ერთი თვის განმავლობაში თითქმის მთლიანად გასაღდა.

მიუხედავად ობლიგაციების მთლიანად გასაღებისა, მათზე მოთხოვნილება მაინც დიდია. ამ გარემოებამ კი ბუნებრივად გამოიწვია ობლიგაციების კურსის აწევა.

მაგალითად მოგებათა პირველი ტირაჟის დროს, ე. იგი. 1 დეკემბრისათვის, 100 მანეთიანი ობლიგაცია, ნაცვლად—96 მანეთისა, ფასობდა 100 მანეთად, 1 იანვრისათვის კურსი გაიზარდა 100 მ. 30 კაპეიკამდე და 9 თებერვლისათვის მიაღწია 117 მანეთს.

კურსის ამგვარი ზრდა საბჭოთა სესხების პრაქტიკაში ითვლება არაჩვეულებრივად და კარგ პირობებს უქმნის სახელმწიფო კრედიტს.

ამრიგად, ახალ, სახელმწიფო სესხის გამოშვებით იქმნება მტკიცე ნიადაგი, სახელმწიფოს საკრედიტო ოპერაციების შემდგომი გაფართოებისათვის.

სესხის რეალიზაციის კამპანია

საკავშირო სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილება უკვე შეუდგა მოხსენების და საუბრების ჩატარებას წარმოება-დაწესებულებებში, 1927 წ. სახელმწიფო სესხის შესახებ.

მოხსენებები უკვე ჩატარებული იქნა: 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში. არსენალში, რ. ლიუქსემბურგის სახელობის პირველ თამბაქოს ფაბრიკაში, ს. ორჯონიკიძის სახელობის რკინისგზელთა კლუბში, რომელსაც დაესწრეს თბილისის კვანძის რკინისგზელები, მთავარ სახელოსნოების საწყობში, და სალიანდაგო დურგის მე-6 უბანში.

საუბრები და ხელის მოწერა ჩატარებულია: ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველოში, არმიის შტაბში, № [illegible] განყოფილებებში, არმიის [illegible] გების განყოფილებაში, № 4 განსაკუთრებულ განყოფილებაში, რადიო-ბათალიონში, მე-[illegible] შრომის სკოლაში, ამიერ-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში და სხვა. ხელისმოწერა სესხზე იქ გრძელდება.

კრებები ეწყობა მუშაობის ბოლოს. მიუხედავად დაღლილობისა, მუშა-მოსამსახურეები დიდის ინტერესით ეპყრობიან სახელმწიფო სესხის საკითხს, აწერენ ხელს სესხზე.

ამხ. გ. მგალობლიშვილის მოხსენება

3 მარტს საქართველოს ფინსახკომმა ამხ. გ. მგალობლიშვილმა რადიოთი გააკეთა მოხსენება—1927 წ. ახალი სახელმწიფო სესხის შესახებ. მოხსენება გაკეთებული იყო ქართულ და რუსულ ენებზე.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა სახელმწიფო სესხების უდიდეს როლს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში და აღნიშნა, რომ ახალი სახელმწიფო სესხი დიდად ხელსაყრელია მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რადგან მათთვის დაწესებულია კოლექტიური ხელისმოწერა.

ძოიავას მივლინება

საქართველოს ფინსახკომმა გუშინ: ბათომში, ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ხაშურში და ჭიათურაში მიავლინა, კომისარიატის საგალიუტო განყოფილების გამგე ნ. ძოიავა.

ნ. ძოიავას დავალებული აქვს ამ ალაგებში საფინანსო ორგანოებისათვის ახალი სახელმწიფო სესხის რეალიზაციის კამპანიის გეგმაშეზომილად ჩატარებისათვის ინსტრუქციების მიცემა და ხელმძღვანელობის გაწევა.

ახალი მარკები

ფოსტა - ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა საკავშირო ცაკთან არსებულ ბავშვთა დამხმარე კომისარიატთან ერთად გამოუშვა ახალი მარკები.



პირველ რიგში გამოშვებულია ორი სახის მარკა: ორშაურიანი და 20 კაპ. ამ მარკებით წერილების გაგზავნა შეიძლება უცხოეთშიც. მარკების გაყიდვიდან მიღებული თანხის ნაწილი გადადებული იქნება უპატრონო ბავშთა დასახმარებლად.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

სასოფლო საბჭო ჯიხაშკარში

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, ჯიხაშკარში—(ზუგდიდის მაზრა) დაარსებულია სასოფლო საბჭო; დაარსებულია აგრეთვე ჭაკვინჯის სათემო აღმასკომი.

თანამდებობიდან განთავისუფლება

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, უზენაეს სასამართლოს წევრი ხარლამპი ბალკანსკი (დენჩი-ოღლი) და აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს წევრები პლეტონ ჯაჯანიძე და ნიკოლოზ ენუქიძე განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან.

დებულების დამტკიცება

ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიის ახალი დებულება.

ქრონიკა

პროფ. გოგიტიძის გარდაცვალება

გუშინ, დღის 4 საათზე, გარდაიცვალა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის პროფესორი ს. გოგიტიძე.

ჭლექთან ბრძოლა

დღეს, სალამოს 8 საათზე, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ განათლების თეატრში გაიხსნება თბილისში მომუშავე ექიმ სპეციალისტების საქალაქო კონფერენცია ჭლექთან ბრძოლის საკითხებზე.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნება ექიმ აბაკელიას მოხსენება—„ტუბერკულიოზის ქიმიო-ტერაპია", და ექიმ რუსიშვილის მოხსენება ჭლექიანთა დისპანსერიზაციის შესახებ. კონფერენციაზე დასწრება შეუძლიათ ყველას.

სამზადისი 8 მარტისათვის

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა მიიღო დადგენილება ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის აღსანიშნავად რესპუბლიკის მთელ რიგ მაზრებში საბავშვო ბაგების გახსნის შესახებ.

ა.-კ. ცაკში

◆ ა.-კ. ცაკმა უარყო ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის შუამდგომლობა თავის დროზე გადაუხდელი სესხის ადმინისტრატიული წესით აკრეფის უფლების მინიჭების შესახებ.

◆ იუსტიციის კომისარიატების თათბირის რეზოლიუციების დაწვრილებით შესასწავლათ და განსახილველად ა.-კ. ცაკმა გამოყო ცალკე სპეციალური კომისია.

◆ სამალარიო ყრილობა. ამგვარივე კომისია დაარსებულ იქნა ამას წინათ დასრულებულ სამალარიო ყრილობის შედეგების შესასწავლად.

განათლების კომისარიატში

◆ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლები ამიერიდან ჯამაგირებს მიიღებენ ადგილობრივი განათლების განყოფილებებიდან.

◆ ახალი სკოლები. სოც - აღზრდის მთავარ მმართველობა შეუდგა წინასწარ მუშაობას იმის გამოსარკვევათ, თუ მომავალ სასწავლო წლიდან სად უნდა გაიხსნას სოფლის ახალგაზრდობის ახალი სკოლები.

◆ პროფსკოლები. განათლების კომისარიატმა დაადგინა განსაკუთრებული დახმარება გაუწიოს ქალთა პროფსკოლების გახსნის საქმეს.

სოცუზრუნველყოფა

◆ ყრილობა. მარტის ბოლო რიცხვებში მოხდება ოზურგეთის მაზრის გლეხკომების ყრილობა. ამავე დღეს გაიხსნება ამხ. კ. ხომერიკის სახელობის გლეხთა სახლი.

◆ დახმარება სკოლას. სოცუზრუნველყოფის კომისარიატმა სოფ. მლეთის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას დახმარების სახით გადასცა 300 მანეთი.

◆ განათლების კომისარიატის აღრიცხვაზე მყოფი პენსიონერები გადაირიცხა სოცუზრუნველყოფის კომისარიატის განკარგულებაში. პენსიები მათ დაურიგდებათ ყოველთვის 20 რიცხვში.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟაში, სამუშაოზე გასაგზავნათ გამოძახებული არიან: გონებრივი შრომის მუშაკთა სექციიდან: ანტონინა სავუჩინსკაია, ევგენია მიკროტუმოვა, ალექსანდრე კასეიშვილი, იოსებ ხიბულაშვილი, ვრიგოლ ნარსია. კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: ანდრო ფანდეევი, მარტიროს ხარატოვი, გრიგოლ პოპოვიანი, ალექსი ეგურაზოვი, მარანიძე; აკოფ გეურქოვი. კიდევ არის მოთხოვნილება; 3 ხელზე მოსამსახურეზე.

რკინის გზებზე

კაზანცევის მუხრუჭების გარშემო

ახალ მუხრუჭის გამომგონმა ამხ. კაზანცევმა, ა.-კ. რკინის გზებზე ყოფნის დროს სხვადასხვა გვარი ცვლილებები შეიტანა მუხრუჭის სისტემაში.

შეტანილ ცვლილებათა ცხოვრებაში გატარება შეიძლებოდა მხოლოდ გზათა-მიმოსვლის კომისარიატის მოწონების შემდეგ. თბილისში მიღებულია ცნობები, რომ კომისარიატს სავსებით მოუწონებია მუხრუჭის სისტემაში შეტანილი ცვლილებები და წინადადებას აძლევს ა.-კ. რკ. გზების გამგეობას, გამოიყენოს ეს ცვლილებები მუშაობაში.

მარცხებთან მებრძოლ კომისიაში

მარცხებთან მებრძოლი კომისიის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა 18 საქმე—რონოდების ლიანდაგიდან [illegible]ოაცდენის, დავახების, მატარებლების დაკავებულ ხაზებზე მიღების, ხანძრების და სხვათა შესახებ. ზარალი, რომელიც მიაყენა რკინის გზას ყველა ამ შემთხვევებში აღემატება 30.000 მანეთს.

გზის მთელი რიგი აგენტები, რომელთაც ბრალი მიუძღვით ამ შემთხვევებში, დასჯილი არიან ადმინისტრატიული წესით

ახალი ბარაკები

ა.-კ. რკ. გზებმა დაამთავრა ლენინაკანში 10 ხის ბარაკის აგება, მიწისძვრისაგან დაზარალებულ რკინისგზელთათვის. თითოეული ბარაკი შეიცავს 8 ოთახს.

მთელი აღმშენებლობა დამთავრდა 2½ თვის განმავლობაში.

ამჟამად სწარმოებს ბარაკებში იმ რკინისგზელების ჩასახლება, რომლებიც ცხოვრობენ რონოდებში.

სასამართლო

სიყალბე

7 მარტს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა სართიჭალის ფოსტატელეგრაფის კანტორის ყოფილ თანამშრომლის გრიგოლ პერტაიას საქმე.

პერტაიას ბრალდება 800 მანეთის მითვისება ყალბი საბუთის შედგენის საშუალებით.

მკვლელობა

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ენუქიძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: დვალის და გელაძის მონაწილეობით გაირჩა გიორგი ხაჩიბაბაიანის საქმე.

ხაჩიბაბაიანს ბრალდებოდა მოქ. ყამაროვის მოკვლა.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ხაჩიბაბაიანმა მკვლელობა ჩაიდინა სულიერი მღელვარების დროს.

სასამართლომ ხაჩიბაბაიანს მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობითი.

გ. და ნ. ბეგიაშვილების საქმე

დღეს სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში გაირჩევა გიორგი და ნინა ბეგიაშვილების საქმე.

ბეგიაშვილებს ბრალდებათ ხულიგნობა, მილიციელის შეურაცხყოფა და ცილისწამება.

რეციდივისტის გადასახლება

გუშინ პირველი უბნის სახალხო სასამართლოში გაირჩა ხარქის ხარქისოვის საქმე.

სასამართლოში გამოირკვა, რომ სარქისოვს აქვს ქურდობის 15 რეგისტრაცია.

სასამართლომ სარქისოვს მიუსაჯა 1½ წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის

შემთხვევები

◆ მუშათა სახახლიდან ოთახი 30 მოიპარეს პორტფელი 15 მანეთით და სხვადასხვა საბუთებით.

◆ ბოქლომის გატეხის საშუალებით ზინოვიევის შეს. 11 გაქურდეს ლევან მერკვილაძის ბინა.

◆ მწვანე ბაზარში შალვა ვიშაკიძეს ჯიბიდან ამოაცალეს 30 მანეთი.

◆ ცეცხლი. 3 მარტს სიმონოვის ქ. 3 ცეცხლი ვაუჩნდა მოქ. სადილოვის ბინას, ცეცხლი ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა. ზარალი უდრის 200 მანეთს.

◆ ამავე დღეს, პლეხანოვის გამზირი 53 ნიკოლოზ სავენსკის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა.

◆ ლენინის ქ. 22 დიმიტრი გონაშვილის ბინიდან 3 მარტს მოიპარეს 120 მ. ნივთები.

◆ ამავე დღეს პლეხანოვის გამზირი 78 გაქურდეს იულია ლატშკევიჩის ბინა.

◆ ამავე დღეს დიაცთა ველი 30 გაქურდეს ლადო მაჭავარიანის ბინა.

◆ ამავე დღეს ნაფარეულის ქ. 4 ნიკოლოზ ჯორჯაძის გომურიდან მოიპარეს მოზვერი.

◆ კინო - პალასის წინ პაპიროსებით მოვაჭრე ეკატერინე ვიშინსკაიას მოპარეს ერთი ტომარა პაპიროსი.

თავდასხმა მატარებელზე

3 მარტს, სალამოს 9 საათზე და 30 წუთზე ორი შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა სად. შულავერის საბარგო ხაზზე მდგარ საბარგო მატარებელს. ბოროტმოქმედებმა თოფის კონდახებით დაჰკრეს ვაგონის გამცილებელი, გასტეხეს ვაგონი და გამოარეკეს 5 სული პირუტყვი—4 ხარი და ერთი ფური. ამის შემდეგ ბოროტმოქმედები მიიმალენ სახალხოს მიმართულებით. გამცილებლის ვინაობა ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა შესაპყრობათ. ადგილობრივ გაიგზავნა რკ. გზის დამცველი რაზმის ნაწილი.

ახალგაზრდა რეციდივისტი

გუშინ ს. ს. მილიციამ დააპატიმრა ახალგაზრდა რეციდივისტი ჟორა ბოლთაევი.

ბოლთაევს აქვს ქურდობის 16 რეგისტრაცია.

გაფლანგველის შეპყრობა

არჩილ ახალაშვილი მსახურებდა დუშეთის დამზღვევ სალაროს აგენტათ. ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს ახალაშვილმა გაფლანგა სახაზინო ფულები და მიიმალა.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელმა ახალაშვილი დააპატიმრა თბილისში.

ქურდის შეპყრობა

ამ რამოდენიმე დღის წინედ გაქურდეს სიმონ აბრამოვის ბინა; წაიღეს 300 მანეთის ნივთები. ბოროტმოქმედმა გადიცვა აბრამოვის ტანთსაცმელი და მიიმალა. ს. ს. მილიციამ დააპატიმრა ბოროტმოქმედი, რომელიც აღმოჩნდა გიორგი ვორობიოვი. ვორობიოვს აქვს ქურდობის 5 რეგისტრაცია.

„მომჭირნეობის რეჟიმი".

გასულ წელს წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა მუშაობას შირაქის და ელდარის ველის მოსარწყავად. მუშაობის ხელმძღვანელად დაინიშნა ინჟენერი ნიკოლსკი. მოანგარიშის მოვალეობას ასრულებდა მოქ. კობაიძე (ყოფილი მღვდელი), ხოლო სამეო ნაწილის გამგედ კი იყო პროკოფი ნემსაძე.

ნემსაძე ძლიერ დაუმეგობრდა ნიკოლსკის და უკანასკნელს იგი საუკეთესო თანამშრომლად მიაჩნდა. სინამდვილეში კი ნემსაძემ ჩაიდინა მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი: იყიდა ცხენი; შეიძინა სიღნაღის მაზრაში 12 დესეტინა მიწა, რომელიც მოათიბვინა გლეხებს უფასოდ, ხოლო მათ კი ჩამოართვა ხელწერილი ფულის მიღების შესახებ. მიითვისა და გაფლანგა 530 მანეთი.

ნემსაძესთან ერთად „შეხმატკბილებულად მუშაობდა" კობაიძეც.

მაშინ, როცა ნიკოლსკის უნდა გაეტარებინა მომჭირნეობის რეჟიმი, იგი წინააღმდეგ მოქმედებდა. მან სამსახურისადმი გულგრილობით და უყაირათობით 8.831 მანეთის ზარალი მიაყენა დაწესებულებას.

ნიკოლსკიმ მიითვისა აგრეთვე 1880 მანეთი.

ამჟამად ნემსაძე, ნიკოლსკი და კობაიძე პასუხისგებაში არიან მიცემული.

საქმე გადაეცა პროკურატურას.

ხელოვნება

«БЕЗ ВИНЫ ВИНОВАТЫЕ»

კომ. 4 მოქ. ა. ოსტროვსკის, დადგმა ბორინის.

ოსტროვსკი პიონერია ნამდვილ ბურჟუაზიულ დრამის რუსულ სცენაზე. დრამატურგმა ერთი ხელის დაკვრით გასწმინდა სცენა არისტოკრატიულ ბუტაფორიისაგან—დუელებისაგან, მოწამლულ სასმისებისა, სულის გამგმირავ პათეთიურ სიტყვებისაგან და მათ ნაცვლად დრამატიულ ხმარებაში შემოიღო—საბანკო კრახი, გაკოტრება და თამასუქი; რომანტიკისა და სულიერ ტანჯვის ნაცვლად სიმძიმის ცენტრი გადაიტანა ფულად ანგარიშის სფეროში.

ოსტროვსკი შეიქმნა განსაზღვრულ საზოგადოებრივ მდგომარეობის დაპყრობისათვის მებრძოლ რუსული ბურჟუაზიის მისწრაფებათა გამომსახველი, მისი ყოფა-ცხოვრების მხატვარი და მისი იდეოლოგი. ამიტომ მის დრამების ტექსტუალური გამართლება ჩვენს სცენაზე შეუძლებელი საქმეა.

პიესაში თვით სათაურის სახითაც არის დასმული განსაზღვრული სოციალური პრობლემა. უდანაშაულო დამნაშავენი—ეს ბურჟუაზიულ საზოგადოების ვერები—„უკანონო ბავშვები" დევნილი როგორც კანონის, ისე მის დედინაცვალ საზოგადოების მიერ.

რასაკვირველია ოსტროვსკის არ შეეძლო ამ მძიმე სოციალურ პრობლემის გადაჭრა. ნიჭიერი მხატვარი დრამატურგი და არა მებრძოლი პუბლიცისტი, შორს მდგომი საზოგადოებრივ ბრძოლის რადიკალურ საშუალებებისაგან, მსუბუქი მალამოთი ლამობს მძიმე საზოგადოებრივ წყლულების განკურნებას.

სოციალური პრობლემა აქტუალურად დასმული პიესის დასაწყისში—დრამის დასასრულში ანდრეევის დრამების მსგავსად პესიმისტურ უილაჯო ხელის ჩაქნევით ბოლოვდება.

პიესის დადგმა არაჩვეულებრივ მარტივი, სუსტი, პრიმიტიულია. ამ მხრივ რეჟისორს ბევრი არაფერი გაუკეთებია.

შესრულებაშიც ვერ არის ამოწურული პიესაში მოცემული შესაძლებლობანი მთელი შემადგენლობის მიერ. ამ მხრივ უნაკლოა მხოლოდ ლეშჩინსკაია. მსახ. ქალის მთელს გარეგნობაში, გრიმში, კოსტიუმში, ხმაში, მოძრაობაში მოცემულია ოსტროვსკის პიესებისათვის ასე დამახასიათებელი ქალების კეთილშობილური ფიგურები. ლიუბიმოვმა (ნეზმანოვი) ვერ შექმნა გარეგნულად ტლანქი და უხეში, მაგრამ გულის სიღრმეში ფაქიზი „ცხოვრების გერის" სახე.

კომიკ შმაგას როლი, თითქმის ყველაზე კოლორიტული, ფერადოვანია მთელს პიესაში, მასში მოცემულია პროვინციალური თეატრალური ბოჰემა. მის უსახო, უცხვირპირო ფიგურაში, როგორც სარკეში, მოსჩანს გამხრწნელი გავლენა იმ საზოგადოებრივ გარემოსი, რომელიც მათ წარმოშობს და რომელიც აფერხებს პიროვნების ნორმალურ განვითარებას. მსახიობ ბორინმა სადად მოსახა ბოგანო მსახიობის ფიგურა. ხელოვნების და მსახიობ-ქალების მფარველ დუდკინის კლასიკური როლი ძალზე სუსტად იყო გამოყენებული მს. კალმენსკის შესრულებაში. მკრთალია მილოვზოროვიც. (არკადინი).

შხეფი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ხელოვანთა სასახლეში,** დღეს, საღ. 6 საათ. მოწვეულია, საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომა.

◆ **„ამერიკელი ძია".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია".

◆ **კონცერტი.** დღეს, პლეხანოვის სახ. კლუბში ოპერის მსახიობთა მონაწილეობით გაიმართება კონცერტი.

◆ **„იმერიადა".** დღეს, ქუთაისის აკადემიური დრამა შოთა მანაგაძის რეჟისორობით მეორე პრემიერად სდგამს ახალგაზრდა პოეტ-დრამატურგ მიხეილ გოგიაშვილის მეორე ახალ ორიგინალურ პიესას „იმერიადა".

კინო

სახკინმრეწვის ახალი სურათები

სახკინმრეწვის მიმდინარე წლის საოპერაციო გეგმაში,—განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს სახკინმრეწვის დირექტორის მოადგილემ ამხ. გ. გოგიტიძემ,—შეტანილია მთელი რიგი ახალი სურათების დადგმა.

პირველ რიგში დადგმული იქნება სურათი **„ამაზონკა"** უძველესი დროის ცხოვრებიდან. სურათს სდგამს რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** მხატვრად მოწვეულია **გ. თაკულოვი.** სცენარი ეკუთვნის **ტიციან ტაბიძეს.** ამ სურათში მონაწილეობას მიიღებს 1800 ქალი. მუშაობა უკვე დაწყებულია. სურათების გადაღება იწარმოებს სოხუმის მიდამოებში, მდ. ჭოროხზე, შავი ზღვის ნაპირებზე და სახკინმრეწვის ატელიეში.

მეორე ახალი სურათი იქნება **„ბოშური სისხლი"** ბესარაბიის ცხოვრებიდან. სურათს დასდგამს ახალგაზრდა რეჟისორი **პუში.** მხატვრად მოწვეულია **შავიშვილი.** მთავარ როლებს შეასრულებენ **შირაი, თაყაიშვილი და მიქაბერიძე.** სურათის გადაღება დაიწყება „გიულის" დამთავრების შემდეგ.

შემდეგი ახალი სურათია **„ხაზ-ბულატი".** სდგამს რეჟისორი ბარსკი. მთავარ როლში—**ბელეცკაია.** დადგმული იქნება აგრეთვე **„მწირი"** ლერმონტოვის ნაწარმოების მიხედვით. სურათს სდგამს რეჟისორი **ბარსკი.** მთავარ როლში—**თინა მაჭავარიანი.**

„მეჟრაბპომ-რუსთან" ერთად დადგმული იქნება სურათი **„შამილი".** ამ სურათის დასადგმელად თბილისში ჩამოვა რეჟისორი **პროტოზანოვი.**

მიმდინარე წელში განზრახულია აგრეთვე დაიდგას სურათი **„იბღავლე ჩინეთო"** ს. ტრეტიაკოვის დრამის მიხედვით. ამ სურათის დასადგმელად მოწვეული იქნება სომხეთის კინო-წარმოების რეჟისორი **ბეკ-ნაზაროვი.**

აღნიშნული სურათების გარდა ამჟამად თავდება სურათ „გიული"-ს გადაღება. სურათს სდგამენ ახალგაზრდა რეჟისორები **პუში და შენგელაია.** სურათის დამთავრების შემდეგ პუში შეუდგება „ბოშური სისხლის" გადაღებას. **ნ. შენგელაიას** კი, როგორც ახალგაზრდა რეჟისორს მიეცემა ცალკე დადგმა.

თავდება აგრეთვე **„იბრაგიმ და გოდერძი"** და იმისდა მიხედვით, თუ როგორი გამოვა ეს სურათი, მის დამდგმელს ახალგაზრდა რეჟისორ **შაქრო ბერიშვილს** მიეცემა დასადგმელად სხვა სურათი.

პერესტიანი ამჟამად ათავებს **„ზვირთს".** ამ სურათით თავდება პერესტიანის მოღვაწეობა საქართველოს სახელმწიფო კინო-ორგანიზაციაში. პერესტიანის მაგივრად მოსკოვიდან მოწვეულია „სოვკინოს" რეჟისორი **მიხინი,** სურათ „აბრეკ ზაურის" დამდგმელი.

რაც შეეხება სურათების გამოშვებას საჩვენებლად, ორშაბათიდან თბილისში ნაჩვენები იქნება „თავადის ასული მერი". მის შემდეგ წავა სურათი „გიული", შემდეგ კი მესამე სურათი „ჩვენი დროის გმირის" ციკლიდან—„მაქსიმ მაქსიმიჩ".

ჩვენს მუშაობაში აღსანიშნავია ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ თბილისში „ბელა"-ს და „ორ მონადირეს" გულგრილად შეხვდენ, მოსკოვში ამ სურათებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მოსკოვიდან მიღებულია შეკვეთა დამზადებული იქნეს „ბელა"-ს, „ორი მონადირის" და „მერი"-ს 42 ეკზემპლიარი (თვითეული სურათის) მოსკოვისათვის.

სურათების ეს რაოდენობა დამზადებული იქნა 10 დღის განმავლობაში. და უკვე გადაიგზავნა მოსკოვში. სურათების ასეთი რაოდენობა სარეკორდოა მთელი საბჭოთა კავშირისათვის. დღემდე საბჭოთა კავშირის არც ერთ კინო-ორგანიზაციას არ გამოუშვია სურათების ამდენი ეკზემპლიარები. ომამდი კი გამოშვებული ეკზემპლიარების მაქსიმალური რაოდენობა ყოფილ რუსეთის იმპერიაში უდრიდა 15.

ჩვენი სურათებიდან საზღვარგარედ გაყიდულია „ნათელა". მიღებულია აგრეთვე მოთხოვნილება „მერის" და „ბელას" სამ-სამ ეკზემპლიარზე საზღვარგარეთისათვის.

გადადგმულია მთელი რიგი ნაბიჯები წარმოების გასაუმჯობესებლად. მზადდება ახალი დიდი პავილიონი, სადაც იწარმოებს „ამაზონკას" გადაღება. სახკინმრეწვმა ქალაქის აღმასკომისაგან მიიღო ორი ნაკვეთი მიწა ფაბრიკის მეზობლად, სადაც მოწყობილი იქნება მოედნები ნატურალური გადაღებისათვის. ამით შემცირდება ხარჯები ექსპედიციების გაგზავნაზე სხვადასხვა რაიონებში.

განზრახულია აგრეთვე მტკვრის ნაპირას მოწყობილი იქნეს ახალი ლაბორატორია. არსებული ლაბორატორია ვერ აკმაყოფილებს გაფართოებული წარმოების მოთხოვნილებებს თუმცა ეს ლაბორატორია თავისი მოწყობილობით პირველია მთელს საბჭოთა კავშირში.

მუშების კულტმოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სახკინმრეწვი აწყობს რადიო-მიმღებ სადგურს. განზრახულია აგრეთვე ერთი წლის შემდეგ შევუდგეთ საცხოვრებელი ბინების აგებას მუშებისათვის.

მიმდინარე წლის ოქტომბერში სახკინმრეწვს უსრულდება არსებობის ექვსი წლის თავი. ამ დროისათვის განზრახული გვაქვს ჯამი გაუკეთოთ მთელს ჩვენს მუშაობას და გვინდა იგი ქრონიკის სახით გადავიღოთ ლენტებზე, რომ დოკუმენტალურად იქნეს აღდგენილი, თუ რა გავაკეთეთ და როგორ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 20

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის 231^1 მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 231^1 მუხლის რედაქცია შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

მუხ. 231^1 კერძო სარგებლობის რადიო-სადგურის გამოყენება არა დანიშნულებისამებრ ან და მიღებულ ნებართვაში აღნიშნულ პირობათა ან იმ წესების დარღვევით, რაც შემოღებულია ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ორგანოთა მიერ გასაწევი კონტროლისათვის, გამოიწვევს ჯარიმას არა უმეტეს გადასახდელ ან გადასახდევინებელი წლიური საბონენტო სასყიდლის ხუთჯერ გადიდებული რაოდენობისა.

ასეთი სადგურის მოწყობა სათანადო რეგისტრაციის ან ნებართვის გარეშე ან სადგურით სარგებლობა საბონიმენტო სასყიდლის გადაუხდელად გამოიწვევს აღნიშნულ რაოდენობის ჯარიმას, რაც დადებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული წესით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჟუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წლ. თებერვლის 21.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

5 მარტს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება თბილისის **მუშა-ქალთა პირველი საერთო-საქალაქო კონფერენციის გახსნა.**

დღის წესრიგი:

1) ქალთა საერთაშორისო დღე—8 მარტი,
2) შრომის ნაყოფიერების აწევა და მუშა-ქალთა მონაწილეობის გაძლიერება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება.

— სახ. უნ. სოც. ეკ. ფაკ. არს. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 5 მარტს, დღის 12 საათზე ქვემოთ ჩამოთვლილი ამხ. ვალდებული არიან გამოცხადდენ ბიუროში. წინააღმდეგ შემთხვევაში მთლიან საკავშირო ბილეთს ვერ მიიღებენ. 1) ფანცხავა მელენტი გიორგის ძე, 2) აბაშმაძე ქეთო რაჟდენის ასული, 3) ფურცელაძე კოლია თადეოზის ძე, 4) ბახტაძე ლადო სევერიანეს ძე, 5) ცინცაძე ალექსანდრე მაქსიმეს ძე, 6) ბეჟანიშვილი მიხეილ ივანეს ძე, 7) კუჭუხიძე იპოლიტე ვასილისძე, 8) ხვეტელიძე სერგო დავითის ძე, 9) დოლიძე თინა ლუკას ასული, 10) მეხუზლა ბენიამინ მელიტონის ძე, 11) ბერიძე ალექსანდრე ნიკიფორეს ძე, 12) ფხაკაძე ვერა თეოფილეს ასული, 13) სადაია ალექსანდრე ერმალოს ძე, 14) მელაძე გალინა ალექსანდრეს ასული, 15) ამირიძე ნიკოლოზ მიხეილის ძე, 16) რობაქიძე სევერიანე ბარნაბის ძე, 17) კუკნაძე ვასილი იაკობის ძე.

ბიურო.

— სახ. უნივ. აგრონომიული ფაკულტ. არსებული ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 5 მარტს ნაშუადღევის 3 საათზე შესდგება ბიუროს სხდომა, რომელზედაც უნდა გამოცხადდენ ამხ. 1) დავითაშვილი, 2) ბერიძე ალ. და 3) აბესაძე ბ.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს აძლევს წინადადებას ორი დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან:

1) შავგულიძე გრიგოლ ვლადიმერის ძე, 2) ნიჟარაძე კალისტრატ ნესტორის ძე, 3) ერისთავი შალვა როსტომის ძე, 4) დავითაშვილი ბიქტორ დავითის ძე, 5) სამანაშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, 6) ჩხარტიშვილი ბართლომე იასეს ძე.

— საქ. რემედასის ცეკა იუწყება, რომ დღეს, 5 მარტს, საღამოს 6 საათზე საქ. რემედასის ცეკას ბინაზე (ლენინის ქ. 29) შესდგება პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

დასწრება პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის ყველა წევრებისა სავალდებულოა.

— სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი აცხადებს ბიუროს კოლექტივის წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ დღეს, 5 მარტს, დღის 12 საათზე, შესდგება ბიურო-კოლექტივის სხდომა, დასწრება სავალდებულოა. საჭიროა გამოცხადება, იმ ამხანაგებისაც, რომელნიც პარტიაში გადასარიცხი და კომკავშირში მისაღები არიან: 1) გაბელაია კონსტანტინე ივანეს ძე, 2) კაპანაძე გრიგოლ, 3) რუხაძე ივანე; 4) კიკვაძე პოლიკარპე.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ ორი დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან:

1) მელაძე დომენტი ალექსანდრეს ძე, 2) ნაუმიჩევი იოსებ მიხეილის ძე, 3) არუტიუნიანცი რუბენ ნერსესის ძე, 4) რევიზორ - გავრილიუკი ანნა ფეოდორეს ასული, 5) მექვაბიშვილი ვიქტორ მოსეს ძე, 6) ნარიმანიშვილი მელიტონ გერასიმეს ძე.

— დღეს, 5 მარტს, საღამოს სრულ 5 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება **საქართველოს ლენინური ახალგ. კომკავშირის თბილისის აქტივის კრება.**

დღის წესრიგი:

საკავშირო ლენინურ ახალგ. კომკავშირის ცეკას მოხსენება (მომხსენებელია საკავშირო ლენინური ახალგ. კომკავშირის ცეკას მდივანი ამხ. მატვეევი).

კრებაზე მოწვეული არიან საკავშირო ლკ-კომიტეტის, საქართველოს ლენინურ ახალგ. კომკავშირის ცეკას, თბილისის კომიტეტის და რაიკომების წევრები—სარევ. კომისიის წევრებთან ერთად, მოწვეული არიან აგრეთვე უჯრედების ბიუროების მდივნები და წევრები—საუჯრედო კომისიების წევრებთან ერთად.

ამ.-კავკ. სიოლქო კომიტეტის და საქ. ლენინურ ახალგ. კომკავშირის ცეკას წევრები შედიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენი ამხანაგები ბილეთებს იღებენ რაიკომებში.

გერმანე იოსების ძე გოგიტიძე აცნობებს მეგობრებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 6 მარტს, დღის 1-ლ საათზე ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ერთი წლის თავზე პანაშვიდი საყვარელი მეუღლის და უძვირფასეს მეგობრის, მეხსიერებიდან წარუხოცელის და მუდამ ჟამს სახსოვარის

ნადია იესეს ასულის გოგიტიძის

სულის მოსახსენებლად.

---

4 მარტს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი მამა ჩვენი

სიმონ კონსტანტინეს ძე გოგიტიძე

რასაც ღრმად დამწუხრებულნი და დაობლებულნი: თამარი, ვერა და გიორგი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ. პანაშვიდი ყოველდღე ნაშუადღევის 4 ნახ. საათ. ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტის სალოცველოში (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

სიმონ კონსტანტინეს ძე გოგიტიძე

გარდაიცვალა 4 მარტს. დღის 4 ნახ. საათზე, რასაც ოდესის უნივერსიტეტში საკადემიო ასპარეზზე მისი მოღვაწეობის დროის ამხანაგები და მეგობრები, ამ ჟამად თბილისში მყოფნი, ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას

სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი დიდი მწუხარებით აცხადებს, რომ 4 მარტს საღამოს 4 ნახ. საათზე ფილტვის ანთებით გარდაიცვალა ღრმად პატივცემული ფაკულტეტის წევრი პროფესორი

სიმონ კონსტანტინეს ძე გოგიტიძე

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 1—1

ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ექიმები ღრმათ დამწუხრებული აცხადებენ, რომ 4 მარტს საღამოს 4 ნახ. საათზე გარდაიცვალა მათი ძვირფასი მასწავლებელი და დაუფასებელი ხელმძღვანელი პროფესორი

სიმონ კონსტანტინეს ძე გოგიტიძე

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: მარიამ დავითის ასული და ირაკლი ჭრელაშვილნი აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და მეგობართ, რომ კვირას 6 მარტს, ნაშუადღევის 12 ს. გადახდილი იქნება პანაშვიდი დიდუბის ეკლესიაში, დაუვიწყარი და საყვარელი მეუღლისა და მამისა

თევდორე იერემიას-ძე ჭრელაშვილისა

გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო. 1934

ეკატერინე ივანეს-ასული აბაშიძე, ელენე და შაქრო რობიტაშვილები თავის შვილებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 6 მარტს, დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ანტონ ივანეს-ძე აბაშიძის

სულის მოსახსენებლად ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში. 1933

ღრმად დამწუხრებულნი დედა ნატალია თომას ასული, და ანა იროდიონის ასული, ძმა მიხეილ იროდიონის-ძე ნანობაშვილები და დედიდა ანა თომას ასული ანდრიაშვილისა შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ მათი უდროოთ დაკარგული და დაუვიწყარი

ალექსანდრე იროდიონის-ძე ნანობაშვილის

ერთი წლის აღსანიშნავათ, კვირას, 6 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე იქნება გადახდილი პანაშვიდი. 1932

თავზარდაცემული მშობლები: ეკატერინე ნიკოლოზის ასული და ალექსანდრე (მოსოსტრი) დადეშქელიანები შვილებით: [illegible] ნიკოლოზ და ალექსანდრეთი, ბიძა ნიკოლოზ [illegible] ნიკოლოზის ასული ორლოვსკი, ბიძა სერგო ნიკოლოზის-ძე და მარიამ ორლოვსკები, დედა თამარი ([illegible]) [illegible] ბიქტორის ასული და დავით პოლიევქტოს-ძე ქართველიშვილები, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ საყვარელ და ძვირფასს

ბელა დადეშქელიანის

უეცარი და უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 5 მარტს, დღის 3 საათზე, პლეხანოვის გამზირი № 91, დასაფლავება მოხდება კუკიის სასაფლაოზე. 1943

სოციალურ-უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს

ბელა დადეშქელიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს, 5 მარტს, დღის 3 საათზე, პლეხანოვის გამზირი, № 91, კუკიის სასაფლაოზე. 1945

ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკის მუშაკნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს

ბელა დადეშქელიანის

უეცრად და უდროოდ გარდაცვალებას. 1936

გულდათუთქული მეგობრები: მარგო დუგლაძე, შურა ხერხეულიძე, ნინო თუშიშვილი, ნუცა ტატიშვილი, მარო ნანეტაშვილი, ქეთი დიდია და სხვ. დავსტირით ძვირფას მეგობრის ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე

ბელას

უდროოთ დაკარგვას. 1938

გულდამწვარი ამხანაგები: ჯულიეტა, მარო ქავთარაძეები, მარგო წერეთელი თამარა თუშიშვილი, კოჩია ქავთარაძე, მედიკო მიქელაძე და ვალოდია ერისთავი აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს ძვირფას ამხანაგის

ბელა დადეშქელიანის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს, 5 მარტს, დღის 3 საათზე, პლეხანოვის გამზირი, № 91. 1949

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნიკოლოზ თომას-ძე, შვილები: ოთარი და შოთა. თომა დიმიტრის-ძე, ანასტასია დავითის ასული, ბარბალე (ბაბუცა) თომას ასული ფირცხალაიშვილები და ვერიქო ლოსაბერიძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ კვირას 6 მარტს, დღის პირველ საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ყოფილი მე-22-რე შრომის სკოლის მასწავლებლის

ანიჩკა (ანიკო) ერმალოს ასული ფირცხალაიშვილის

გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო. 1935

დამწუხრებულნი შვილები: ვანო და სტეფანე ბუთლიაშვილები მეუღლით, ქალიშვილები: მაშო ძიძაძე, სოფიო ხოხობაშვილი, შვილიშვილი ნინო სესიაშვილი, ძმის შვილები მიხეილი, ივანე, ნიკოლოზ მათეშვილები და ვარო კილაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფას და საყვარელ

ბარბარე ივანეს ასულ ბუთლიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 6 მარტს, დღის 11 საათზე პეტრე-პავლეს ეკლესიაში. რიყის ქუჩა № 66 პანაშვიდი დღეს საღამოს 6 ნახევარ საათზე. ქვ. 1946

სახელმწიფო დრამა

3—2 ნ. 765

დღეს, 5 მარტს
ნ. შიუკაშვილის
ამერიკელი ძია
ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. და 3 ინტერმედიით
დადგმა ალ. ახმეტელის. მხატვარი: მ. შავიშვილი.

კვირას, 6 მარტს,
ბილ-ბელოცერკოვსკის
საჭე მარცხნივ!
პიესა 4 მოქ. 15 სურათი მუსიკა: პ. იპოლიტოვის.
დადგმა: ალ. ახმეტელისა. კონსტრუქ. და კოსტ. ირ. გამრეკელის

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა

ნ. 768

დღეს, 5 მარტს, პრემიერა **ტრილბი**
ბოკოვას, კანსბურგის, ვენაძის და მეხნიაევის მონაწილეობით.
დირიჟორი სახალხო მსახიობი ი. ფალიაშვილი

კვირას, 6 მარტს, **დაისი**

სამშაბათს, 8 მარტს,
ს. ი. მიგაის 1-ლი გასტროლი **ევგენი ონეგინ**

ცირკი
ძმ. ტანტების
ტელ. 16—67
წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!!
1—1 ნ. 656

ს.ს.ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
დღეს, 5 მარტს 1927 წ.
საინტერესო სანახაობანი
მონაწილეობს სრული შემადგენლობა. ჭიდაობის ჩემპიონატის გაგრძელება
ჭიდაობს 4 საუკეთესო წყვილი
გადამწყვეტი ვინ ვის? საბოლოო შედეგამდე
ველეზნიაკ—ნილაბი ფენომენ მაისურაძე—იაუნზე
შულც—სკარბე ლეში—კრილოვი
დასაწყისი 8 ნახ. საათზე.
ადმ. ხელმძ. მ. ი. ტადე.

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—5 ნ. 748

26—27 წლის სეზონის საუკეთესო სურათი
„მონის ფრთები" 9 ნაწ. იოანე მრისხანეს ეპოქიდან.

პირველად თბილისში
ФАВОРИТКА МАГАРАДЖИ
მხატვრული დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან

დადგმის მეორე კვირა
„როცა თოვლი გადნება" მერი პიკფორდის მონაწილეობით

პირველად თბილისში ახალი სურათი
„ეშმაკის ბორბალი"

ორშაბათიდან 7 მარტ. კინო-თეატრებში აპოლლო, არფასტო, სოლეი „თავადის ასული მერი".

თბ. მუშ. თეატრი (ყოფ. სახალხო სახლი)

ქართული დრამა. დღეს, 5 მარტს,
პრემიერა ა. ცაგარელის.
რაც გინახავს ვეღარ ნახავ
კომედ. 3 მოქმ. ტექსტი გადაკეთებ. ჩაჩავას მიერ
დადგმა მ. ჭიაურელის. მუსიკა: ა. ბალანჩივაძე
მხატვარი ლ. გუდიაშვილი. 1946

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ორშაბათიდან
7 მარტიდან
კინო-თეატრებში
აპოლო
არფასტო
სოლეი

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი

თავადის ასული მერი

ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის" ციკლიდან

დადგმა—ვ. ვ. ბარსკის
ოპერატორი—ა. პოლიკევიჩი

მთავარ როლებში:
თ. ბოლქვაძე,
ბ. ბელეცკაია,
ნ. პროზოროვსკი,
გ. დავითაშვილი,
ა. თაყაიშვილი.

ნ. 770

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ
ჭიაურში მოაწყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც მზადდება ყოველგვარი ხის მასალა, გარდა ფიჭვისა.
მსურველთ, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, დაკვეთა შეუძლიათ პარტიობით.
პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ქ. სიღნაღში და ჭიაურში, როგორც პირადათ, ისე წერილობით.
სიღნაღის სამაზრაღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება.
1502 15—10

გაზ. „კომუნისტი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი), რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

3—1 მთავარი კანტორა

თბილისის დამზღვევი კასა

ამით აცხადებს, ყველა წარმოება-დაწესებულებების და იმ პირთა საყურადღებოთ,

რომლებსაც მუშა-მოსამსახურეებზე შემოაქვს სოც-დაზღვევის საპროცენტო ანარიცხები, რომ თანახმად ს. ს. რ. კ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებისა 31 დეკემბრიდან 1926 წლისა (გამოქვეყნებულია ს. ს. რ. კ. და რ. ს. ფ. ს. რ. ცაკის გაზეთ „იზვესტია"-ში № 9—12 იანვრიდან 1927 წლისა) ყველა ზემოთ ჩამოთვლილნი წარმოება-დაწესებულებები და პირნი ვალდებულნი არიან 1 ოქტომბრიდან 1926 წლისა სოც-დაზღვევის საპროცენტო ანარიცხებთან ერთად იხადონ საბინაო აღმშენებლობისათვის მიზნობრივი დამატებები ქვემოთ ნაჩვენებ პროცენტების მიხედვით:

სოცდაზღვევის საპროცენტო ანარიცხების ტარიფზე:	პროცენტული დამატება გადახდილ ხელფასზე:
10 პროც.	0,75
12 „	0,9
14 „	1,0
16 „	1,2
18 „	1,3
20 „	1,5
22 „	1,6

აღნიშნული დამატება ყველა დამზღვევლებმა უნდა შემოიტანონ დ. კასაში სოც-დაზღვევის საპროცენტო ანარიცხების გადასახადთან ერთად და იმათ წინააღმდეგ, ვინც დროზე არ გადაიხდის მიღებული იქნება გადახდევინების უდავო იძულებითი წესი, თანახმად ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს დადგენილებისა 30 ივნისიდან 1925 წლისა (სოცდაზღვევის კანონების დარღვევისათვის პასუხისგების შესახებ).

გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე **სიტნიკოვი.**
საფინ.-საალრ. განყ. გამგე **მაშკევიჩი.**
ნ. 772 საქმეთა მმართველი **საბაშვილი.**

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბონ-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჩორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, სახლი № 28, დანიშნულია 15 მარტს, 1927 წ. დღით 12 ს. **საჯარო ვაჭრობა** ბიქტორ ბეგლარის-ძე ანჯაფარიძის ერთი ორ სართულიანი ქვიტკირის სახლის, მდებარის იმავე ქუჩაზე, რომელიც შესდგება ხუთი სა უნიციპალო განყოფილებისაგან 12 საცხოვრებელი ოთახისაგან, სა ი საქზარეულოსაგან და ორი ხის საკუჭნაოსაგან და ამ სახლის მახლობლად ბალავერ ჩაყრილი ცოკოლამდი შენობის, აგებულების მიწაზე, ზომით 950 ოთხკუთხი საჟენი, შეფასებული 5000 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან სახ. მეურ. უმაღ. საბ. და სხვების გადასახადის დასაკმაყოფილებლათ და ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს ცნობ ბი აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10% საწინდარი. ნ. 771.

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

მ დიდიის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათ მდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

სათვალეების მორგება უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—

ა. ვ. მიქაბერიძე.
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. სპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი
ა. დ. ქექელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ქუთაისში
ექ. დ. ა. ჩიჩელაშვილი
იღებს შინაგან ავადმყოფებს, სპეციალურათ ექიმობს ფილტვების ავადმყოფობას
მიღება დილის 8—12 საათამდე ჭავჭავაძის ქუჩა სახ. № 9. 13—1 ქვ. 1764

ექ. ი. ე. გაბიჩვაძე
პლეხანოვის პროსპექტი № 65 იღებს სპეციალურათ ვენერიულ სიფილისით და კანით ავადმყოფებს.
დილით 7 ნახ.—8 ნახ. საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**
შინაგან, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

დავკარგე რედიკული, რომელშიც იყო შემდეგი საბუთები: საანგარიშო და დაზღვევის წიგნაკი და მუშკოოპის წევრობის წიგნაკი გაბრიელ ანტონის-ძე მ ლაშხიას სახელზე; პირადობის მოწმობა ო. პ. მალაშხიას სახელზე და სხ. მნახველს ვსთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ტროცკის ქ. № 10. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული მოწმობები გაუქმებულად ჩაითვალოს. უფ.

დავკარგე პირადი წიგნაკი მუშეგ მარტიროსიანის სახელზე, ჩ. გ. 1928

დავკარგე საანგარიშო წიგნაკი № 334—შალვა სიმონის-ძე იაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1931

დავკარგე სამხ. აღრიცხვის ქაღალდი პარმენ გვენცაძეს სახელზე, ჩ. გ. 1930

დავკარგე სამხ. აღრიცხვის ფურცელი, მოცემული ქ. ხონის სამხ. მაგიდის მიერ, პავლე წივწივაძის სახელზე, ჩ. გ. 1929

დავკარგე ნასყიდობის სიგელი № 2021, ნიკოლოზ ჩიტაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 19[illegible]9

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1785, დავით მიხეილის-ძე ციცაკურიძეს სახელზე, ჩ. გ. 1941

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 724, გალაქტიონ ხუჭუას სახელზე, ჩ. გ. 1942

დავკარგე რუს-ორანის პატენტი ყველა საჯარო საბუთებით—რომანოზ ნესტორის-ძე ციხისელის სახელზე, ჩ. გ. 19[illegible]9

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი—თამარ ნესტორის ასული იოსელიანის სახელზე, ჩ. გ. 1940

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ფურცელი ფორმა № 4—მონასე ლუკას-ძე მენაბდის სახელზე, ჩ. გ. 1937

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 360—დარიკო რაზმაძეს სახელზე, ჩ. გ. 1944

დავკარგე მუშ. კავშირის საწევრო წიგნაკი № 210 და დაზღვევ სალაროს წიგნაკი № 6 დ. ს. მგელაძეს სახელზე, ჩ. გ. 1947

დავკარგე საბინაო წიგნაკი განყ. № 5114 საერთო № 4203 სიმონ ქვარიანის სახელზე, ჩ. გ. ნ. 771

დავკარგე პირადობის მოწმობა № 22271 ს. ზოსლევის უფროსის თანაშემწის ბაგრატ ლუკას-ძე მგალობლიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 771

დავკარგე სამხედრო რეგისტრაციის წიგნაკი, რემედასის წიგნაკი,—პირადი მოწმობა ტრიფონ იუსტინეს-ძე ცირეკიძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 771

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.